# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 23 ოქტომბერი 2002 №201 (1723) | ფასი 50 თეთრი


UEFA CHAMPIONS LEAGUE

# გადაეშვდეს, კიდევ გადაეშვდეს



REUTERS

## არსენალი 1
## ოსერი 2

## დევიდ სიმენს ბურთმა გუშინაც გადაუფრინა

## 2500!

გუშინ ლიგამ სტატისტიკური იუბილე აღნიშნა

# 19-წლამდელები დიდებივით თამაშობენ

## არ იციან, რას თამაშობენ

საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა ალექსანდრე ჩივაძემ ამასწინათ ეროვნული სული ახსენა, უამისოდ ფეხბურთელები თამაშს ვერ მოიგებენო...

გუშინ 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ქართველთა მეტოქე ბელგიის ნაკრები იყო — დიდი ვერაფერი გუნდი. მაგრამ საქართველოს ნაკრებებს ისე რა გუნდებთან ნაგება ჩვევად ექცათ და 19-წლამდელებმაც წააგეს.

წაგებაცაა და წაგებაც — ჩვენმა ბიჭებმა ისევე ითამაშეს, როგორც ეროვნული გუნდი თამაშობს, ანუ ვერ გაიგებ, რას თამაშობენ.

ნამატჩევს ნაკრების მწვრთნელმა ოთარ კორღალიძემ წარუმატებლობის უმთავრეს მიზეზად გამოუცდელობა დაასახელა. მართალია, გუშინ მოედანზე ხუთი ისეთი ფეხბურთელიც იყო, გაზაფხულზე 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალში რომ გაალწიეს, მაგრამ ამასაც დავანებოთ თავი — ქართველ ყმაწვილ ფეხბურთელებს ევროპის კარგ კლუბებში არავინ მიიწვევს, საქართველოს ჩემპიონატში მიღებული გამოცდილებით კი იმ ფარერელებს თუ დაამარცხებენ, რომლებიც გუშინვე უკრაინელებმა დაიფრინეს. ერთი სიტყვით, საქართველოს ჩემპიონატის დონის ამაღლებას თუ ველოდეთ, ნაკრების საშველი არ ყოფილა.

ბოლოს კი აი, რა ვთქვათ: მატჩის წინ ქართველ ჟურნალისტებს ინგლისურენოვანი ოქმები დაურიგეს, ერთი ფურცლის ქართულად შევსება და ასლების გაკეთება აზრად არავის მოსვლია. ჩივაძე კი ფეხბურთელებს უკიჟინებს, ეროვნული სულიო...

იხილეთ მერვე გვერდი



საქართველო — ბელგია 0:1. ზაალ ელიავას (№11) ეს ფლანგური გარღვევაც უშედეგოდ დასრულდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა 2002-2003
## I ჯგუფური ეტაპი. IV ტური

### A ჯგუფი

**არსენალი 1:2 ოსერი**

0:1 კამო (8), 0:2 ფადიგა (28), 1:2 კანუ (53)
არსენალი: სიმენი, ლორენი (კ. ტური 77), სიგანი, კემპბელი, კოული, ლიუნგბერგი, ვიეირა, ჟილბერტო სილვა (პირესი 72), ვილტორდი, კანუ, ანრი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
ოსერი: ფაბიან კული, რადეტი, ბუმსონგი, მექსეში, ტაური, ტაინიო, ფეიუ, ლაშუერი, მვარუვარი, კამო, ფადიგა
მწვრთნელი: გი რუ
მსაჯი: დომენიკო მესინა (იტალია)
35 206 მაყურებელი

**დორტმუნდი 1:1 პსვ ეინდჰოვენი**

1:0 კოლერი (10), 1:1 ბრუგინკი (47)
დორტმუნდი: ლემანი, ევანილსონი, ვორნსი, მადუნი, როიტერი, დედე (ფრინგსი 78), კელი, რიკენი (ამოროზო 72), როსიცკი, კოლერი, ევერტონი
მწვრთნელი: მათიას ზამერი
პსვ ეინდჰოვენი: ვალტერუსი, ბოგელუნდი, ოოიერი, ფაბერი, ბუმა, პაინცე (რობენი 46), ვან ბომელი, ფოგელი, რომედალი, ბრუგინკი (რაშზი 80), კეჟმანი (ვენეგოორ ოფ ჰესელინკი 85)
მწვრთნელი: გუს ჰიდინკი
მსაჯი: ლუსილიუ კორტეს ბატისტა (პორტუგალია)
47 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 4 | 3 | 0 | 1 | 8:2 | 9 |
| დორტმუნდი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:5 | 7 |
| ოსერი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | 4 |
| პსვ ეინდჰოვენი | 4 | 0 | 2 | 2 | 2:8 | 2 |

### B ჯგუფი

**სპარტაკი 1:3 ლივერპული**

1:0 დანიშევსკი (23), 1:1, 1:2, 1:3 ოუენი (29, 70, 90)
სპარტაკი: ლევიცკი, კოვტუნი (კებე 36), მიტრეჟკი (კუდრიაშოვი 82), აბრამიძე, ხლესტოვი, პავლენკო, კალინიჩენკო, ბეზროდნი, სონინი (ტორბინსკი 60), ბესჩასტნიხი, დანიშევსკი
მწვრთნელი: ოლეგ რომანცევი
ლივერპული: დუდეკი, კარაგერი, ჰიუპია, ტრაორე, მურფი, ჰამანი, დიაო, რიისე, ბაროში (დიუფი 71), ოუენი, ჰესკი (ვინიალი 56; ბისკანი 76)
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
მსაჯი: კონრად პლაუცი (ავსტრია)
10 000 მაყურებელი

**ბაზელი 2:2 ვალენსია**

1:0 ერგიჩი (32), 1:1 ბარახა (36), 1:2 კური ტორესი (72), 2:2 ერგიჩი (90)
ბაზელი: ცუბერბიულერი, ცვისიგი, ჰაასი, მ. იაკინი, დუროზი, ჯ. ვარელა (როსი 65), ქაპოზოტო (კუმანტარაკისი 85), კანტალუპი, ერგიჩი, ჰ. იაკინი, ხიმენესი (ტუმი 60)
მწვრთნელი: კრისტიან გროსი
ვალენსია: კანისარესი, პელეგრინო, აურელიო, აიალა, კური ტორესი, ბარახა (მარჩენა 76), რუფეტე (ანგულო 71), დე ლოს სანტოსი, კილი გონსალესი, ხუან სანჩესი (კარიუ 80), მისტა
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაძევება: აიალა (88)
მსაჯი: ჰელმუტ ფლაიშერი (გერმანია)
29 503 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალენსია | 4 | 3 | 1 | 0 | 13:4 | 10 |
| ლივერპული | 4 | 2 | 1 | 1 | 9:4 | 7 |
| ბაზელი | 4 | 1 | 2 | 1 | 7:9 | 5 |
| სპარტაკი | 4 | 0 | 0 | 4 | 1:13 | 0 |

### C ჯგუფი

**რეალი 2:2 აეკ**

1:0, 2:0 მაკმანამანი (24, 43), 2:1 კაცურანისი (74), 2:2 სენტენო (86)
რეალი: კასილიასი, სალგადო, იერო, ელგერა, რობერტო კარლოსი (ბრავო 76), მაკმანამანი (მინამბრესი 83), კამბიასო, სოლადესი, ზიდანი (სოლარი 62), რონალდო, გუტი
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
აეკ: ხიოტისი, კოსტენოგლუ, რაიტი, კაპსისი, გეორგატოსი (სენტენო 70), ლაკისი, კაცურანისი, ზაგორაკისი, კასაპისი, ცარტასი (მალადენისი 54), ნიკოლაიდისი (ივიჩი 54)
მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)
65 000 მაყურებელი

**რომა 0:0 გენკი**

რომა: ანტონიოლი, კაფუ (ბომბარდინი 83), ძებინა, სამუელი, პანუჩი, კანდელა, ლიმა, ტომაზი (გიგუ 59), ემერსონი, ბატისტუტა, კასანო (მონტელა 46)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გენკი: შოლენი, ტომაშიჩი, ზოკორა, ვამფორი, ბესლია, რუმანი, დაერდენი (სუზუკი 76), ტოისი, სკოკო, სონკი, დაგანო
მწვრთნელი: სეფ ვერგოოსენი
მსაჯი: ფლეკო სირიჩი (ხორვატია)
25 592 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 4 | 2 | 2 | 0 | 14:5 | 8 |
| რომა | 4 | 1 | 2 | 1 | 1:3 | 5 |
| აეკ | 4 | 0 | 4 | 0 | 5:5 | 4 |
| გენკი | 4 | 0 | 2 | 2 | 0:7 | 2 |

### D ჯგუფი

**ლიონი 3:3 ინტერი**

1:0 ანდერსონი (21), 1:1 კასაპა (31ს.კ.), 2:1 კარიერი (44), 2:2, 2:3 კრესპო (56, 66), 3:3 ანდერსონი (75)
ლიონი: კუპე, ედმილსონი, ბრეშე, მიულერი, კასაპა, ვიოლო (ვერელი 69), დიარა, ჟუნინიო პერნამბუკანო (ლავილი 56), კარიერი, დორასო, ს. ანდერსონი
მწვრთნელი: პოლ ლე გუენი
ინტერი: ტოლდო, ხ. ძანეტი, კორდობა, მატერაცი, კოკო, ს. კონსეისაუ (ადანი 73), დი ბიაჯო (ალმეიდა 24), ემრე ბელოზოღლუ, მორფეო, ვიერი, კრესპო (რეკობა 78)
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
მსაჯი: კიმ მილტონ ნილსენი (დანია)
42 000 მაყურებელი

**აიაქსი 1:1 რუსენბორგი**

1:0 იბრაჰიმოვიჩი (41), 1:1 ენერლი (85პ)
აიაქსი: ტიმერი, ტრაბელსი, ბერგდოლმო, კრივუ, ვან დამი, გალაშეკი, ვიჩგე (ნ. დე იონგი 83), ვან დერ მეიდე, ლიტმანენი, იბრაჰიმოვიჩი (მიდო 71), ხუხარი
მწვრთნელი: რონალდ კუმანი
რუსენბორგი: არასონი, საარინენი, ბასმა, ჰოფტუნი, სტრანდი, ენერლი, სკამელსრუდი (ოლსენი 39), ბერგი, კარადასი, იონსენი, ბრატბაკი (ლუდვიგსენი 74)
მწვრთნელი: ნილს-არნე ეგენი
გაძევება: ვან დამი (84)
მსაჯი: არტურო დაუდენ იბანიესი (ესპანეთი)
42 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 4 | 2 | 1 | 1 | 11:6 | 7 |
| ინტერი | 4 | 1 | 2 | 1 | 7:7 | 5 |
| აიაქსი | 4 | 1 | 2 | 1 | 3:3 | 5 |
| რუსენბორგი | 4 | 0 | 3 | 1 | 3:8 | 3 |



REUTERS ბაზელიდან
ბაზელი — ვალენსია. ივან ერგიჩი ისტორიაში შევიდა: მისი პირველი გოლი ჩემპიონთა ლიგის 2500-ე იყო



REUTERS მოსკოვიდან
სპარტაკი — ლივერპული. მაიკლ ოუენი ვალერი აბრამიძეს და მის თანაგუნდელებს საგოლედ სამჯერ დაუსხლტა



REUTERS ლიონიდან
ლიონი — ინტერი. მილანელმა ერნან კრესპომ ორჯერ შეიკუნტრუშა


REUTERS რომიდან
რომა — გენკი. ვინჩენცო მონტელამ (შუაში) ბევრი კი იჯახირა, მაგრამ ვერაფერს გამორჩა



REUTERS მოსკოვიდან
სპარტაკი — ლივერპული. მოედანზე გადახტომა რუსმა ფანებმაც დაიწყეს, ჯერჯერობით ჩაცმულებმა

### ინგლისი

**პირველი დივიზიონი**
**გადადებული მატჩი**

იფსვიჩი 2:2 ბარნსლი

### ჰოლანდია

**პირველი დივიზიონი**
**გადადებული მატჩი**

ვიტესი 0:2 როდა

### შვედეთი

**XXIV ტური**

მალმიო 0:0 ელფსბორგი

### შოტლანდია

**ლიგის თასი. 1/8 ფინალი**

დანფერმლაინი 2:0 ფოლკირკი
პარტიკი 1:0 დანდი
სტ. ჯონსტონი — ლივინგსტონი გადაიდო
ერდრი — დანდი იუნ. გადაიდო

# ჩემპიონთა ლიგა IV ტური

## G ჯგუფი

### ლანსი — დეპორტივო

**სავარაუდო შემადგენლობები**

| | |
|---|---|
| ვარმუზი, ფერდინანდ კოლი, რ. სონგი, ბაკა, რული, ბლანშარი, კორიდონი, სიბიერსკი, პედრონი, უტაკა, მორეირა | ხუანმი, ექტორი, ნაიბეტი, სეზარი, რომერო, სკალონი, დუშერი, მაურო სილვა, ვრანი, ტრისტანი, მაკაი |

მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი) დისკვალიფიცირებულნი: ლანსი: არავინ; დეპორტივო: არავინ

### მილანი — ბაიერნი

**სავარაუდო შემადგენლობები**

| | |
|---|---|
| დიდა, შიმიჩი, ნესტა, მალდინი, კალაძე, ზეედორფი, პირლო, გატუზო, რუი კოშტა, სერჯინიო, ინძაგი | კანი, ლინკე, კუფური, რ. კოვაჩი, ტარნატი, იერემისი, ბალაკი, შოლი, ზე რობერტო, ელბერი, პიზარო |

მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი) დისკვალიფიცირებულნი: მილანი: არავინ; ბაიერნი: არავინ

# ბეკენბაუერს არ სჯერა, რაც ჰიცფელდს სჯერა

„ბაიერნი" დარწმუნებულია, რომ დღეს „სან სიროზე" „მილანს" აუცილებლად მოუგებს. თითქოს ყველამ პირი შეკრაო, პრეზიდენტ ფრანც ბეკენბაუერიდან დაწყებული, სათადარიგო ფეხბურთელით დამთავრებული გაიძახიან: „მილანი ჩვენთვის ბედნიერი ქალაქია, ჩემპიონთა თასი ხომ „ბაიერნმა" სწორედ აქ მოიპოვა".

ერთი სიტყვით, მიუნხენელები მხოლოდ რევანშისთვის ჩავიდნენ იტალიაში, მაგრამ თავად „მილანს" არ ეკითხებით? ეს გუნდი ხომ დღეს საოცარ ფეხბურთს თამაშობს, დაუმარცხებელია და არა გვგონია, მეტოქეს, თუგინდ „ბაიერნი" იყოს, საკუთარი ქომაგის თვალწინ რამე დაუთმოს.

დღეს „სან სიროზე" ტიტანთა ბრძოლას ვიხილავთ, ჯგუფის ლიდერი და ასპროცენტიანი შედეგის მქონე „მილანი" ყველას გასაკვირად ერთქულიან „ბაიერნს" თავისი მოტივაციით ეთამაშება. გასამარჯვებლად მასპინძელთა განწყობას ის ამლიერებს, რომ „მილანმა" თუ მოიგო, მაშინ „ბაიერნი", ფაქტობრივად, ჯგუფშია ჩარჩენილი, ეს კი „როსონერისთვის" შემდეგი ეტაპიდან კონკურენტის მოცილებას ნიშნავს, მიუნხენელთა მოტივაცია კი გასაგებია — მხოლოდ გამარჯვება!

ოლივერ კანისთვის ეს შეხვედრა სიკვდილსიცოცხლის ტოლფასი ყოფილა: „რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, „მილანი" მისსავე მოედანზე უნდა დავამარცხოთ, თუ ეს მოვახერხეთ, „ბაიერნი" ჯგუფიდან აუცილებლად გავა". კანს ეთანხმება მწვრთნელი ოტმარ ჰიცფელდიც. აი, ფრანც ბეკენბაუერს კი თავისი გუნდისა ნაკლებად სჯერა: „ჯგუფიდან გასვლის შანსი არც ისე მაღალია. „ბაიერნს" „მილანის" დამარცხება ძალიან გაუჭირდება".

ოტმარ ჰიცფელდი, სავარაუდოდ, ძირითადის სამ ფეხბურთელს მოისაკლისებს — ფრანგ მცველ ვილი სანიოლს, ბოსნიელ ჰავბეკ ჰასან სალიჰამიჯიჩსა და ინგლისელ გარემარბ ოუენ ჰარგრივსს ტრავმები აწუხებთ. სამაგიეროდ, მწყობრშია მეჰმეთ შოლი, თურქული წარმოშობის გერმანელმა ბუნდესტურის ბოლო მატჩში „ჰანზასთან" ითამაშა და არცთუ ურიგოდ.

თავის მხრივ გულმოდგინედ ემზადება დიდი მატჩისთვის კარლო ანჩელოტის საშწყსო. „მილანმა" რივალდო ნაღდად მოისაკლისა, ბრაზილიელი ორი დღით სამშობლოში გაფრინდა ოჯახური პრობლემების გამო. გამოჯანმრთელდა ფილიპო ინძაგი, „სუპერპიპო" დღეს თამაშს სასტარტოში დაიწყებს, მაგრამ მას ვინ შეუწყვილდება, ანჩელოტის ჯერ არ გადაუწყვეტია. მოშჯობინებული ანდრეი შევჩენკო განაცხადში აუცილებლად იქნება, ოქმში ჩაიწერება დანიელი ტომასონის გვარიც, აი, მინდორზე კი ჯერ სერჟინიო იქნება და თუ დასჭირდა, შევჩენკოსა და ტომასონსაც კარლიტო მერე ჩართავს საქმეში, გვარწმუნებენ იტალიიდან.

ჯგუფის და დღის მატჩი „სან სიროზე" კია, მაგრამ ურიგო არც „ლანსი" — „დეპორტივოს" შეხვედრა უნდა გამოდგეს. ფრანგებს დასაკარგი არაფერი აქვთ, სტუმრებს კი მოგება ნამდვილად არ აწყენთ — თუ „ბაიერნმა" წაიფორხილა და „დეპორმა" მოიგო, ორი ტურით ადრე შევიტყობთ გამსვლელთა ვინაობას. ეს იცის ლაკორუნიელთა მწვრთნელმა ხავიერ ირურეტამაც და ლანსის „ჟან-ფელიქს ბოლერზეც" უძლიერესი შემადგენლობა გაჰყავს. ხოსე ფრანსისკო მოლინას ამბავი ალბათ, გეცოდინებათ და დღეს რომ „დეპორის" კარს ხუანმი გარსია დაიცავს, წყალი არ გაუვა. „ლანსის" მწვრთნელი მოწინააღმდეგისთვის ბურთის გატანას ჯონ უტაკასა და დანიელ მორეირას დუეტით აპირებს.

„ჩვენ ვიცით „დეპორტივოს" ძალა, ესპანელები ყველაფერს გააკეთებენ, რათა აქაც მოგვიგონ, მაგრამ არც „ლანსია" ჯაბანი, ამას მეტოქეს დღეს დავუმტკიცებთ" — აცხადებს მცველი სირილ რული.

**გიორგი ვაშაკიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 3 | 3 | 0 | 0 | 8:2 | 9 |
| დეპორტივო | 3 | 2 | 0 | 1 | 6:7 | 6 |
| ბაიერნი | 3 | 0 | 1 | 2 | 4:6 | 1 |
| ლანსი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | 1 |



ზე რობერტოს და პაოლო მალდინის „სან სიროზე" არანაკლები ომი ექნებათ

# გაალღეთ გული, ოლი დაბრუნდა!

## გერმანელი ტიტანის სამკვირიანი თავგადასავალი

ᲬᲐᲕᲐ, ᲓᲐᲠᲩᲔᲑᲐ, წავა, დარჩება — მკითხაობდა გასულ კვირაში მთელი გერმანია. გერმანელები თავიანთ ტიტანზე მკითხაობდნენ, ადამიანზე, რომელიც ამ ზაფხულს ცაში აიყვანეს და ბოლო დღეებში მიწაზე დაანარცხეს. კითხვას პასუხი თავად ტიტანმა გასცა — მორჩა, ფორმაში ვარ, ნაკრებშიც 2006 წლამდე დავრჩები — თქვა ოლივერ კანმა და თანამემამულეებიც შვებით ამოასუნთქა.

ყველაფერი კი მას მერე დაიწყო, რაც სამიოდე კვირის წინ „ლევერკუზენი" — „ბაიერნის" შეხვედრაში ოლივერ კანი კარიდან გამოვარდა, ლევერკუზენელთა შემტევ ბრდარიჩს კისერში ხელი წაავლო და ძირს დააგდო. მას მერე, მთელი გერმანია კანის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე ალაპარაკდა, მეკარეც ნერვებს აჰყვა და ოქტომბერი ჟურნალისტთა და გმირი კანის დაპირისპირებად იქცა. კოზირი გასულ შაბათამდე მედიელებს ეჭირათ — ბოლო ხანს მეკარეს, რომელიც მედიელებისვე თქმით, გერმანიის ნაკრების კარს მსოფლიოს ჩემპიონატზე ისევე უსაფრთხოდ იცავდა, როგორც პრეზერვატივი სექსისას, ვადა გაუვიდა. წინა შაბათამდე კანმა ზედიზედ ათ შეხვედრაში ვერ შეინახა კარი მშრალად. სიმართლე ითქვას, კანის რომელიმე გოლში დადანაშაულება ძნელიც კი იყო, უბრალოდ აუღებელს რომ ვერ იღებდა, მაგიტომ აკრიტიკებდნენ. მეკარე, რომელიც მთელ გერმანიას გულში ეჯდა, თითქოს იქიდან გამოაგდეს და კარი მიუხურეს.

ჯერ კიდევ გასულ ზაფხულს, მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულებისთანავე გერმანელების მიერ ცაში აყვანილმა და განდიდებულმა ოლიმ თქვა: „ვიცი, ახლა ხოტბას მასხამენ, მაგრამ დაიწყება ბუნდესლიგა და მე ისევ „ბაიერნის" კანი გავხდები, ბევრს დამისტვენენ და გამლანძღავენ". ისე აგიხდეთ ყველაფერი, როგორც კანს აუხდა ეს წინასწარმეტყველება. ოლი, ნუთუ გაშვებულმა გოლებმა ისევ ადამიანად გაქცია? — ჰკითხა „შპორტ ბილდმა" გასულ სამშაბათს, ფარერების ნაკრებთან მატჩის წინ მეკარეს და ისეთი პასუხი მიიღო, მთელი გერმანია ააფორიაქა. „მოეშვით ადამიანის გალმერთებას და მერე განადგურებას. ეს არავის აინტერესებს. ცხოვრებაში ყველაფერი მარტივადაა, როცა საჭირო აღარ ხარ, განა გეხმარებიან, პირიქით, თამაშგარეთ გტოვებენ. ახლა იმაზე ვფიქრობ, ღირს კი ნაკრებში თამაში? იცით, როცა ჩემოდანს ვკრავ და სახლიდან რამე თამაშზე მივდივარ, ჩემი 3 წლის გოგონა ტირილით მორბის და მეკითხება, მამა სად მიდიხარ? ახლაც ასე იყო, რომ მკითხა, ვუპასუხე, მივდივარ, რადგან ფარერებს უნდა ვეთამაშო. ჰოო, ძალიან საინტერესოა, თქვა იქვე მდგომმა ჩემმა მეუღლემ. უკვე მომბეზრდა ყველაფერი, აქამდე რომ მეკითხებოდნენ, ვპასუხობდი — მსოფლიოს ჩემპიონატზე მივდივარ, ჩემპიონთა ლიგის მოსაგებად მივდივარ, ბუნდესლიგის თასი უნდა ჩამოვიტანო და ასე შემდეგ. ახლა კი ყველაფერი მომბეზრდა, ნაკრებში დარჩენის მოტივაციას ველარ ვხედავ, კი, ევროპის ჩემპიონის ტიტულიც არ იქნებოდა ურიგო, მაგრამ მაინც" — გააშრო კანის პასუხმა გერმანელები.

კანი გაალიზიანა ბრდარიჩის ამბის გახსენებამაც. „კარგით ბატონო, ბრდარიჩიც მართალია და თქვენც მართლები ხართ, მომისაჯეთ ექსკვირიანი დისკვალიფიკაცია და ამოვისუნთქებ, წესიერად მაინც დავისვენებ, მე ხომ ამ ზაფხულს სულ სამი კვირა მქონდა შვებულება — ამბობს ირონიით ტიტანყოფილი და ამატებს — ვერ ვხვდები, რას მოითხოვენ ჩემგან. მე ხომ შეცდომა ფაქტობრივად არ დამიშვია. ამ ბურთს მსოფლიოს ჩემპიონატზე არ გაუშვებდიო, რომ მეუბნებიან, მაგაზე ჩემი პასუხი ასეთია, გეთანხმებით, მსოფლიოს ჩემპიონატზე და არა მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ".

იმავე „შპორტ ბილდს" კანმა უთხრა: „შემიძლია ახლავე ვთქვა, ბატონებო, ძალიან კარგი იყო თქვენთან ერთად, ვფიქრობ სიამოვნება მოგანიჭეთ ჩემი თამაშით, მეც საკმაო ფული დავაგროვე. ჰოდა, კარგად იყავით. AUF WIEDERSEHEN! საერთოდ, მებრძოლი ტიპი ვარ და ჩემს თავს ახალ მოტივაციას ვუძებნი-ხოლმე. ახლაც შემიძლია ვუთხრა საკუთარ თავს, ოლი, დარჩი, შენ ხომ შეგიძლია მსოფლიოს ჩემპიონი გახდე. თუმცა არა მგონია, ეს საკმარისი სტიმული იყოს, მე ხომ ჩემპიონთა ლიგა მაქვს მოგებული, რაც უდიდესი სიხარულია. თანაც ხუთ თვეში მეორე ბავშვს ველოდებით მე და სიმონე, მეუღლე, რომელთან ურთიერთობაზეც ათას ჭორს ყრიდნენ. ასე რომ, მსოფლიოს ჩემპიონობა კარგია, მაგრამ ყველა ფასად არ მიღირს. მე „ბაიერნზე" უფრო ვფიქრობ. ახლაც შემიძლია, რუდისთან მივიდე და ვთხოვო, ნაკრებიდან გამათავისუფლოს და ათი დღე დავისვენო, მაგრამ, არა. 23 ოქტომბერს „მილანთან" „ბაიერნის" ჩემპიონთა თასზე ყოფნა-არყოფნა წყდება და გუნდს ვერ დავალალატებ, ფორმაში უნდა ვიყო. ახლა ხომ უფრო დიდი ტვირთი მაწევს, ვიდრე ეფენბერგის წასვლამდე. ყველამ იცის, რომ ეფე ჩემი ახლო მეგობარია. მისნაირი ტიპები 25 წელიწადში ერთხელ იბადებიან. მართალია, ბოლო დროს ფორმაში ვერ იყო, მაგრამ რომ მახსენდება შარშან მადრიდში თამაში, ვხვდები, ფორმიდან ამოვარდნილიც კი რამხელა ფიგურა იყო. მაშინ „რეალთან" მეორე ყვითელი მიიღო, ამ ამბავმა რობერტო კარლოსი ბავშვივით გაახარა. იმ წუთას საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ მისი ვარსკვლავებსაც ეშინოდათ. ისე, „რეალი" ხომ ვარსკვლავების გუნდია, მაგრამ მანდ ვერ ვითამაშებდი. ვგეთ გუნდში რა მინდა? მე-18 მოვიგო ჩემპიონთა თასი და 70-ედ ესპანეთის ჩემპიონატი? არა, მირჩევნია „ბაიერნთან" ერთად ავიღო რამე ტიტული. და რა იქნებოდა, წლეულს მსოფლიოს ჩემპიონები რომ გავმხდარიყავით? ნაკრებიდან წავიდოდი, მაგრამ ალბათ, ახლაც წავალ, ფარერების კუნძულებთან და მსგავს გუნდებთან თამაში აღარ მაინტერესებს. ამიტომაც, ჩემს წასვლა-დარჩენას ჩემი ოჯახი გადაწყვეტს".

აი, ეს წერილი იყო, გერმანიას რომ ამ სტატიის დასაწყისში მოყვანილი მკითხაობა დააწყებინა. თუმცა, ვიდრე პასუხს თავად ოლისგან მოისმენდნენ, კიდევ ერთხელ მოიფხანეს გული ჟურნალისტებმა. ეს გერმანელთა კარში ფარერებთან გაშვებულ გოლს და მხოლოდ მინიმალურ გამარჯვებას მოჰყვა. კრიტიკის ქარცეცხლში მარტო კანი კი არა, მთელი ნაკრები მოჰყვა. კანმა კი ეროვნული გუნდის ცუდ თამაშში „ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტი კარლ-ჰაინც რუმენიგე დაადანაშაულა, რომელსაც მატჩამდე უთქვამს, ფარერებს ექვსიდან რვა გოლამდე გავუტანთო. რუმენიგეს ამ განცხადებას, მეკარის მწარე რეაქცია მოჰყვა: „არ მესმის, როგორ ამბობს რუმენიგე ამას. როცა მეტოქე ასეთ რამეს მოისმენს, ცხადია, საბრძოლველად შეიმართება, წარმოიდგინეთ ჩემი განწყობა, ვინმემ რომ მითხრას ათ გოლს გაგიტანო. როგორც ჩანს, ბევრი ვერ მიხვდა, რომ ფეხბურთის თამაში ყველამ ისწავლა". ამას „ბილდის" კომენტარი მოჰყვა: „ჰერ, კ[illegible] ჩვენ თქვენგან ასეთი იაფფასიანი თავის მა[illegible]ებას კი არა, კარგ თამაშს ვითხოვთ".

ყოველივე ამის მერე გავიდა ორი დღე და „ბაიერნმა" ბუნდესლიგის მეცხრე ტურში სტუმრად „ჰანზა" 1:0 დაამარცხა. კანმა ათმატჩიანი უილბლო სერია შეწყვიტა და კარი, როგორც იქნა, მშრალად შეინახა. იმ შეხვედრაში ოლის, მართლაც დიდი კონცენტრაცია ეტყობოდა, ალებულ ბურთს ხშირად კოცნიდა. თამაშის მერე კი თქვა: „მე დავბრუნდი!" გაზეთის ფურცლებზეც კანის საქებარი სათაურები გამოჩნდა, თავად ოლიმ კი მკითხავებს სხვა საქმე გაუჩინა: „როგორც იქნა! ბოლო დროს თავს საშინლად ვგრძნობდი, დღეს კი ჩინებულად ვარ. საქმე ის კი არაა, რომ „ჰანზასთან" გოლი არ გავუშვი, უბრალოდ, კარში რომ ვიდექი, ვატყობდი, რომ ანთებული და ძალ-ღონით სავსე ვიყავი. ბოლო ხანს, მძიმე პერიოდი მქონდა, ნაკრებიდანაც წასვლას ვაპირებდი, მაგრამ მეუღლესთან ერთად დიდხანს ვისაუბრე ამ საკითხე და გადავწყვიტე 2006 წლამდე დავრჩე, ცხადია, თუ ჯანმრთელი და ფორმაში ვიქნი. ახლა თავს ბრწყინვალედ ვგრძნობ. თუმცა ძნელია 365 დღე ერთნაირ, ტოპფორმაში იყო. მეგოლფე ტაიგერ ვუდსი, მაგალითად, ყოველი წარმატების მერე 4 კვირა ისვენებს და მერე ახალი მოტივაციით უბრუნდება გოლფს, ფეხბურთში ეს შეუძლებელია. თუმცა შევეცდები, არა მარტო შევინარჩუნო ფორმა, არამედ უფრო უკეთაც ავთამაშდე. ბევრი კი ამას არარეალურად აღიქვამს, მაგრამ მე ვთვლი, რომ თამაშის გაუმჯობესება შემიძლია, იმედი მაქვს, რომ კარიერის პიკისთვის ჯერაც არ მიმიღწევია და ეს ჟამი 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე დადგება" — თვალებანთებული ამბობს 33 წლის ტიტანი.

**ვანო ოქროპირიძე** *ბერლინიდან*

# ჩემპიონთა ლიგა IV ტური

## E ჯგუფი

### დინამო — ფეიენოორდი

სავარაუდო შემადგენლობები

რევა, ბოდნარი, ხაცკევიჩი, გავრანჩიჩი, დმიტრულინი, ბელკევიჩი, პეევი, გიოანე, გუსინი, ჩერნატი, შაცკიხი

ზუტებირი, ემერტონი, პაუვე, ვან ვონდერენი, რუესა, ჩ. სონგი, ბოსველტი, ონო, პარდო, ბუფელი, ბომბარდა

მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია) დისკვალიფიცირებულნი: დინამო: არავინ; ფეიენოორდი: არავინ

### ნიუკასლი — იუვენტუსი

სავარაუდო შემადგენლობები

გივენი, გრიფინი, ბრემბლი, ე. ობრაიენი, ჰიუზი, სოლანო, ჯენასი, სპიდი, რობერი, ლუა ლუა, შირერი

ბუფონი, ტურამი, ფერარა, იულიანო, ბირინდელი, ტაკინარდი, დავიდსი, კამორანეზი, ნედვედი, დელ პიერო, დი ვაიო

მსაჯი: რუნე პედერსენი (ნორვეგია) დისკვალიფიცირებულნი: ნიუკასლი: კრეიგ ბელამი (2 მატჩი), ნიკოს დაბიზასი (1 მატჩი); იუვენტუსი: არავინ

## ვაიო, მადლი ჰქენიო

„ნიუკასლ იუნაიტედის" დაცვის გულში დისკვალიფიცირებული ნიკოს დაბიზასის ნაცვლად ტიტუს ბრემბლის გამოჩენას ელიან. ინგლისის ნაკრების წევრმა, კირონ დაიერმა ზურგის ტკივილს ვერ სძლია და ალან შირერთან ერთად „იუვენტუსის" კარს ვერ შეუტევს — აღსანიშნავია, რომ დისკვალიფიცირებულია კრეიგ ბელამიც.

ნახევარდაცვაში ისევ ითამაშებს 19 წლის ჯერმენ ჯენასი, რომელიც გარი სპიდთან პარტნიორობას დაეჩვია, მაგრამ, ყველაზე მთავარი ის არის, რომ ამ თუ იმ შემადგენლობით, ინგლისელებმა, ჩემპიონთა ლიგაში ზედიზედ სამი დამარცხების შემდეგ, უნდა გაიმარჯვონ.

მათი გამარჯვება კი „იუვენტუსის" დამარცხებას ნიშნავს. რა სიახლეა ტურინელებთან? უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ მოედანს დაუბრუნდება მარკო დი ვაიო — თავდამსხმელი, რომელიც ჩემპიონთა ლიგის პირველ შეხვედრაში, „დელე ალპის" მინდორზე, გონდაკარგული დაეცა. ახლა, დი ვაიო მარსელო სალასის ნაცვლად ითამაშებს. გეხსომებათ, სალასმა იტალიის პირველობის ბოლო ტურში ალესანდრო დელ პიეროს მხარდამხარ ითამაშა, მაგრამ გუნდმა „ინტერის" კარში ერთი გოლის მეტი ვერ შეაგდო და ფრიად დაძაბული შეხვედრა 1:1 დასრულდა.

ნახევარდაცვაში იგორ ტუდორის მაგივრად ალესიო ტაკინარდი გამოჩნდება — ტაკინარდის ბარძაყის კუნთი ჰქონდა გაჭიმული.

ამასობაში კი კიევის „დინამო" „ფეიენოორდს" უმასპინძლებს. დინამოელებს ამ შეხვედრაში უბრუნდებიან უკრაინის ნაკრების მცველი იური დმიტრულინი, რომელიც საზარდულის ტრავმას ჰყავდა დატანჯული და ბელარუსი გამთამაშებელი ვალენტინ ბელკევიჩი, რომელსაც კოჭი სტკიოდა.

ამ შენამატის მიუხედავად, კიეველებს კვლავ არ ეყოლებათ ოთხეული: ალექსანდრ გოლოვკო, ვლადისლავ ვაშჩუკი, სერგეი ფიოდოროვი და ანდრეი ნესმაჩნი.

რაც შეეხებათ როტერდამელებს, მათი მწვრთნელი ბერტ ვან მარვიიკი ყველაზე მეტად საუკეთესო ბომბარდირის, პიერ ვან ჰოიდონკის არყოლას განიცდის. ვან ჰოიდონკი ფეხნატკენი გახლავთ, რის გამოც რამდენიმე კვირას გამოტოვებს. საეჭვოა პატრიკ პაუვესა და პოლ ბოსველტის თამაშიც.

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე ტურია „ფეიენოორდი" ულიმლამოდ თამაშობს, რისი დასტურიც ის გახლავთ, რომ ბოლო სამ შეხვედრაში ერთადერთი ქულის მოპოვება შაბათს, „ვიტესთან" შეხვედრაშილა შეძლო.



მარკო დი ვაიო

ბაჩუნა ძიდია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 3 | 2 | 1 | 0 | 8:1 | 7 |
| ფეიენოორდი | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 5 |
| დინამო | 3 | 1 | 1 | 1 | 2:5 | 4 |
| ნიუკასლი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:5 | 0 |

## F ჯგუფი

### ლევერკუზენი — მაკაბი

სავარაუდო შემადგენლობები

ბუტი, ჟუანი, ლუსიო, პლასენტე, სებესკენი, შნაიდერი, რამელო, ბაშტურქი, ბაბიჩი, ნოივილი, ბრდარიჩი

ავატი, კეისი, ბენადო, ხარაზი, ზანო, ქატაუტასი, ბადირი, პრალია, როსო, კატანი, აიეგბენი

მსაჯი: ერიკ პულა (საფრანგეთი) დისკვალიფიცირებულნი: ლევერკუზენი: არავინ; მაკაბი: ერიკ ეჯიოფორი (1 მატჩი)

### ოლიმპიაკოსი — მანჩესტერი

სავარაუდო შემადგენლობები

ელევთეროპულოსი, ანტზოლაკისი, პაცატზოგლუ, ვენეტიდისი, ანცასი, იანაკოპულოსი, ჯორჯევიჩი, კარამბე, დრაჩენა, ზეტერბერგი, ჯოვანი

ბარტეზი, გ. ნევილი, ბლანი, ოში, სილვესტრი, ბეკჰემი, ფ. ნევილი, ვერონი, გიგზი, სქოულზი, სოლსკიაერი

მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია) დისკვალიფიცირებულნი: ოლიმპიაკოსი: ზე ელიასი (3 მატჩი); მანჩესტერი: არავინ



ალექს ფერგიუსონს საფიქრალს რა გამოულევს

## ასპირინი ლევერკუზენშიც თუ გაუჭირდათ...

„ლევერკუზენი" ნელ-ნელა იბრუნებს ჩვეულ ფორმას. სეზონის დასაწყისში ბუნდესლიგასა და ჩემპიონთა ლიგაში განცდილი მარცხების შემდეგ ბუნდესლიგაში სიტუაციის თავის სასარგებლოდ შემობრუნება დაიწყო, ჩემპიონთა ლიგაში კი ჯერჯერობით მხოლოდ 3 ქულა აქვს, რომელიც სწორედ „მაკაბისთან" მატჩი მოიპოვა. დღევანდელ შეხვედრაშიც „ლევერკუზენი" მორიგი სამი ქულის ჩაწერას შეეცდება. კლაუს ტოპმიოლერმა შესაძლოა, ბულგარელი ბერბატოვი და ბერნდ შნაიდერი მოისაკლისოს. პირველს ტრავმა აწუხებს, მეორეს — გრიპი. თუმცა გამარჯვების იმტაზე მოსული „ბაიერი" „მაკაბის" ნებისმიერ შემთხვევაში გამწარებას უპირებს. „ორი თამაში დაგვრჩა ჩვენს მოედანზე, თუ ორივეს მოვიგებთ, ჯგუფიდან გავალთ, ეს არის და ეს " — საკმაოდ თავდაჯერებულად განაცხადა მსოფლიოს ჩემპიონმა ლუსიომ.

ებრაელების მთავარი თავსატეხი კი ალონ ხარაზის ტრავმაა. „მაკაბის" ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ ალონი გერმანიაში მაინც ითამაშებს, თუმც ეს ჯერჯერობით მაინც საეჭვოა. „ლევერკუზენთან" დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშებს ცენტრალური მცველი ერიკ ეჯიოფორიც.

ბერძნულმა „ოლიმპიაკოსმა" ჩემპიონთა ლიგა გერმანელთა გასილაქებით დაიწყო, თუმცა ბოლო ტურში თავად გახდა მანჩესტერის მსხვერპლი. მასპინძელთა შორის თავდასხმასა და ნახევარდაცვაში იქნება ცვლილებები. ტრავმირებული ალექსანდრისის ადგილს ტრავმამოშუშებული ლამბროს ხუტოსი დაიკავებს, დისკვალიფიცირებული ზე ელიასი კი შესაძლოა, მეორე ბრაზილიელმა, ამ ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების წევრმა ედუ დრაჩენამ შეცვალოს. მწყობრში ჩადგა მარცხენა მცველი სტელიოს ვენეტიდისიც. რაც მთავარია, „მანჩესტერთან" ჩემპიონთა ლიგაში ბერძენთა ახალი მწვრთნელის იანის კოლიასის დებიუტიც შედგება. ინგლისელები პიროსს ტრავმირებული ვან ნისტელროის გარეშე ეწვევიან. ტრავმირებულია ნიკი ბატიც. ლაზარეთს ჯერ კიდევ ტრავმამოუშუშებელი რიო ფერდინანდი, ვეს ბრაუნი და როი კინიც ემატებიან. ასე რომ, „ოლდ ტრეფორდზე" „ოლიმპიაკოსის" განადგურების შემდეგ დღეს „მანჩესტერს" სტუმრად გასეირნება ნამდვილად არ ელის.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 3 | 3 | 0 | 0 | 11:3 | 9 |
| მაკაბი | 3 | 1 | 0 | 2 | 5:7 | 3 |
| ოლიმპიაკოსი | 3 | 1 | 0 | 2 | 6:9 | 3 |
| ლევერკუზენი | 3 | 1 | 0 | 2 | 5:8 | 3 |

## H ჯგუფი

### ბრიუგე — გალათასარაი

სავარაუდო შემადგენლობები

ვერლინდენი, ბ. მარტენსი, სიმონსი, კლემენტი, დე კოკი, ენგლებერტი, ჩეპი, სტოიკა, ვან დერ ჰეიდენი, ვერჰეინი, ს. მარტენსი

მონდრაგონი, უმალი, ბიულენთი, ემრე აშიქი, ალმაგერი, ერგუნი, ფელიპე, სუათი, დავალა უმითი, არიფი, უმით კარანი

მსაჯი: მასიმო დე სანტისი (იტალია) დისკვალიფიცირებულნი: ბრიუგე: არავინ; გალათასარაი: არავინ

### ბარსელონა — ლოკომოტივი

სავარაუდო შემადგენლობები

ვალდესი, პუიოლი, დე ბური, ნავარო, მენდიეტა, ხავი, კოკუ, მოტა, რიკელმე, კლუივერტი, სავიოლა

ოვჩინიკოვი, დრონზდოვი, იგნაშევიჩი, პაშინინი, ევსეევი, სენიკოვი, ობრადოვიჩი, მამინოვი, ლოსკოვი, პიმენოვი, ჟულიო სეზარი

მსაჯი: ალან შამერი (ლუქსემბურგი) დისკვალიფიცირებულნი: ბარსელონა: არავინ; ლოკომოტივი: ჟაკობ ლეკხეტო (1 მატჩი)

## თერიმმა შაში დასვა

### ბარსელონას რიკელმე შეცვლის

„ბრიუგეს" მწვრთნელი ტრონდ სოლიედი, სავარაუდოდ, ჩვეულ განლაგებას, 3-5-2-1 ურთგულებს. ეს სწორედ ის განლაგება გახლავთ, რომელმაც ბელგიელებს სტამბოლში „გალათასარაის" წინააღმდეგ ფრე მოუტანა.

მაგრამ, არის პრობლემებიც: საგულისხმოა, რომ სოლიედმა სამი თამაშით მოიკვეთა ფორვარდი ანდრეს მენდოსა, რასაც ემატება ბრატისლავ რუსტიჩის და სერგეი სერებრანიკოვის ტრავმები, ხოლო თუ ყველაფერს ჰანს კორნელის მკურნალობას და მთავარი ფორვარდის, რუნე ლანგეს სავარაუდო სატკივარს დავამატებთ, ვნახავთ, რომ „ბრიუგეს" განსაკუთრებით არ ულხინს.

ხოლო სტამბოლელები ჩრდილოეთს გოლების პრობლემით მიეშურებიან. გავიხსენოთ: თურქეთის პირველობის ბოლო ტურში მათ „დიაბაქირსფორი" მხოლოდ და მხოლოდ სუსტი მოწინააღმდეგის მიერ საკუთარ კარში შეგდებულმა გოლმა დაამარცხებინა და ასე გამარჯვების წყალობით შეინარჩუნეს ლიდერობა. ამას დავძინოთ, რომ ჩემპიონთა ლიგის ბოლო ორ ტურში „გალათასარაიმ" გოლი ვერ გაიტანა.

ფატიჰ თერიმს ბელგიაში ვერ დაეხმარება მცველი ადამ სარი. ხოლო, რაც შეეხება ასე პოპულარულ ჰასან შაშს, ის თერიმმა შეიძლება არც ათამაშოს.

მეორე წყვილში კი „ბარსელონა" ლუის ენრიკეს გარეშეა — ცნობილ ნახევარმცველს აქილევსის მყესი აწუხებს. შესაბამისად, სასტარტო შემადგენლობაში ხუან რომან რიკელმე იქნება.

რიკელმეს არ უთამაშია ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში, „ვალიადოლიდთან", სადაც „ბარსელონას" ძალიან სჭირდებოდა შემოქმედი ფორვარდი. ერთი სიტყვით, მოსკოვის „ლოკომოტივის" ძლევაში ლუის ვან გაალს არგენტინელი იქნებ ძალიანაც დაეხმაროს.

მოსკოველებს არ ეყოლებათ ნახევარმცველი ჟაკობ ლეკხეტო — ის ორი ყვითლის გამო გამოტოვებს მატჩს. სამაგიეროდ, „სასჯელის ვადა" მოიხადა დმიტრი ლოსკოვმა. მცველს, გენადი ნიჟეგოროდოვს კი წარბი აქვს გვარიანად გახეთქილი.

ბაჩუნა ძიდია



ხავიერ სავიოლას (მარჯვნივ) პასებით ხუან რიკელმე მოამარაგებს

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 3 | 3 | 0 | 0 | 8:3 | 9 |
| გალათასარაი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| ბრიუგე | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| ლოკომოტივი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 |



ბირმინგემელთა მეკარე პეტერ ენკელმანმა საპენალტედაც იუხეშა და...

# ტეილორ, მოგვეშვი!

## ინგლისი

### პრემიერლიგა. X ტური

**ასტონ ვილა 0:1 საუთჰემპტონი**

0:1 ბიტი (48პ)

ასტონ ვილა: ენკელმანი, მელბერგი, ალფაი, სტონტონი, დე ლა კრუზი (მ. ბარი 57), ლ. ჰენდრი (ს. მური 83), კინსელა (ჰისტმა 47), ბერი, ჯ. სამუელი, დაბლინი, ვასელი

მწვრთნელი: გრემ ტეილორი

საუთჰემპტონი: ნიემი, დოდი, ლუნდეკვამი (მ. უილიამსი 73), მიხაელ სვენსონი, ბრიჯი, ფ. ფერნანდესი (ტელფერი 90), დელაპი, ა. სვენსონი, მარსდენი, ბიტი, ორმეროდი (ტესემი 77)

მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი

გაფრთხილება: დელაპი, სტონტონი, ჰენდრი, ბერი

გაძევება: ენკელმანი (46)

მსაჯი: ბენეტი

22 711 მაყურებელი

„ასტონ ვილამ" ნახევრადცარიელ სტადიონზე უმასპინძლა „საუთჰემპტონს" და 0:1 წააგო. „ვილას" მენეჯერ გრემ ტეილორს მაყურებელმა უსტვინა.

კვლავ სულელურად ითამაშა მეკარე პეტერ ენკელმანმა, რომელმაც საკუთარ საჯარიმოში პენალტი და წითელი ბარათი მოიპოვა, თუმცაღა, მცველ ალფაის, რომელიც, თავის მხრივ ტრანსფერზეა დაყენებული, სიტუაციის განმუხტვის შანსი ჰქონდა. ალფაი სტუმარ ორმეროდს ეჯაჯგურებოდა, ამ დროს კი ენკელმანი გამოხტა და მეტოქე ძირს დასცა.

პენალტი ჯეიმს ბიტიმ გაიტანა და სამხრეთელებმა ამ ერთადერთი გოლით მოიგეს.

„ვილას" ფანობას კი არ გაემტყუნება — გრემ ტეილორის გაწვრთნილი გუნდების ცქრა ყოველთვის სატანჯველი რამ იყო და ახლა მით უმეტეს. ამიტომაც ყვიროდნენ ტრიბუნებიდან: „გადააყენეთ ტეილორი!"

„მესმოდა, მაგრამ ეს გასაკვირი არ არის — მშვიდად თქვა ტეილორმა, „გუნდს უჭირს და მენეჯერი განტევების ვაცი ხდება".

სამაგიეროდ, ხარობდა „საუთჰემპტონის" თავკაცი გორდონ სტრაჩანი, რომელსაც ორშაბათს ზუსტად ერთი წელიწადი შეუსრულდა, რაც სამხრეთელ „წმინდანთა" მენეჯერია.

**ირაკლი გამყრელიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლივერპული | 10 | 7 | 3 | 0 | 20:8 | 24 |
| არსენალი | 10 | 7 | 2 | 1 | 25:11 | 23 |
| ტოტენჰემი | 10 | 6 | 1 | 3 | 16:14 | 19 |
| მანჩესტერი | 10 | 5 | 3 | 2 | 13:7 | 18 |
| მიდლსბორო | 10 | 5 | 2 | 3 | 13:6 | 17 |
| ჩელსი | 10 | 4 | 4 | 2 | 18:12 | 16 |
| ფულემი | 9 | 4 | 3 | 2 | 14:9 | 15 |
| ბლეკბერნი | 10 | 4 | 3 | 3 | 16:12 | 15 |
| ევერტონი | 10 | 4 | 2 | 4 | 13:15 | 14 |
| ლიდსი | 10 | 4 | 1 | 5 | 11:10 | 13 |
| ნიუკასლი | 9 | 4 | 1 | 4 | 14:14 | 13 |
| საუთჰემპტონი | 10 | 3 | 4 | 3 | 7:8 | 13 |
| ბირმინგემი | 10 | 3 | 3 | 4 | 11:12 | 12 |
| ასტონ ვილა | 10 | 3 | 1 | 6 | 6:10 | 10 |
| ჩარლტონი | 10 | 3 | 1 | 6 | 8:14 | 10 |
| ვესტ ბრომვიჩი | 10 | 3 | 1 | 6 | 8:16 | 10 |
| ვესტ ჰემი | 9 | 2 | 2 | 5 | 9:16 | 8 |
| სიტი | 10 | 2 | 2 | 6 | 7:17 | 8 |
| სანდერლენდი | 10 | 2 | 2 | 6 | 4:14 | 8 |
| ბოლტონი | 9 | 2 | 1 | 6 | 9:17 | 7 |



...გაძევებაც გაიკვირვა



**პარაგვაელი** მწვრთნელი სერხიო მარქარიანი ათენში ჩასვლას აპირებს, რათა დედაქალაქურ „პანათინაიკოსს" კვლავ სათავეში ჩაუდგეს. „კლუბს თითქმის ყველა პირობაზე შევუთანხმდი, შაბათს უკვე ათენში ვიქნები და თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, კონტრაქტსაც მოვაწერ ხელს" — თქვა პარაგვაელმა. შეგახსენებთ, რომ მარქარიანი წინა სეზონშიც წვრთნიდა „პანას" და ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალშიც გაიყვანა. სამხრეთამერიკელი პორტუგალიელ ფერნანდო სანტუშს შეცვლის, რომელმაც კლუბში ძალიან ცოტა ხანი გაძლო.

**იტალიური „ლაციოს" ორმა არგენტინელმა ლეგიონერმა, ხუან პაბლო სორინმა და კლაუდიო ლოპესმა შესაძლებელია, კარიერა ინგლისში გააგრძელონ. მწვრთნელი რობერტო მანჩინი მარცხენა ფლანგს ბრაზილიელ სეზარს ანდობს, რაც სორინს თამაშის საშუალებას არ აძლევს. მას სავარაუდოდ „მანჩესტერ იუნაიტედს" დაუთმობენ. საგულისხმო ფაქტია, რომ აპენინელებს ინგლისელთათვის იაპ სტამის ტრანსფერის ნახევარი კიდევ არ გადაუხდიათ. რაც შეეხება კლაუდიო ლოპესს, მას „ჩელსის" თავკაცი კლაუდიო რანიერი ეკურკურება. როგორც გახსოვთ, არგენტინელი „ვალენსიაში" სწორედ იტალიელის ხელმძღვანელობით თამაშობდა. არგენტინელის სავარაუდო ღირებულება 15 მილიონი ევროა.**

**სამხრეთ კორეის** ნაკრების მწვრთნელ პარკ ჰანს ფედერაციამ აზიურ თამაშებზე ირანის ნაკრებთან ნახევარფინალში წაგება არ აპატია და გაათავისუფლა. ზაფხულში სწორედ პარკ ჰანმა შეცვალა კორეის ფეხბურთის ამყვავებელი გუს ჰიდინკი.

**იტალიური „ატალანტას" ლიდერი კრისტიანო დონი, რომელიც „სკუადრა აძურას" შეკრებაზე დაშავდა, სავარაუდოდ 3 ნოემბერს დაუბრუნდება მინდორს, როცა ბერგამოელები „პიაჩენცას" უმასპინძლებენ. დონის „ატალანტას" შემადგენლობაში 50-ზე მეტი გოლი აქვს გატანილი. 29 წლის ფორვარდი ადრე „ბრეშასა" და „ბოლონიაში" თამაშობდა.**

**ინგლისური** „მანჩესტერ იუნაიტედის" ფრანგი მეკარე ფაბიენ ბარტეზი შარში გაეხვია. მან „ლიდსთან" გასვლით მატჩში, რომელიც მანჩესტერელებმა 0:1 წააგეს, ტრიბუნაზე ბოთლი ისროლა, რომელიც გულშემატკივარ კოლინ რიჩმონდს სახეში მოხვდა. ეს ინციდენტი ჰარი კიუელის გოლის გატანისთანავე მომხდარა. ბარტეზს, სანამ მტყუან-მართალი გაირკვევა, სასამართლოში წოწიალი მოუწევს.

**ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში 17 დეკემბერს 2002 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელს დაასახელებენ. ეს ცერემონია მადრიდში „რეალის" ასწლოვანი იუბილის გამო დაინიშნა. სპეციალისტთა აზრით, ტიტულის მოპოვების მთავარი კანდიდატები ბრაზილიელი რონალდო, ფრანგი ზინედინ ზიდანი და პორტუგალიელი ლუიშ ფიგუ არიან. 2001 წლის საუკეთესო ფეხბურთელად კი, შეგახსენებთ, პორტუგალიელი დასახელდა. ოფიციალურ კანდიდატთა სამეულს ფიფა ნოემბერში გამოაცხადებს.**

**იტალიაში** არ ცხრება ლაპარაკი „სკუადრა აძურას" მწვრთნელის ჯოვანი ტრაპატონის გადადგომის შესახებ. ამის თაობაზე „ლაციოს" მესაჭე რობერტო მანჩინიმ განაცხადა: „ვთვლი, რომ ტრაპატონი უნდა დარჩეს, მაგრამ თუ ფედერაცია გადაწყვეტს, რომ იგი მაინც უნდა გაუშვას, აუცილებლად ჯანლუკა ვიალი უნდა მოიწვიონ. იგი ნაკრებში ახალი იდეებით მოვა, რაც „სკუადრა აძურას" ძალიან სჭირდება." შეგახსენებთ, რომ მანჩინი და ვიალი იმ „სამპდორიას" ლიდერები იყვნენ, რომელმაც სკუდეტო მოიპოვა და ჩემპიონთა ლიგის ფინალში 1992 წელს „ბარსელონასთან" ოდენ დამატებით დროში წააგო.

**ინგლისური „ლიდსის" მზვერავებმა ნამდვილი კოშმარი გამოიარეს ისრაელში ყოფნისას. ელანდროოუდელები ებრაულ „ჰაპოელს" დაუპირისპირდებიან უეფას თასზე და მზვერავებიც ამიტომ გაუშვეს. „ჰაპოელი" გასვლით მატჩს ატარებდა „ბნეი იეჰუდასთან" და მასპინძელი ქომაგები ქვებს ყრიდნენ მოედანზე. პოლიციამ რის ვაი-ვაგლახით შეძლო აბობოქრებული ბრბოს დამოშმინება. მზვერავებმა შიშისგან ვერაფრის ჩანიშვნა ვერ შეძლეს და ხელცარიელნი დაბრუნდნენ სამშობლოში. მათ მხოლოდ მადლობა მოუხადეს უეფას, რომ ებრაულ კლუბებს საერთაშორისო მატჩებს ნეიტრალურ მოედანზე ატარებინებს. „ლიდსი" და „ჰაპოელი" ფლორენციაში შეხვდებიან.**

**რუსეთის** დედაქალაქ მოსკოვში, „ლუჟნიკებზე", 1982 წლის 20 ოქტომბერს მომხდარ ტრაგედიას 66 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ტრაგედია მოსკოვის „სპარტაკისა" და ჰოლანდიური „ჰაარლემის" უეფას თასის შეხვედრის დასრულების შემდეგ მოხდა. ამ შემზარავი ფაქტიდან 20 წლისთავზე ინციდენტის ადგილას რუსეთის მართლმადიდებლურმა ეკლესიამ დაღუპულებს პარაკლისი გადაუხადა.

**ესპანური „რეალის" ვარსკვლავები ზინედინ ზიდანი და რონალდო გაეროს მიერ მოწყობილ „სიღარიბის დაძლევის" კამპანიაში მიიღებენ მონაწილეობას, რომელიც ოქტომბრის ბოლოს გაეროს შტაბბინაში, ნიუ-იორკში გაიმართება.**

**ინგლისურ** „მანჩესტერ იუნაიტედს" ძვირად უჯდება თავისი ამჟამინდელი თუ ვეტერანი ფეხბურთელების მწერლური გატაცებანი. ჰოლანდიელი იაპ სტამის და ირლანდიელი როი კინის გამოქვეყნებულ წიგნებს რაც მოჰყვა, გემახსოვრებათ. ახლა მათ 60-იანი წლების ოლდტრეფორდელმა გარი გრეგმაც მიჰბაძა — ფეხბურთელმა, რომელიც 1958 წელს ცნობილ ავიაკატასტროფას გადაურჩა. იგი თავის წიგნში „გარის თამაში", აცხადებს, რომ 60-იან წლებში „მანჩესტერმა" რამდენიმე ჩაწყობილ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. „დიახ, მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი გრანდი თამაშებს აწყობდა. ვფიქრობ, ამ საქმეში გარეულ ხალხს სინდისი სიცოცხლის ბოლომდე არ მოასვენებს" — თქვა გარი გრეგმა.

## ნორვეგია

25-ე ტური: ოდ გრენლანდი — ლინი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| როზენბორგი | 25 | 16 | 5 | 4 | 53:30 | 53 |
| მოლდე | 25 | 15 | 4 | 6 | 45:23 | 49 |
| ლინი | 25 | 14 | 5 | 6 | 36:28 | 47 |
| ვიკინგი | 25 | 10 | 11 | 4 | 43:31 | 41 |
| ოდ გრენლანდი | 25 | 12 | 5 | 8 | 36:27 | 41 |
| სტაბეკი | 25 | 11 | 6 | 8 | 41:32 | 39 |
| ლილესტრიომი | 25 | 9 | 6 | 10 | 34:30 | 33 |
| ვოლერენგა | 25 | 7 | 11 | 7 | 36:29 | 32 |
| ბრინი | 25 | 8 | 6 | 11 | 36:37 | 30 |
| სოგნდალი | 25 | 8 | 5 | 12 | 34:48 | 29 |
| ბოდო გლიმტი | 25 | 8 | 4 | 13 | 35:41 | 28 |
| ბრანი | 25 | 8 | 3 | 14 | 35:48 | 27 |
| მოსი | 25 | 6 | 6 | 13 | 30:42 | 24 |
| სტარტი | 25 | 2 | 5 | 18 | 21:69 | 11 |

## გერმანია

### II ბუნდესლიგა. IX ტური

**მაინცი 2:2 კიოლნი**

1:0, 2:0 ვორონინი (18, 23), 2:1 პაპე (32), 2:2 ვოიბტი (63)

*კიოლნელი არჩილ არველაძე ტრავმირებულია*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 9 | 5 | 4 | 0 | 20:9 | 19 |
| ფრაიბურგი | 9 | 6 | 1 | 2 | 16:6 | 19 |
| ობერჰაუზენი | 9 | 5 | 2 | 2 | 9:4 | 17 |
| ლიუბეკი | 9 | 5 | 1 | 3 | 19:10 | 16 |
| ტრიერი | 9 | 5 | 1 | 3 | 19:11 | 16 |
| აინტრახტი | 9 | 5 | 1 | 3 | 16:9 | 16 |
| როიტლინგენი | 9 | 5 | 0 | 4 | 15:15 | 15 |
| მაინცი | 9 | 4 | 2 | 3 | 13:9 | 14 |
| ბურგჰაუზენი | 9 | 3 | 4 | 2 | 15:12 | 13 |
| ფიურტი | 9 | 3 | 4 | 2 | 10:7 | 13 |
| ალემანია | 9 | 3 | 4 | 2 | 11:11 | 13 |
| უნიონი | 9 | 3 | 3 | 3 | 11:20 | 12 |
| დუისბურგი | 9 | 2 | 4 | 3 | 12:15 | 10 |
| ალენი | 9 | 2 | 3 | 4 | 13:14 | 9 |
| ზტ. პაული | 9 | 2 | 1 | 6 | 16:27 | 7 |
| კარლსრუე | 9 | 1 | 3 | 5 | 6:14 | 6 |
| ვალდჰოფი | 9 | 1 | 1 | 7 | 9:22 | 4 |
| ბრაუნშვაიგი | 9 | 1 | 1 | 7 | 10:25 | 4 |

## ჩეხეთი

მე-11 ტური: ბანიკი — სლავია 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 10 | 7 | 3 | 0 | 17:3 | 24 |
| ლიბერეცი | 10 | 6 | 2 | 2 | 17:9 | 20 |
| სლავია | 10 | 5 | 4 | 1 | 19:8 | 19 |
| ბანიკი | 10 | 5 | 2 | 3 | 15:11 | 17 |
| იაბლონეცი | 10 | 4 | 4 | 2 | 13:14 | 16 |
| ჟიჟკოვი | 10 | 4 | 3 | 3 | 12:11 | 15 |
| ტეპლიცე | 10 | 5 | 0 | 5 | 13:15 | 15 |
| ბლშანი | 10 | 3 | 3 | 4 | 9:11 | 12 |
| პრჟიბრამი | 10 | 3 | 3 | 4 | 6:8 | 12 |
| სიგმა | 10 | 2 | 5 | 3 | 10:9 | 11 |
| ბრნო | 10 | 3 | 2 | 5 | 11:13 | 11 |
| სინოტი | 10 | 3 | 2 | 5 | 10:14 | 11 |
| ზლინი | 10 | 2 | 4 | 4 | 10:16 | 10 |
| ბოჰემიანსი | 10 | 2 | 3 | 5 | 13:18 | 9 |
| ბუდეიოვიცე | 10 | 3 | 0 | 7 | 13:22 | 9 |
| ჰრადეც კრალოვე | 10 | 0 | 6 | 4 | 6:12 | 6 |

## შვედეთი

24-ე ტური: აიკ — სუნდსვალი 2:1; გოტებორგი — ლანდსკრონა 0:0; კალმარი — იურგორდენი 0:1; ჰალმსტადი — იორებრო 2:0; ჰელსინგბორგი — ოირგრიტე 2:0; ჰამარბი — ნორჩეპინგი 3:1. მალმო — ელფსბორგი ნუმერ გვიან გაიმართა (იხ. მე-2 გვერდზე)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურგორდენი | 24 | 14 | 4 | 6 | 47:32 | 46 |
| მალმო | 23 | 13 | 3 | 7 | 47:31 | 42 |
| ოირგრიტე | 24 | 11 | 8 | 5 | 46:35 | 41 |
| აიკ | 24 | 9 | 9 | 6 | 34:32 | 36 |
| ჰელსინგბორგი | 24 | 10 | 6 | 8 | 37:37 | 36 |
| სუნდსვალი | 24 | 8 | 8 | 8 | 27:32 | 32 |
| იორებრო | 24 | 8 | 7 | 9 | 27:35 | 31 |
| ლანდსკრონა | 24 | 8 | 6 | 10 | 39:35 | 30 |
| ჰალმსტადი | 24 | 6 | 12 | 6 | 29:28 | 30 |
| ელფსბორგი | 23 | 8 | 6 | 9 | 25:29 | 30 |
| ჰამარბი | 24 | 7 | 8 | 9 | 40:39 | 29 |
| ნორჩეპინგი | 24 | 6 | 7 | 11 | 34:37 | 25 |
| გოტებორგი | 24 | 7 | 4 | 13 | 24:37 | 25 |
| კალმარი | 24 | 5 | 6 | 13 | 18:35 | 21 |

## პორტუგალია

### I ლიგა. VII ტური

**ფერეირა 1:2 გიმარაეში**

0:1 რ. დიასი (14), 1:1 კარნეირუ (46), 1:2 გუგა სანტუში (89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 7 | 5 | 2 | 0 | 12:5 | 17 |
| გიმარაეში | 7 | 5 | 1 | 1 | 16:9 | 16 |
| ბენფიკა | 7 | 4 | 1 | 2 | 13:7 | 13 |
| სპორტინგი | 7 | 4 | 1 | 2 | 11:9 | 13 |
| ბელენენსეში | 7 | 4 | 1 | 2 | 11:9 | 13 |
| ბრაგა | 7 | 4 | 1 | 2 | 10:8 | 13 |
| ფერეირა | 7 | 3 | 1 | 3 | 12:7 | 10 |
| სეტუბალი | 7 | 2 | 4 | 1 | 10:5 | 10 |
| ვარზიმი | 7 | 3 | 1 | 3 | 8:7 | 10 |
| ბოავიშტა | 7 | 3 | 1 | 3 | 6:7 | 10 |
| ნასიონალი | 7 | 2 | 1 | 4 | 5:7 | 7 |
| სანტა კლარა | 6 | 2 | 1 | 3 | 8:11 | 7 |
| ლეირია | 7 | 2 | 1 | 4 | 5:9 | 7 |
| მარიტიმუ | 6 | 2 | 1 | 3 | 4:10 | 7 |
| მორეირენსე | 7 | 2 | 0 | 5 | 8:12 | 6 |
| ბეირა მარი | 7 | 1 | 3 | 3 | 5:9 | 6 |
| ჟილ ვისენტე | 7 | 1 | 2 | 4 | 6:13 | 5 |
| აკადემიკა | 7 | 0 | 3 | 4 | 5:11 | 3 |

## დანია

მე-12 ტური: ოლბორგი — სილკებორგი 3:4; ესბიერგი — ფარუმი 0:2; აკადემისკი — ბრონდბიუ 1:1; კოპენჰაგენი — მიდტიულანდი 1:1; ვიბორგი — ოდენსე 0:0; ორჰუსი — კოგე 1:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოპენჰაგენი | 12 | 7 | 3 | 2 | 18:15 | 24 |
| ოლბორგი | 12 | 6 | 1 | 5 | 19:18 | 19 |
| ბრონდბიუ | 12 | 5 | 3 | 4 | 23:15 | 18 |
| ესბიერგი | 12 | 5 | 3 | 4 | 25:24 | 18 |
| ფარუმი | 12 | 6 | 0 | 6 | 17:17 | 18 |
| ოდენსე | 12 | 5 | 2 | 5 | 19:16 | 17 |
| კოგე | 12 | 5 | 1 | 6 | 21:23 | 16 |
| მიდტიულანდი | 12 | 4 | 4 | 4 | 16:18 | 16 |
| ორჰუსი | 12 | 4 | 3 | 5 | 17:21 | 15 |
| ვიბორგი | 12 | 3 | 5 | 4 | 20:22 | 14 |
| აკადემისკი | 12 | 3 | 4 | 5 | 14:17 | 13 |
| სილკებორგი | 12 | 3 | 3 | 6 | 14:17 | 12 |

## ფინეთი

### პლეი ოფი. V ტური

ტამპერე — ლაჰტი 1:1; მიკ — ალიანსი 1:0; მიუპა — ჰაკა 5:3; იარო — ინტერი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰიკ | 5 | 5 | 0 | 0 | 48:18 | 63 |
| მიუპა | 5 | 4 | 1 | 0 | 54:23 | 56 |
| ჰაკა | 5 | 3 | 1 | 1 | 46:27 | 48 |
| იარო | 5 | 3 | 1 | 1 | 32:41 | 36 |
| ტამპერე | 5 | 0 | 3 | 2 | 28:23 | 35 |
| ალიანსი | 5 | 1 | 0 | 4 | 37:43 | 37 |
| ინტერი | 5 | 0 | 1 | 4 | 31:27 | 33 |
| ლაჰტი | 5 | 0 | 1 | 4 | 25:41 | 33 |

### პლეი აუტი. V ტური

ტპ-47 — კპვ 1:1; ოლკერიტი — ვაასა 3:0; კუოპიო — ტურკუ 5:0; ჯაზი — ჰაამენლინა 1:0


სპეციალიზირებული სალონ-მაღაზია
ბილიარდის მაგიდები
რუსული პირამიდა, პული, სნუკერი
აქსესუარები
1000 მეტი დასახელება
კიები, ბურთები, ნათურები მსოფლიოში წამყვანი მწარმოებლებისაგან.
ინდივიდუალური მიდგომა, ხელსაყრელი პირობები და შეღავათები, გარანტია
ტიტანი მასტერი
ზევსი Billjardai
Master
saluc
☎ 95-57-75, 95-88-46
ქ. თბილისი, უზნაძის ქ. 2

# საქმე და სიტყვა

## პრემიერლიგა, ბუნდესლიგა, პრიმერადივიზიონი, სერია A უქმეების მერე



20 მარტს ტიერი ანრის „იუვენტუსისთვის" პენალტი რომ გაეტანა, „არსენალის" რეკორდი უფრო შთამბეჭდავი იქნებოდა

## ინგლისი

— „ნიუკასლის" მთავარმგოლე ალან შირერმა „ბლექბერნთან" მე-300 და 301-ე გოლები გაიტანა. აქ მხოლოდ პრემიერლიგაში და ინგლისის თასზე გატანილი გოლებია ნაანგარიშევი.

— ევერტონელი ჩვიდმეტი წლის უეინ რუნის გვიანმა გოლმა „არსენალის" ბრწყინვალე რეკორდის ზრდას წერტილი დაუსვა — 30 წაუგებელი პრემიერლიგური თამაში, 24 დაუმარცხებელი შეხვედრა ყველა ტურნირში, ბოლო 22 შეხვედრაში 20 მოგებული თამაში, 23 წაუგებელი გასვლითი მატჩი. ბოლო მარცხი ჰაიბერელებმა 20 მარტს იწვნიეს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში, „იუვენტუსთან", თუმც საქმე სულ სხვაგვარად იქნებოდა, ანრის პენალტი რომ გაეტანა. ისე, ჭაბუკი რუნის მზაკვრულ დარტყმას ერთი რეკორდი მაინც გადაურჩა — დედაქალაქელები ზედიზედ 49 მატჩში აზერხებენ ერთი გოლის გატანას მაინც.

— „ლიდსმა" წლეულს „ლივერპულისგან" მესამე საშინაო მარცხი იწვნია და მოუგებელი მატჩების სერია ხუთამდე გაზარდა.

— „არსენალის" წაფორხილებით გალიდერებულმა „ლივერპულმა" ბოლო 27 შეხვედრაში ერთადერთი მარცხი „ტოტენჰემისგან" იგემა. მომდევნო ტურში შინ, ლივერპულელები სწორედ „მამლებს" დაუპირისპირდებიან.

— „მეინ როუდზე" „სიტისთან" შესრულებული დუბლის შემდეგ „ჩელსის" იტალიელი ვეტერანი ჯანფრანკო ძოლა რვა გოლით კარიერაში პირველად ჩაუდგა პრემიერლიგის მეგოლეთა სიას სათავეში.

— წლეულს უნიათოდ მოთამაშე „ვესტ ჰემმა" დებიუტი ჩაუმწარა „სანდერლენდის" მწვრთნელ ჰოვარდ უილკინსონს, როცა სტუმრად „ლაითზე" მოუგო.

— უელსელმა გარემარბმა რაიან გიგზმა „ფულემთან" გასვლით მატჩში მე-500 შეხვედრა ჩაატარა „მანჩესტერ იუნაიტედის" შემადგენლობაში.

## გერმანია

— „კაიზერსლაუტერნმა" ზედიზედ მერვედ წააგო „ლევერკუზენთან". ლევერკუზენელებმა, ისევ, როგორც წინა ტურში, „ბაიერნთან", ათი კაცით დაასრულეს შეხვედრა — ბორის ჟივკოვიჩი გაუძევეს.

— „მიუნხენ 1860"-მა, როგორც იქნა, ბოლო რვა შეხვედრაში პირველად იმარჯვა. „შალკესთან" საშინაო მატჩში არბიტრმა მოედნიდან მასპინძელი კურცი და სტუმარი კარლოს ვარელა გააძევა. კურცისთვის ეს უკვე მეორე წითელი ბარათია ამ სეზონში.

— „კოტბუსმა" ზედიზედ მეოთხე საშინაო მარცხი იგემა, თანაც ისე, რომ ამ ოთხ შეხვედრაში ერთი გოლიც არ გაუტანია. ეს მაჩვენებელი ბუნდესლიგის ისტორიაში მხოლოდ მეორედ განმეორდა.

— მიონხენგლადბახელმა მარსელ ვიტეჩეკმა „ჰამბურგთან" ბუნდესლიგაში თავისი მე-400 შეხვედრა ითამაშა და 58-ე ფეხბურთელი შეიქნა, ვისაც ასეთი შედეგისთვის მიუღწევია.

— დედაქალაქურმა „ჰერტამ" კოტბუსში არასასიამოვნო ტრადიცია დაარღვია — წინა ორ სეზონში უგოლოდ მარცხდებოდა, წლეულს კი ბერლინელებმა გოლიც გაიტანეს და მოიგეს კიდეც.

**კლაუს ტოპმიოლერი**, „ლევერკუზენის" მწვრთნელი: „ამ სეზონში ნამდვილად ცუდად მიგვდის საქმე. თამაშის წინ შნაიდერი შეიქნა ცუდად. მერე კაცნაკლულები ვთამაშობდით. ბრდარიჩის გოლი მეტოქის მცველების შეცდომას მოჰყვა, როცა ხელოვნური თამაშგარეს შექმნას ცდილობდნენ, რასაც ჩემს ფეხბურთელებს ყოველთვის ვუკრძალავ."

**ერიკ გერეტსი**, „კაიზერსლაუტერნის" მწვრთნელი: „ჩვენ ამჯერადაც მეტოქეზე არანაკლებ გამართული ფეხბურთი ვითამაშეთ და ბურთსაც „ლევერკუზენზე" მეტხანს ვაკონტროლებდით, მაგრამ..."

**მიხაელ ბალაკი**, „ბაიერნის" ნახევარმცველი: „ელბერი ვარჯიშზე ბოლომდე იხარჯება და წლეულს სტუმრად რომ არ გაუტანია, ეს მხოლოდ დროის ამბავია. ვიმედოვნებ, ის „მილანთან" გატეხს ნავსს."

**ედუარდ გაიერი**, „კოტბუსის" მწვრთნელი. ჟურნალისტის კითხვაზე, თუ რა რეაქცია ჰქონდა, როცა გულშემატკივრებმა დაუსტვინეს და გუნდიდან წასვლა მოსთხოვეს, უპასუხა: „მე არაფერი გამიგია. ეტყობა, ჩემზე კარგი სმენა გაქვთ. სამწუხაროდ, ჩვენს კარში პირველივე დარტყმა გოლით დამთავრდა."

**ფრანკ ნოიბარტი**, „შალკეს" მწვრთნელი: „ვერ გამიგია, დღეს ასეთი პასიურები რატომ ვიყავით."

**კურტ იარა**, „ჰამბურგის" მწვრთნელი: „დღეს ჩვენ ყველამ შვებით ამოვისუნთქეთ."

**თომას შააფი**, „ვერდერის" მწვრთნელი: „მას მერე, რაც ანგარიში 4:2 გახდა, ფეხბურთელებმა იფიქრეს, რომ სამი ქულა ჯიბეში ჰქონდათ, მაგრამ ზედმეტი თავდაჯერებულობისთვის რაც მოგვივიდა, ანგარიშიდანაც ჩანს."

**მათიას ზამერი**, „დორტმუნდის" მწვრთნელი: „ფრე ლოგიკური შედეგია. ჩემი აზრით, ჩვენ თავში რაღაც აგვერია."



მათიას ზამერმა „დორტმუნდის" გადიდგულება შენიშნა

## ესპანეთი

— ბოლო 20 წელიწადში „ბარსელონა" ვალიადოლიდში მესამედ დამარცხდა.

— „რაიო ვალეკანომ" თავის ისტორიაში პირველად იმარჯვა სტუმრად ჩემპიონატის ლიდერთან. გამარჯვების გოლი ხუან ანტონიო ბოლომ თავის მეასე პრიმერულ მატჩში შეაგდო.

— სან სებასტიანის „რეალ სოსიედადი" პრიმერადივიზიონის ლიდერი 1982 წლის შემდეგ პირველად გახდა. მაშინ ბასკურმა კლუბმა ესპანეთის ჩემპიონატი მოიგო. ამასთან, „სოსიედადს" აპრილის ბოლოდან მოყოლებული, მატჩი არ წაუგია.

— მეორე ბასკურმა გუნდმა „ალავესმა" სეზონი ძალიან ცუდად დაიწყო. ალავესელმა კარლოს ლორენსმა „სოსიედადთან" მატჩის წინ ბრძანა, რადგან მადრიდის „რეალთან" შეხვედრაში ივან ალონსომ პენალტი ვერ გაიტანა, ამიერიდან თერთმეტმეტრიანებს მე შევასრულებო. თავის გამოჩენის შანსი კარლოს ლორენსს მაშინვე მიეცა, მაგრამ პენალტი მანაც გააცუდა.

— სევილიის „ბეტისმა", რომლის სტადიონიც დისკვალიფიცირებულია, „მალიორკას" მადრიდში, „ვისენტე კალდერონზე" უმასპინძლა. „ბეტისს" ქომაგი არც იქ აკლდა. სევილიიდან 10 ათასამდე გულშემატკივარი ჩაჰყვა.

— ბილბაოს „ატლეტიკი" ზედიზედ 26 მატჩშია ერთ გოლს მაინც უშვებს. ამ ტურში ბასკებმა 5 მცველითაც კი ითამაშეს, მაგრამ გაშვებულ გოლს ვერც ამჯერად გადაურჩნენ.

— „ესპანიოლი" — „უელვას" მატჩის წინ ბარსელონურმა კლუბმა 5 ათასი ბილეთი უფასოდ დაარიგა.

## იტალია

— იტალიის ჩემპიონატს ერთდროულად ორი ლიდერი ჰყავს — „მილანი" და „ინტერი". მილანური გუნდების მსგავსი ორხელისუფლებიანობა 1971-72 წლების სეზონის მერე არ ყოფილა. საინტერესოა, რომ მაშინ სკუდეტო „იუვენტუსმა" მოიგო.

— 5 მატჩში 17 გოლის გამტანმა „მილანმა" შედეგიანობის რეკორდი დაამყარა. კარლო ანჩელოტის შეგირდებს საშუალოდ ყოველ 26 წუთში ერთხელ გააქვთ.

— რომაულმა კლუბებმა გვარიანად გაილაღეს. „რომამ" ზედიზედ სამი შეხვედრა მოიგო, „ლაციომაც" ხუთ ტურში სამჯერ გაიმარჯვა, რომაული დერბი კი მომავალ უქმეებზე შედგება.

— მას მერე, რაც სერია A 18-გუნდიანია, პირველად მოხდა, რომ 5 ტურის შემდეგ სტუმრებმა 15 მატჩი მოიგეს. აქამდე რეკორდი ამ მაჩვენებელს ერთით ჩამორჩებოდა.

— ყველაზე დიდი პროგრესი რომის „ლაციომ" განიცადა, მან ექვსი ქულით მეტი მოაქუჩა, ვიდრე შარშან ამდენივე ტურის მერე. „კიევომ" კი პირიქით, ექვსით ნაკლები აიღო.

— ზედიზედ 12 საშინაო მატჩია, „ბოლონია" მოედანს უგოლოდ არ ტოვებს. ასეთივე სერიას, ოღონდ ყველა მატჩის გათვალისწინებით, „ლაციო" 17 შეხვედრაა აგრძელებს.

— „ატალანტას" კარში უკვე მიჯრით 11 ტურია, გოლი გააქვს ყველას, ვისაც არ ეზარება. გოლთა რაოდენობამ 18-ს უწია.

— „ტორინომ" პირველი გამარჯვება იზეიმა და ზედიზედ მიყოლებული 5-მატჩიანი უიღბლო სერია, რომელიც გასული სეზონის ბოლოდან დაიწყო, შეწყვიტა.

— მძიმე ტრავმისგან გამოჯანმრთელებულმა ენრიკო კიეზამ დუბლი შეასრულა და კარიერაში გატანილი გოლების რიცხვი 106-მდე გაზარდა.

— რომაელმა დამიანო ტომაზიმ სერია A-ში მე-200 მატჩი ითამაშა და საიუბილეო შეხვედრა გოლით აღნიშნა.

— რივალდომ „მილანის" შემადგენლობაში პირველი ოფიციალური გოლი გაიფორმა, ხოლო ანდრეა პირლომ სერია A-ში თავისი პირველი დუბლი მიითვალა.

— ალესანდრო დელ პიერომ აქამდე „სან სიროზე" [illegible] არ გაეტანა. ამჯერად [illegible] მოახერხა, რომელიც მისთვის 26-ეა „იუვენტუსის" შემადგენლობაში. სულ დელ პიეროს „იუვეს" მაისურით 131 გოლი დაუგროვდა.

**ჯანლუიჯი ბუფონი**, „იუვენტუსის" მეკარე: „ჩვენს კარში საპასუხო გოლი წესების ხრული დარღვევით გავიდა. კარიდან გამოსვლისას ვიერიმ ძლიერად მიბიძგა და წონასწორობა დამაკარგვინა. ამიერიდან იძულებული ვიქნები, კარიდან გამოსვლის დროს ფეხი ჰაერში ავწიო და მოწინააღმდეგე ასეთნაირად მოვიგერიო."

**ფრანჩესკო ტოლდო**, „ინტერის" მეკარე: „ნუთუ გოლი ვიერის ჩაუთვალეს? ეს უსამართლობაა. მას ისედაც ბევრი გოლი აქვს გატანილი და კიდევ ბევრს გაიტანს. მე კი როდის მომეცემა ამის საშუალება, ვინ იცის, თანაც „იუვენტუსთან". ბოლოს და ბოლოს, ბავშვებს მაინც მოვუყვებოდი. ისე, მეორე სეზონია, „იუვეს" ბოლო წუთზე ვართმევთ ქულებს, რაც ძალიან მსიამოვნებს."

**ფრანკო სენსი**, „რომას" პრეზიდენტი: „ჩემს მეგობარ მასიმო მორატის ვუთხარი, რომ „მილანი" და „იუვენტუსი" მის „ინტერს" სკუდეტოს არ დაანებებენ. თანაც ის ხომ არ შედის „მილანის", „იუვენტუსისა" და ფედერაციის პრეზიდენტის ალიანსში, რომლებიც ფიქრობენ, რომ მთელი იტალიური ფეხბურთი მათ ხელშია. „მილანს" და „იუვეს" „ინტერის" არ ეშინიათ, ხოლო „რომას" უფრთხიან. მე კი არაფრის მეშინია, არც ბერლუსკონის და არც მისი მარჯვენა ხელის გალიანის."

**ლუჩანო გაუჩი**, „პერუჯას" პრეზიდენტი: „მზად ვარ, დაუყოვნებლივ გავათავისუფლო მწვრთნელი სერსე კოზმი. მართალია, მას 2005 წლამდე აქვს კლუბთან კონტრაქტი, ხოლო გათავისუფლების შემთხვევაში სოლიდური საკომპენსაციო თანხის გაღება მომიწევს, მაგრამ ამისდა მიუხედავად, უკან არ დავიხევ. თუ ორი სეზონის განმავლობაში იგი მუყაითად ირჯებოდა, ამჟამად იგივეს ვერ ვატყობ. „პერუჯა" ახლა ნაკლებად ჰგავს გუნდს."



სერსე კოზმი

# რივერის წაგება როგორ შეიძლება!



ქომაგებმა „რივერ პლეიტი" ხუთზე მეტი გოლის გაშვებას გადაარჩინეს

მოჰყვა ივან მორენოს და ვალტერ ხიმენესის გოლები.

აქამდე, მიმდინარე აპერტურაში „რივერს" ერთადერთხელ წაეგო და კვალდაკვალ მისდევდა ლიდერ „ინდეპენდიენტეს", რომელსაც ახლა უკვე ხუთი ქულით ჩამორჩება. ლიდერმა ეშმაკებმა „ესტუდიანტესი" დაამარცხეს 1:0. ამ ხმაურიან მატჩში, რომლის მსვლელობისასაც ლიდერის პაბლო გინაზუ და სტუდენტი ლეო რამოსი გააძევეს, ერთადერთი გოლი როდოლფო აკინომ გაიტანა.

ახლა „რივერსაც" და „ინდეპენდიენტესაც" ექვს-ექვსი მატჩი დარჩათ აპერტურას ბოლომდე, კვირა საღამოს კი „რივერი" მთავარმეტოქეს, „ბოკა ხუნიორსს" ხვდება. „ბოკა" ცხრილში მესამეა და „ჩაკარიტას" დამარცხების შემდეგ 24 ქულა აქვს.

ოსვალდო არდილესმა ცოტა ამოისუნთქა, რადგან მისმა „რასინგმა" 2:0 მოუგო „ოლიმპოს". ლუის მენოტის „როსარიო სენტრალი" კი ეგრეც ვერ გაიმართა წელში. გუნდს მეშვიდე თამაშია არ მოუგია და ამჯერადაც საშინაო ფრეს (2:2) დასჯერდა „ტალარესთან".

## არგენტინა

### აპერტურა

30-13 ტური: ბანფილდი — რივერ პლეიტი 5:0; ბოკა ხუნიორსი — ჩაკარიტა 2:1; ხიმნასია — ოლდ ბოიზი 2:1; ინდეპენდიენტე — ესტუდიანტესი 1:0; ნუევა ჩიკაგო — არსენალი 3:1; უნიონი — ურაკანი 2:2; როსარიო — ტალიერესი 2:2; ოლიმპო — რასინგი 0:2; ლანუსი —ველესი 2:0; სან ლორენსო — კოლონი 2:0

გაშმაგებულმა ქომაგებმა გაარღვიეს მოედანს შემორტყმული ღობე და მსაჯი იძულებული შეიქნა, საბოლოოდ შეეწყვიტა მატჩი. ეს მოხდა „ბანფილდ"—„რივერ პლეიტის" შეხვედრის 66-ე წუთზე, როცა „ბანფილდი" 5:0-ს უგებდა დიად მეტოქეს.

პოლიცია ტრიბუნებზე აცვივდა და აღარც გაზის მოხმარებას დარიდებია. შედეგი კი, არგენტინული წესების თანახმად, შედეგადვე დარჩა და ცხრილშიაც შეიტანეს.

„ბანფილდს" 28 წელიწადი იყო არ მოეგო „რივერისთვის", ამ თამაშში კი უკვე ნახევარ საათში 3:0-ს იგებდა რობერტო კალაუტის დუბლისა და მარტინ დემიშელისის საკუთარ კარში გატანილი გოლის წყალობით. ამას მალევე

ონორიო ბუსტოს დომეძი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინდეპენდიენტე | 13 | 10 | 2 | 1 | 37:13 | 32 |
| რივერ პლეიტი | 13 | 8 | 3 | 2 | 26:15 | 27 |
| ბოკა ხუნიორსი | 13 | 7 | 3 | 3 | 21:11 | 24 |
| სან ლორენსო | 13 | 6 | 5 | 2 | 21:16 | 23 |
| ჩაკარიტა | 13 | 6 | 2 | 5 | 14:15 | 20 |
| კოლონი | 13 | 5 | 5 | 3 | 15:18 | 20 |
| როსარიო | 13 | 5 | 4 | 4 | 27:21 | 19 |
| ველესი | 13 | 5 | 4 | 4 | 16:11 | 19 |
| რასინგი | 13 | 5 | 4 | 4 | 19:20 | 19 |
| არსენალი | 13 | 5 | 3 | 5 | 20:17 | 18 |
| ლანუსი | 13 | 4 | 5 | 4 | 11:16 | 17 |
| ოლდ ბოიზი | 13 | 4 | 4 | 5 | 15:16 | 16 |
| უნიონი | 13 | 4 | 4 | 5 | 15:18 | 16 |
| ბანფილდი | 13 | 3 | 5 | 5 | 12:11 | 14 |
| ხიმნასია | 13 | 3 | 5 | 5 | 12:16 | 14 |
| ტალიერესი | 13 | 3 | 5 | 5 | 14:20 | 14 |
| ოლიმპო | 13 | 2 | 5 | 6 | 14:24 | 11 |
| ნუევა ჩიკაგო | 13 | 2 | 4 | 7 | 11:18 | 10 |
| ურაკანი | 13 | 2 | 4 | 7 | 14:28 | 10 |
| ესტუდიანტესი | 13 | 2 | 2 | 9 | 14:24 | 8 |

# გავა თქვენო

## ბრაზილია

30-20 ტური: კორინთიანსი — პონტე პრეტა 1:0; ფლუმინენსე — ბაია 1:0; კრუზეირო — ატლ. მინეირო 1:2; გუარანი — სან პაულუ 1:2; ვიტორია — ფლამენგო 1:2; ატლ. პარანენსე — ინტერნასიონალი 2:3; ჟუვენტუდე — კურიტიბა 5:3; გოიასი — ფიგეირენსე 1:0; სან კაეტანო — პაისანდუ 2:1; სანტოსი — პორტუგეზა 1:2; ვასკუ და გამა — პარანა 1:0; გრემიო — გამა 3:1



„სან პაულუმ" ლიდერობა გაიხარა

რომარიოს ერთადერთმა გოლმა იმედი ჩაუსახა არეული „ფლუმინენსეს" უფროსობას, რომ კლუბი რვაგუნდა პლეიოფში მოხვდება. ეს იყო რომარიოს მეცხრე გოლი ამ სეზონში. „ფლუმ" კი „ბაიას" სძლია.

ამის მიუხედავად, „ფლუს" პატრონები გამწყრალნი ყოფილან ბებერ ვარსკვლავზე, პარასკევს შუა ვარჯიშიდან აითესა და კვირამდე არ გამოჩენილაო. მწვრთნელმა რენატო პორტალუპიმ თქვა, რომარიოს თავისუფალი გრაფიკი აქვს, როცა უნდა და რასაც უნდა იმას იზამსო, მაგრამ უფროსობას დაუჩემებია, კონტრაქტის მიხედვით უნდა გავეფრთხილებინეთო.

ახლა რა დამართეს „ატლეტიკო პარანენსეს" თავისმა გულშემატკივრებმა: შარშანდელი ჩემპიონი ახლა მეთხუთმეტე ადგილზეა და მისი ადრეული ლიდერობა არავის ახსოვს. გუნდს ბოლო თვეში მესამე მწვრთნელი, აბელ ბრაგა ჰყავს და მაინც წააგო შინ „ინტერნასიონალთან" 2:3. მთელმა სტადიონმა მინდორს ზურგი აქცია და გავა მიუშვირა საყვარელ გუნდს.

ამასობაში კი ლიდერობა ხელთ იგდო „სან პაულუმ", რომელიც ლიდერ კაკას გარეშე თამაშობს. კაკას დისციპლინარული სასჯელი ადევს, მაგრამ „სან პაულუმ" მაინც მოუგო „გუარანს" 2:1 გამარჯვება მოპოვებულ იქნა სადავო პენალტით, რომელიც ლუიზ ფაბიანუმ გაიტანა. ვიდეოჩანაწერმა აჩვენა, რომ გამტანმა თავადვე გამოიგონა პენალტი.

„სან კაეტანომ" ადემარის გვიანი გოლით აჯობა „პაისანდუს" 2:1, „ჟუვენტუდემ" კი „კორდობა" დაამარცხა.

ელგა დი ბადჟა ლიმა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სან პაულუ | 20 | 11 | 4 | 5 | 40:27 | 37 |
| სან კაეტანო | 19 | 11 | 2 | 6 | 31:20 | 35 |
| ჟუვენტუდე | 19 | 10 | 4 | 5 | 26:17 | 34 |
| კორინთიანსი | 18 | 10 | 4 | 4 | 27:26 | 34 |
| სანტოსი | 19 | 9 | 5 | 5 | 36:27 | 32 |
| ატლ. მინეირო | 19 | 9 | 3 | 7 | 34:30 | 30 |
| გუარანი | 18 | 8 | 4 | 6 | 24:21 | 28 |
| ვიტორია | 19 | 8 | 3 | 8 | 34:30 | 27 |
| კურიტიბა | 18 | 8 | 3 | 7 | 26:23 | 27 |
| გრემიო | 18 | 7 | 6 | 5 | 28:22 | 27 |
| პონტე პრეტა | 18 | 8 | 2 | 8 | 23:20 | 26 |
| ინტერნასიონალი | 18 | 6 | 7 | 5 | 29:27 | 25 |
| ფლუმინენსე | 17 | 7 | 3 | 7 | 27:33 | 24 |
| ფიგეირენსე | 18 | 7 | 3 | 8 | 24:30 | 24 |
| ატლ. პარანენსე | 19 | 6 | 6 | 7 | 28:24 | 24 |
| ვასკუ და გამა | 18 | 7 | 2 | 9 | 23:25 | 23 |
| გოიასი | 19 | 6 | 5 | 8 | 30:33 | 23 |
| კრუზეირო | 18 | 6 | 5 | 7 | 25:30 | 23 |
| პორტუგეზა | 18 | 6 | 5 | 7 | 18:24 | 23 |
| ფლამენგო | 18 | 6 | 4 | 8 | 30:29 | 22 |
| გამა | 20 | 6 | 4 | 10 | 19:27 | 22 |
| ბოტაფოგო | 18 | 5 | 7 | 6 | 19:26 | 22 |
| ბაია | 19 | 6 | 3 | 10 | 25:30 | 21 |
| პაისანდუ | 18 | 6 | 1 | 11 | 26:36 | 19 |
| პალმეირასი | 19 | 4 | 7 | 8 | 26:37 | 19 |
| პარანა | 18 | 5 | 2 | 11 | 27:31 | 17 |

## სამხრეთული დარდუბალა



ფაუსტინო ასპრილიამ (მარჯვნივ) ფეხს იდაყვიც წაამველა

# ლანჩი ერთ დოლარად

## სიძუნწე კანონით ისჯება

დავთ, ისინი თამაშს განაგრძობენ. ალბათ იფიქრეს, თავს ზევით ძალა არ არის, საქმე მაინც ვაკეთოთ, უქმად ხომ არ ვისხდებითო. ხელმძღვანელობას კი შეუთვალეს, კუთვნილ ფულს თუ არ მოგვცემთ, შემდეგ ტურში ნაღდად აღარ ვითამაშებთო.

### ჩილე

„კოლო კოლოსა" და „სან ფელიპეს" შეხვედრა 89-ე წუთზე შეწყდა. მიზეზი სტადიონზე ელექტროენერგიის გამორთვა ნამდვილად არ ყოფილა, უბრალოდ, „კოლო კოლოს" ფანებს ტაბლოზე აღნიშნული ანგარიში — 2:0 „სან ფელიპეს" სასარგებლოდ — არ მოეწონათ და საწყალ ფეხბურთელებს ქვების წვიმა დააყარეს. ისე, ჩილელ გულშემატკივარს ქართული პრაქტიკიდან გამომდინარე ვურჩევდით, ქვების მაგივრად კარტოფილი გამოიყენონ, ნაკლებ სახიფათოა.

ჩილეს საფეხბურთო ლიგამ თამაშის შედეგი საბოლოოდ გამოაცხადა და „კოლო კოლოს" მარცხი ჩაეთვალა.

### ბოლივია

სანტა კრუსში გამართულ დერბიში „ორიენტე პეტროლერომ" „ბლუმინგს" 2:1 სძლია. ამ თამაშში „ორიენტეს" ახალგაზრდა ფორვარდმა ხოსე კასტილიომ ჩემპიონატში თავისი მე-40 გოლი გაიტანა. შეხვედრა საინტერესო იყო იმ მხრივაც, რომ გუნდების მწვრთნელების რანგში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ 1986 წლის არგენტინის მსოფლიოს ჩემპიონატში გამარჯვებული ნაკრების წევრები — ნესტორ კლაუსენი („ორიენტე") და ხოსე ლუის ბრაუნი („ბლუმინგი"). „ორიენტე პეტროლერომ" ამ გამარჯვებით ცხრილში თავისი ადგილი შეინარჩუნა და ჩემპიონატს „ბოლივართან" ერთად ლიდერობს.

### კოლუმბია

ბებერი ივან რენე ვალენსიანოს დებიუტი „რეალ კარტახენაში" გუნდისთვის წარუმატებელი გამოდგა. მიუხედავად იმისა, რომ ვალენსიანომ „სანტა ფეს" ორი პენალტი გაუტანა, გუნდი მაინც ვერ გადაურჩა მარცხს, 2:4. თავად ვეტერანი თავდამსხმელი კი ადგილობრივმა პოლიციამ თამაშის დამთავრებისთანავე ვირის აბანოში მიაბრძანა. მიზეზი 1997 წელს მომხდარი ავტოავარიაა. თურმე ვალენსიანოს ძუნწობა გამოუჩენია და დაზარალებულისთვის კომპენსაცია არ გადაუხდია, პოლიციას კი ეს ამბავი 5 წლის მერე გაახსენდა (ჩვენ ეს არ გაგვიკვირდება). ნათქვამია, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო.

რაც შეეხება მშობლიურ „ტულუაში" დაბრუნებულ ფაუსტინო ასპრილიას, ჩემპიონატის მორიგ ტურში მან არცთუ შთამბეჭდავად ითამაშა, თანაც მსაჯისგან გაძევებასაც გადაურჩა, როცა მოწინააღმდეგეს იდაყვი უთავაზა. ასპრილიას გუნდი ორი ბურთის სხვაობით დამარცხდა „კინდიოსთან".

### ურუგვაი

ურუგვაის მოქმედმა ჩემპიონმა „ნასიონალმა" „ვილა ესპანიოლა" გაანადგურა ანგარიშით 5:0 და კლაუსურაში თავისი პირველი გამარჯვება მოიპოვა. „ნასიონალის" გამარჯვებაში ლომის წილი ყმაწვილმა კამერუნელმა თავდამსხმელმა პიერ ვებომ დაიდო. მან ოთხჯერ გაარღვია მეტოქის დაცვა. ადრეც გაცნობეთ, რომ „ნასიონალს" ფეხბურთელების სახელფასო დავალიანება დაუგროვდა და მობურთალებიც გაფიცვით იმუქრებოდნენ, მაგრამ, როგორც ხე-

### პერუ

„სპორტინგ კრისტალი" კვლავაც ინარჩუნებს კლაუსურას ლიდერობას, მიუხედავად იმისა, რომ „სპორტ ბოიზთან" საკვირაო მატჩში ფრედ ითამაშა.

წარუმატებელი გამოდგა პარაგვაელი სესარ კუბილას დებიუტი „ხუან აურიხის" მწვრთნელის პოსტზე. გუნდმა 4:1 წააგო „ესტუდიანტეს დე მედისინასთან". არადა, „ხუან აურიხს" ისედაც საკმარისად აქვს პრობლემები. პერუს ფეხბურთში ფინანსურმა კრიზისმა კლუბს ძლიერი დარტყმა მიაყენა, საწყალ ფეხბურთელებს ვარჯიშზე სასიარულო ფულიც არ აქვთ. ორი მათგანი კი ფოტორეპორტიორებს ჩიკლაიოს ცენტრალურ მარკეტში დაუფიქსირებიათ, როცა ერთდოლარიან ლანჩს შეექცეოდნენ. ქართველ ფეხბურთელებზე საწყალი მობურთალებიც ყოფილან ამქვეყნად.

### პარაგვაი

„სპორტივო ლუკენო", რომელიც კლაუსურას ლიდერობდა, „12 დე ოქტობრესთან" 2:1 დამარცხების შემდეგ ცხრილში ჩამოქვეითდა. იგი ერთი ქულით ჩამორჩება ლიდერ „ოლიმპიას" და „ლიბერტადს".

*ვენესუელას ჩემპიონატში შესვენებაა გამოცხადებული, ხოლო ეკვადორში ტური არ შედგა. მათ ფეხბურთისთვის არ ეცალათ, პრეზიდენტს ირჩევდნენ.*

ნინო ჭადაგიშვილი

# რამოსი რომ მიდიოდა, რამონი მოდიოდა

რამონ მოია ის კაცია, რომლის ხელმძღვანელობითაც ესპანეთის ჩემპიონატში „ესპანიოლმა", კვირას, პირველი გამარჯვება იზეიმა. ბარსელონელებმა 2:0 მოუგეს მათსავით რთულ დღეში მყოფ „უელვას", რაც, კლუბის ხელმძღვანელთა რწმენით მოიას მიერ ხუანდე რამოსის შეცვლის შედეგია. ახლა, სეზონის ბოლომდე, „ესპანიოლს" მოია უხელმძღვანელებს.

ხუანდე რამოსის მოხსნა კი კლუბმა შაბათს გადაწყვიტა.

აღსანიშნავია, რომ რამონ მოია, აგერ უკვე თერთმეტი წელიწადია, კლუბში მუშაობს, ოღონდ B გუნდის მწვრთნელად. ამ ტურშიც, იგი, B გუნდს ამზადებდა ბურხოსში სათამაშოდ, როდესაც, პრეზიდენტმა დანიელ სანჩეს ლიბრემ გამოიძახა და მთავარი გუნდის თამაში ჩააბარა.

„ფეხბურთი ფეხბურთია და ახლა პირველი დივიზიონის გუნდში მუშაობის საშუალება მომეცა" — განაცხადა მოიამ მას მერე, რაც „უელვასთან" შეხვედრის მეორე ნახევარში როხერმა ორი გოლის გატანით გული გაუხარა.

ბაჩუნა ძიდია



ხუანდე რამოსი




(231) 7 17 58

იყიდება

ქუთაისში

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე. საცხოვრებელი ფართი 250 მ². დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.

ირაკლი აბაშიძის გამზირი №7. კინოთეატრ "სულიკოსთან"

# 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი. პირველი შესარჩევი ეტაპი.

# თავიდათავი

## სტუმარი ღვთისაა, მაგრამ ნუ დაგავიწყდება, რომ მასპინძელი ხარ

თბილისი. 22 ოქტომბერი. 16 საათი. ლოკომოტივი. 500 (ტევადობა 25 600)

### საქართველო 0:1 ბელგია

| |
|---|
| 0:1 იან დე ლანჟე (25) |
| საქართველო: ნაფეტვარიძე, კალაძე (მჭედლიძე 61), იმედაშვილი, ლ. ქელიძე, კაშია, ბურნაძე, ფირცხალავა (ეკონია 68), დარსანია, გ. ქელიძე (ი. მოდებაძე 46), იაშვილი, ელიავა. სათადარიგონი: თოთლაძე, წილოსანი, გრიგორიევი, კაჭარავა. მწვრთნელი: ოთარ კორღალიძე |
| ბელგია: ვერბუვედე, მონტინი, ვერბისტი, დეჰონცინი, კოველიერსი (რონჟე 88), ბერნარი (ვანდენდრიში 69), მარტენსი, დე ლანჟე, ვუიტენსი, გომესი, ფერნანდესი (ვან ტორნჰუტი 80). სათადარიგონი: პურბე, ფლასი, ვლემინკი, დელი. მწვრთნელი: მარკ ვან გერსომი |
| გაფრთხილება: იაშვილი (60), დარსანია (72), ვანდენდრიში (77), გომესი (86) |
| მსაჯები: მიხაელ ვეინერი, კარსტენ კადაში (ორივე გერმანია), ჯონ კოულტჰარდი, საიმონ ჯონსი (ორივე უელსი) |
| უეფას დელეგატი: მიშელ ვოტრი (საფრანგეთი) |
| ჯარიმა: 12-16; კუთხური: 6-6; კარისკენ დარტყმა: 6-3; კარში დარტყმა: 4-7; თამაშგარე: 4-1 |

ვაჟა ხუციშვილი

ვიდრე მატჩზე მოგახსენებდეთ, რამდენიმე ფაქტზე შევჩერდები, რომლებმაც, ალბათ, მხოლოდ ჩემი ყურადღება არ მიიპყრო და სხვათა თვალსაც არ გამოეპარებოდა.

პირველი გახლავთ ერთი ჩვეულებრივი მატჩის ოქმი. ის ინგლისურადაა შევსებული და ნებისმიერი ჟურნალისტიოვის ხელმისაწვდომი. გასაგებია, რომ უცხოელ კოლეგებს ასე უნდა მივაწოდოთ გუნდების შემადგენლობა, მაგრამ ვგონებ, ქართველნიც იმსახურებენ იმას, რომ ქართულად ჩაწიკწიკებული ოქმები დაურიგდეთ. მით უმეტეს, არსებობს ქსეროქსი და რამდენიმე ათეული ასლის გადაღება სახლაფორთო საქმე არ უნდა იყოს.

მეორე — ჰიმნია. საქართველოს ჰიმნის შესრულებისას ახალგაზრდათა ჯგუფი ღრიალით შემოვიდა სტადიონზე. გასაგებია, სისხლის ყივილი, სიხარული, თუმცა ჰიმნი ხომ რამდენიმე წუთი გრძელდება და თავშეკავება ურიგო არ იქნებოდა. მერე კი, ოცოცხლე, გაგიხარია, უქომაგე და იღრიალე რამდენიც გენებოს.

მესამე და ბოლო — ეგებ ვისაც ევალება, თუნდაც ხუთიოდ წუთის დაგვიანებით გოლის ავტორის და შეცვლაზე შესული ფეხბურთელის ვინაობა ამცნოს სტადიონზე მისულ მაყურებელს, რადგან დამსწრეთ მეტოქე გუნდისა თუ არა, საკუთარი ნაკრების მოთამაშეთა გვარები აინტერესებთ და ვფიქრობ, მათი ინტერესი დაკმაყოფილებას იმსახურებს.

საწყისი ათი წუთის მანძილზე ბელგიელები უფრო კარგად გამოიყურებოდნენ. მათი მარცხენაფლანგელი ფერნანდესი თავის მეურვეს სისწრაფეში სჯობნიდა და პირველი ხიფათიც მან გამოჩარხა. კარის წინ მის ჩაწოდებულს დე ლანჟემ ფეხი ვერ დაუხვედრა.



სანდრო იაშვილმა (№10) საგოლედ ერთხელაც ვერ მოიქნია

სტუმართა შუახაზელები სწრაფად გადადიოდნენ მეტოქის ნახევარზე და შეტევის მიმართულებებსაც ხშირად ცვლიდნენ.

მასპინძლები დაცვაში მოიკოჭლებდნენ. განსაკუთრებით ბურთის ამოტანა უჭირდათ, ხოლო ამდენი არაზუსტი გადაცემა, ქართველებმა გუშინ რომ გააკეთეს, იშვიათად მინახავს. ძალიან ბევრი იყო უაზრო პასები უკან და გვერდზე, რაც გულშემატკივრის წყრომას იწვევდა, რადგან სტუმართა დაცვა სულაც არ წააგავდა „იუვენტუსისას", რომ ძნელად გასარღვევი ეთქმოდეს. ამიტომაც გაუგებარია, რატომ ერიდებოდნენ წინ მოძრაობას ქართველები.

ბურთის მარტივი გათამაშებით რომ არაფერი გამოუვიდათ, დამხვდურებმა გრძელი გადაცემების გამოყენება დაიწყეს. ერთ ეპიზოდში ბელგიელთა მეკარე ვერბუვედე საჯარიმოს გარეთ გამოძვრა და ბურთი თავით მოიგერია. ფირცხალავას მხოლოდ ცარიელ კარში ზუსტად დარტყმა ევალებოდა, მაგრამ გვერდზე კი ააცილა.

ამ მომენტიდან ათიოდ წუთში სანდრო იაშვილი პირისპირ შეხვდა სტუმარ მეკარეს და თავისი შანსი ვერ გამოიყენა.

დალეჭილია: ვერ გაიტან, გაგიტანენ, მაგრამ ალბათ ეს გაცვეთილი ფრაზა გაუცვეთავ ჭეშმარიტებას ღაღადებს. იაშვილის მჯობნმა ვერბუვედემ შეტევა წამოიწყო. ბურთი საჯარიმოსთან კაშიამ უხეიროდ მოიგერია, ფერნანდესმა მოიხელთა და დე ლანჟეს თავზე დაასვა. ნაფეტვარიძე უძლური იყო, ორიოდ მეტრიდან დარტყმული აელო.

აქედან მოყოლებული ბელგიელებმა გაილაღეს და ანგარიშის გაზრდის რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი გააცუდეს, მაშინ, როცა ქართველებს ტაიმის ბოლომდე ხეირიანი მომენტიც არაფერი შეუქმნიათ, მეტოქის შეტევების მოგერიებით იყვნენ დაკავებულნი. თან ამას ისე ქაოსურად აკეთებდნენ, რომ სტუმრებსაც ვერაფერი გაეგოთ. ბურთი ფეხბურთელთა ფეხებში უგზო-უკვლოდ დაეხეტებოდა.

იან დე ლანჟემ და მისმა დამქაშებმა პირველი ნახევრის ბოლო ხუთ წუთში სულ ცოტა ოთხი საგოლე გამოჩარხეს. ერთ მომენტში გოლის ავტორმა, მგონი, დაგვცინა კიდეც, რადგან სამიოდ მეტრიდან კარში დარტყმის ნაცვლად მცველის გაბითურება გადაწყვიტა, მაგრამ გადაამლაშა.

შესვენების შემდეგ თამაშმა ევროპელთა ნახევარზე გადაინაცვლა და მასპინძლები მთელი ორმოცდახუთი წუთის განმავლობაში უტევდნენ, უფრო სწორად, ცდილობდნენ, მაგრამ რა გამოვიდა, ამაზე ანგარიშიც მეტყველებს. ორ კუთხურს ორი არაზუსტი თავური მოჰყვა, ხოლო ფეხით თუ ურტყამდნენ, აზრს და ძალას ვერ აყოლებდნენ.

დასანანი ისაა, რომ ძალიან ხშირად ვმარცხდებით ისეთ გუნდებთან, რომლებსაც იქით უნდა ვუგებდეთ დიდი ანგარიშით. ჯერაც ვერ ვნახე საქართველოს ნებისმიერი ასაკის ნაკრები, რომელშიც ფეხბურთელებს თავის ფუნქციები ბოლომდე ესმოდეთ.

იმედია, ოთარ კორღალიძე, რომელმაც პრესკონფერენციაზე წარუმატებლობის ძირითად მიზეზად სათამაშო პრაქტიკის არქონა დაასახელა, ის კაცია, შეცდომებზე სწავლა რომ ძალუძს.

ბოლოს კი იმას გეტყვით, რაც ალბათ მაყურებელმაც შეამჩნია, თითქმის ყველა ჩვენი ფეხბურთელი ბურთს ჩასჩერებია და თავჩაქინდრული აბა, მოედანს როგორ დაინახავს.

თავები, თავები, მაღლა!



ფარერელების განადგურება გორბკოვმა (№11) დაიწყო და დაასრულა

თბილისი. 22 ოქტომბერი. 16 საათი. ეროვნული. 50 (ტევადობა 70 900)

### ფარერები 0:6 უკრაინა

| |
|---|
| 0:1 გორბკოვი (4), 0:2, 0:3 კრივოშენკო (17:3, 24), 0:4 ალიევი (45), 0:5 ვორობეი (80), 0:6 გორბკოვი (82) |
| ფარერები: ნილსენი, დიურჰუსი, კრისტიანსენი, ნოლსი, ა. პეტერსენი (ჰანსენი 55), ტორლეიფსონი, მ. სამუელსონი (სკორალტდი 76), ს. სამუელსონი, იჰანერსენი (ელიასენი 76), ი. პეტერსენი, იორგენსენი. სათადარიგონი: ბარენტსენი, ტორსტეინსტონი, დანიელსენი, მიდიორდი. მწვრთნელი: მარტინ ოლსენი |
| უკრაინა: პიატოვი, პეტრიესკი, გრუდნენკო, ლუჩკი (გონჩარენკო 35), ობერემკო, კარამუშკა, ნესინი, გიბაულიუკი, ალიევი, კრივოშენკო (ვორობეი 39), გორბკოვი. სათადარიგონი: სტეპანენკო, ვლაიევი, პიდგაინი, ადლეიბა, ბროვკინი. მწვრთნელი: ანატოლი კროშენკო |
| გაფრთხილება: გორბკოვი (54) |
| მსაჯები: ტ. პოულსენი; ლ. ნორდლანდი (ორივე დანია), ლ. სილაგავა; კ. მესხი (ორივე საქართველო) |
| უეფას დელეგატი: ალენ დელმერი (საფრანგეთი) |
| ჯარიმა: 17-8; კუთხური: 0-3; კარისკენ დარტყმა: 1-6; კარში დარტყმა: 0-16; თამაშგარე: 1-7 |

# ასე ფიქრობენ ევროპაში

კახა შალამბერიძე

ფარერელმა ჭაბუკებმა რაც იცოდნენ, გააკეთეს, რაც გააკეთეს, ანგარიშიდანაც კარგად ჩანს. თუმც ამისთვის მათ ნაღდად ვერავინ დაძრახავს. ჯერ ერთი, ფარერის კუნძულებზე მცხოვრებთ არასოდეს ჰქონიათ დიდი პრეტენზიები და მეორეც — გუშინ მათი მეტოქე უკრაინის ნაკრები იყო, რომელიც უძლეველი სულაც არაა, მაგრამ სწორ ფეხბურთს კი თამაშობს და თუკი ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვდა, ალბათ, ბევრს გაამწარებს.

ასეთ უსუსურ მეტოქესთან „ცალი ფეხით" მოგებული მატჩის შემდეგ უკრაინელთა ძლიერ ან სუსტ მხარეებზე ლაპარაკი მართლა ძნელია, თუმც ერთ საინტერესო ფაქტზე გავამახვილებთ თქვენს ყურადღებას: შეიძლება თამამად ითქვას, რომ თამაში სულ რაღაც 24 წუთში დონეცკის მეტალურგელმა ივან კრივოშენკომ „გააკეთა". მან ყველაფერში დაჩარგა ფარერელთა დაცვა და ორი გოლიც გაიტანა. აქედან ერთი პენალტით, რომელიც სწორედ მისი წაქცევისთვის დანიშნა დანიელმა მსაჯმა. კრივოშენკოს სისწრაფით და ტექნიკით „ეროვნულზე" შეკრებილი მცირერიცხოვანი მაყურებელიც აღფრთოვანებული დარჩა, მაგრამ... მწვრთნელმა იგი 39-ე წუთზე შეცვალა. ბევრმა ეს ტაქტიკურ სვლად ჩათვალა, ეტყობა, მომდევნო მატჩებისთვის დაასვენაო, თუმც აი, რა გვითხრა ნამატჩევს უკრაინელთა თავკაცმა ანატოლი კროშენკომ:

— კრივოშენკო ჩვენი გუნდის ლიდერია. მასზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, მაგრამ შეამჩნევდით, ბურთთან განშორება უჭირდა და ამით შეტევები სამწვავეს კარგავდა. მართალია, მან ორი გოლი გაიტანა, მაგრამ თამაში ხომ ამით არ დამთავრებულა. სამწუხაროდ, მას ბურთის თრევა უკვე ქრონიკულად აქვს გამჯდარი გონებაში, თუმც ჩემთან ეგეთები არ გაუვა. ამიტომაც შევცვალე იმედია, დაფიქრდება და ჭკუას მოუხმობს.

ამ მონოლოგს ბევრი კომენტარი არ სჭირდება, მხოლოდ ერთს დავამატებთ: ალბათ ქართული ფეხბურთისთვის მეტად უცხო ამბავია. რას ვიზამთ, ასე ფიქრობენ დღეს ევროპაში...

დასასრულს, უსამართლობა იქნება, არ აღვნიშნოთ ალექსანდრ ალიევის გოლი. უკრაინელთა გამთამაშებელმა ერთი გახედა მეტოქის კარს და ოცდახუთიოდე მეტრიდან მოჭრილი დარტყმით შორეულ ცხრიანში გაჭედა ბურთი. კანტიკუნტად დაკრული ტაში ალიევისთვის ნაღდად პატარა „საჩუქარი" იყო.

ჩოხატაურის „ბახმაროს" ვეტერანი ფეხბურთელები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამაგდარი სპორტული მუშაკი, მრავალი წლის მანძილზე რაიონის სპორტის უცვლელი თავკაცი, ღირსების ორდენოსანი

**დორმიდონტე ჩხიკვაძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს

# რატის კონტრაქტი

## ალექსიძე დინამოში 2004 წლამდე ითამაშებს

ინგლისური „ჩელსიდან" გამოთხოვილი რატი ალექსიძე თბილისის „დინამოს" დაუბრუნდა. გუშინ ფეხბურთელმა საქართველოს ათგზის ჩემპიონთან 2004 წლის იანვრამდე გააფორმა კონტრაქტი და მალე „დინამოს" მაისურას მოირგებს.

რატი ალექსიძე, რომელიც „ჩელსიდან" საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის დახმარებით გათავისუფლდა, უკვე კარგა ხანია, თბილისშია და უცხოური კლუბის ძიებაში იყო, მაგრამ ჟორდანიას რჩევის შემდეგ საქართველოში დარჩენა ამჯობინა. ფედერაციის პრეზიდენტის თქმით, რატი ალექსიძე, ერთი შეხედვითაც კარგად ჩანდა, სათამაშო ფორმაში არ იყო და მას საქართველოს რომელიმე კლუბთან მოლაპარაკება სთხოვა. ფეხბურთელმაც არ დააყოვნა და მეორე დღესვე მშობლიურ „დინამოს" მიაკითხა, მით უმეტეს, რომ თბილისურ კლუბს რატის ხელში ჩაგდება ზაფხულშივე სურდა. ალექსიძე „დინამოში" კარგა ხანია ვარჯიშობდა, თუმც ხელმძღვანელობასთან კონტრაქტის დეტალებზე მოლაპარაკებამ ასევე კარგა ხანი წაიღო. საბოლოო შედეგი კი აგერ, პირველსავე აბზაცში წერია.

შეგახსენებთ, რომ რატი ალექსიძე თბილისის „დინამოდან" ლონდონის „ჩელსიში" 1999 წელს ოთხწლიანი კონტრაქტით გადავიდა და ამ სახელოვან კლუბში ოფიციალურ მატჩებში სულ ორჯერ ითამაშა. თუმც კი „ჩელსიში" წასვლამდე უფრო ადრე რატი მეორე დინამოელ არჩილ სახვაძესთან ერთად ამავე კლუბში სტაჟირებაზე იყო რამდენიმე თვით და სათადარიგოთა გუნდში საკმაო პრაქტიკა მიიღო. რატი ალექსიძის პოტენციის სჯერა „დინამოს" მწვრთნელ ივო შუშაკს, თუმც ჯერ უცნობია, მას რომელ პოზიციაზე თამაშს დაავალებს. ადრე „დინამოში" ალექსიძე მარცხენა ჰავბეკი იყო. „ჩელსიში" გამოკვეთილ თავდამსხმელად თამაშობდა, ახლა...

ქობა ინასარიძე



ზურაბ ხიზანიშვილი

# მიდი, ზურა მიეხედე!

## დაფიმ ხიზანიშვილს შვიდი წუთი დაუთმო

ცხრათვიანი იძულებითი დასვენების შემდეგ შოტლანდიურ პრემიერლიგასა და „დანდის" დაუბრუნდა ქართველი მცველი ზურაბ ხიზანიშვილი. იგი, მოგეხსენებათ, შარშან შემოდგომაზე ჩემპიონატის ერთ-ერთ მატჩში დაშავდა მძიმედ და მას შემდეგ შოტლანდიაში, შვეიცარიასა და იტალიაში (რობერტო ბაჯოს ექიმის მეთვალყურეობით) მკურნალობდა. ახლა ზურაბ ხიზანიშვილი ბოლომდე გამოჯანმრთელდა და ორი კვირის წინ საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში რუსების წინააღმდეგაც ითამაშა, შაბათს კი პრემიერლიგაში „აბერდინთან" სტუმრადაც მოსინჯა ძალა. ქართველმა მცველმა გიორგი ნემსაძე შეცვალა და სულ შვიდი წუთი ითამაშა.

— მწვრთნელი ჯიმ დაფი ნელ-ნელა მაჩვევს პრემიერლიგას. წინა ტურში მატჩის ბოლოსკენ მათამაშა, დღეს „პარტიკთან" თასზე და მომავალ ტურშიც ალბათ რამდენიმე წუთით შემიყვანს მოედანზე. ვნახოთ, ჯერჯერობით ყველაფერი კარგადაა, ტრავმა მოვიშუშე, ალარაფერი მაწუხებს. სასურველ ფორმაში, რა თქმა უნდა, არ ვარ, თუმც ძველებურად ათამაშებამდე ბევრიც არ მაკლია. რაც უნდა იყოს, „აბერდინთან" მატჩამდე მეორე გუნდთან ერთად ვთამაშობდი და პრაქტიკის უქონლობას არ ვუჩივი. თუმც პრემიერლიგაში მაინც სხვა მოთხოვნებია — გვითხრა ზურაბ ხიზანიშვილმა, რომელსაც გუშინ შოტლანდიაში დავუკავშირდით.

ქობა ინასარიძე

# რეხვიაშვილმა თასის ფასიც იცის

## ყაველაშვილი, დაცვას მიხედე!

უგოლოდ და უგულოდ იბურთავეს ქართველებმა ევროპაში. ასეთი მწირქართულგოლიანი ტური ნაღდად არ გვახსოვს. ერთადერთი, ვინც თანამემამულეებს ნამუსი მოსწმინდა, თემურ ქეცბაიაა, რომელიც „ანართოსისს" საჭირო გოლით შეეწია და გამარჯვებაშიც დიდი წილი დაიდო.

დანარჩენთაგან უმრავლესობა საერთოდ არ გასულა მოედანზე, სხვებმა კი მშრალად ითამაშეს. თუმც გამონაკლისი აქაც შეგვხვდა. მორიგი ლატვიური ტიტული მოიგეს რიგის „სკონტოს" ქართველებმა. ალექსანდრე რეხვიაშვილის კაპიტნობით რიგელებმა 3:0 გაიმარჯვეს ქვეყნის თასის ფინალში. ზურაბ მენთეშაშვილს და ლევან კორღალიძეს კი ტრავმების გამო არ უთამაშიათ.

რუსეთში „ქართულმა" „რუბინმა" იყოჩაღა და აქაც მხოლოდ ერთი ჩვენებური გახდა სიხარულის მონაწილე. ყაზანელებმა ჩემპიონატის დასრულებამდე სამი ტურით ადრე შეძლეს პრემიერლიგის საგზურის დაბევება. „ნეფტეხიმიკის" ძლევაში მხოლოდ გიზო ჯელაძემ შეიტანა წვლილი, პირველი ლიგის ბომბარდირი დავით ჩალაძე და ლევან სილაგაძე კი დაშავებულები არიან.

რუბინელ ქართველებს დახმარების ხელი კრისტალელმა ქართველებმა გაუწოდეს. „კრისტალმა" 3:2 სძლია შინ „რუბინის" მთავარ კონკურენტ „ტომს". თეიმურაზ გადელიამ ამ მატჩში პენალტის გატანა ვერ შეძლო, თუმც მასპინძლებმა მაინც იმარჯვეს.

„ZURA BACK" — ასეთი სათაურით გამოეხმაურა ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ ზურაბ ხიზანიშვილის დაბრუნებას მისივე კლუბის ვებ-გვერდი. „დანდის" მწვრთნელები გახარებულნი არიან „ხიზანას" გამოჯანმრთელებით და მასზე ძველებურად დიდ იმედებს ამყარებენ. ხიზანიშვილმა 83-ე წუთზე თანამემამულე გიორგი ნემსაძე შეცვალა, მისმა „დანდიმ" კი სტუმრად საჭირო ქულა აართვა „აბერდინს".

რამდენიმეტურიანი გაუჩინარების შემდეგ გამოჩნდა გოგა გახოკიძეც. პსვ-მ ვერაფერი დააკლო „როდას", რაც პირველი ადგილის დაკარგვად დაუჯდა. გახოკიძემ კი ბრაზილიელი ლეანდრო შეცვალა, თუმც საკუთარ გუნდს დიდად ვერ შეეშველა.

საკმაოდ უცნაური ფუნქცია დააკისრა მწვრთნელმა მიხეილ ყაველაშვილს. „ლუცერნმა" დაძაბულ ბრძოლაში 4:3 აჯობა „სერვეტს" და სახიფათო ზონასაც თავი დააღწია. ყაველაშვილმა დაცვაში ითამაშა და, ბევრის გასაკვირად, საკმაოდ კარგადაც გაისარჯა.

წარმატებული სერია შეწყვიტა „შტურმმა". დავით მუჯირი სასტარტოში იყო და 62-ე წუთზე შეცვალეს, როცა „ბრეგენცი" 1:0-ს იგებდა, მერე კი სტუმრებმა მთლად აურიეს და დიდი ანგარიშითაც დამარცხდნენ.

უკრაინასა და რუსეთში თასის მერვედფინალური მატჩები გაიმართა. ჩვენს სამეზობლოში ვალერი აბრამიძის „სპარტაკმა" 4:0 გაანადგურა „ურალანი". რევაზ ძოძუაშვილის ბიჭებმა ვერაფერი გააწყვეს დედაქალაქელებთან. სევასტი თოდუა კი 78-ე წუთზე ბოლო იმედის ჯარიმისთვის გააძევეს.

უკრაინაში ოჯახური ტრაგედიის შემდეგ პირველად ითამაშა გოჩა ჯამარაულმა. მისმა „მეტალურგმა" 1:0 სძლია „ობოლონს".

„ფრაიბურგი" მეორე ადგილზე ჩაცურდა. ფოლკერ ფინკეს შეგირდები „ობერჰაუზენთან" დამარცხდნენ და პირველი ადგილი „კიოლნს" დაუთმეს. ფრაიბურგელთაგან კობიაშვილმა და ცქიტიშვილმა სრულად ითამაშეს და გაფრთხილებებიც მიიღეს, ალექსანდრე იაშვილი კი საერთოდ არ გამოჩენილა.

ქახა შალამბერიძე



ალექსანდრე რეხვიაშვილი

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | ატალანტა 4:1 | 90 | | 5 | 0 | 1 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | ობერჰაუზენი 0:1 | 0 | | 7 | 0 | 2 |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | ს | ობერჰაუზენი 0:1 | 90 | გააფრთხილეს | 9 | 3 | 2 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | ს | ობერჰაუზენი 0:1 | 90 | გააფრთხილეს | 8 | 0 | 2 |
| გიორგი კიკნაძე | ფრაიბურგი | ს | ობერჰაუზენი 0:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 2 |
| ზაზა ზამთარაძე | ფრაიბურგი | ს | ობერჰაუზენი 0:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 2 |
| არჩილ არველაძე | კიოლნი | ს | მაინცი 2:2 | 0 | | 0 | 0 | 1 |
| გიორგი დეკანოსიძე | ფიურტი | ს | ვალდჰოფი 0:0 | | განაცხადში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 10 |
| **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | ს | ბრეგენცი 0:3 | 62 | შეცვალეს | 10 | 2 | 3 |
| **ინგლისი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გიორგი ქინქლაძე | დერბი ქაუნთი | შ | ნოტინგემი 0:0 | 22 | შეცვლაზე ითამაშა | 6 | 1 | 12 |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | შ | მოზერუელი 3:0 | 0 | ტრავმირებულია | 10 | 5 | 1 |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | ს | აბერდინი 0:0 | 83 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 9 | 0 | 7 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | დანდი | ს | აბერდინი 0:0 | 7 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | 7 |
| **ჰოლანდია. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გოგა გახოკიძე | პსვ | შ | როდა 0:0 | 33 | შეცვლაზე ითამაშა | 4 | 0 | 2 |
| **ბელგია. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გელა შეყილაძე | ლიერსი | ს | მუსკრონი 1:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 3 |
| **შვეიცარია. A ჯგუფი** | | | | | | | | |
| მიხეილ ყაველაშვილი | ლუცერნი | შ | სერვეტი 4:3 | 90 | | 8 | 1 | 9 |
| ლევან ხომერიკი | აარაუ | შ | იანგ ბოისი 1:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 12 |
| **რუსეთი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თეიმურაზ გადელია | კრისტალი | შ | ტომი 3:2 | 71 | პენალტი ვერ გაიტანა, შეცვალეს | 23 | 0 | 10 |
| თენგიზ სიჭინავა | კრისტალი | შ | ტომი 3:2 | 0 | | 26 | 2 | 10 |
| ზვიად ჯელაძე | კრისტალი | შ | ტომი 3:2 | 90 | გააფრთხილეს | 19 | 0 | 10 |
| გიზო ჯელაძე | რუბინი | შ | ნეფტეხიმიკი 2:0 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 18 | 0 | 1 |
| ლევან სილაგაძე | რუბინი | შ | ნეფტეხიმიკი 2:0 | 0 | ტრავმირებულია | 12 | 0 | 1 |
| დავით ჩალაძე | რუბინი | შ | ნეფტეხიმიკი 2:0 | 0 | ტრავმირებულია | 24 | 16 | 1 |
| პაატა ჯინჭარაძე | ლოკომოტივი | შ | გაზოვიკი 2:1 | 85 | შეცვალეს | 23 | 4 | 11 |
| პაატა ბერიშვილი | ვორონეჟი | ს | ხიმკი 0:0 | 0 | | 4 | 1 | 13 |
| ალექსანდრე გელაძე | სკა როსტოვი | შ | ყუბანი 1:2 | 0 | | 7 | 0 | 17 |
| გოჩა გოგრიჭიანი | სკა როსტოვი | შ | ყუბანი 1:2 | 65 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 6 | 1 | 17 |
| ვლადიმერ კაკაშვილი | სკა როსტოვი | შ | ყუბანი 1:2 | 90 | | 11 | 0 | 17 |
| **რუსეთი. თასის მერვედფინალი** | | | | | | | | |
| ვალერი აბრამიძე | სპარტაკი | შ | ურალანი 4:0 | 90 | | 2 | 0 | |
| სევასტი თოდუა | ურალანი | ს | სპარტაკი 0:4 | 78 | გააძევეს | 2 | 0 | |
| დავით ჩალაძე | რუბინი | შ | სატურნი 0:1 | 0 | ტრავმირებულია | 2 | 0 | |
| გიზო ჯელაძე | რუბინი | შ | სატურნი 0:1 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | |
| ლევან სილაგაძე | რუბინი | შ | სატურნი 0:1 | 0 | ტრავმირებულია | 1 | 0 | |
| დავით ხმელიძე | როსტსელმაში | ს | დინამო ს-პეტერბ. 3:2 | 0 | | 0 | 0 | |
| **უკრაინა. თასის მერვედფინალი** | | | | | | | | |
| შალვა აფხაზავა | არსენალი | შ | სოკოლი 4:0 | 0 | | 0 | 0 | |
| ზურაბ ფოფხაძე | კრივბასი | შ | არსენალი (ხარკ.) 1:0 | 90 | | 1 | 0 | |
| გოჩა ჯამარაული | მ. დონეცკი | ს | ობოლონი 1:0 | 90 | | 2 | 1 | |
| მიხეილ ფოცხვერია | დნიპრო | ს | ივირი 3:0 | 0 | განაცხადში ვერ მოხვდა | 0 | 0 | |
| გელა გაბისონია | არსენალი (ხარკ.) | ს | კრივბასი 0:1 | 6 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | |
| **პოლონეთი. პირველი ლიგა** | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | ამიცა | შ | ოსტროვეცი 5:1 | 90 | | 8 | 1 | 5 |
| **ბულგარეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ამირან მუჯირი | მარეკი | შ | პლოვდივი 1:2 | ? | | ? | 5 | 7 |
| **ლატვია. თასის ფინალი** | | | | | | | | |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | სკონტო | შ | მეტალურგსი 3:0 | 90 | გააფრთხილეს | | | |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | შ | მეტალურგსი 3:0 | 0 | ტრავმირებულია | | | |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | შ | მეტალურგსი 3:0 | 0 | ტრავმირებულია | | | |
| **კვიპროსი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ანართოსისი | შ | ალკი 3:2 | ? | 1 გოლი | ? | 2 | 4 |
| გიორგი შენგელია | დიგენისი | შ | პაფოსი 0:1 | ? | | ? | 2 | 6 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **გერმანია. ბუნდესლიგა. X ტური** | | | | | | |
| | | **26 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18.30 | 001 | ჰერტა-ლევერკუზენი | 2,05 | 3,1 | 3,4 | 1,23 | 1,27 | 1,62 |
| 18.30 | 002 | ბაიერნი-ჰანოვერი | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| | 003 | ბაიერნი-ჰანოვერი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 | | | |
| 18.30 | 004 | ვერდერი-დორტმუნდი | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| 18.30 | 005 | არმინია-ჰამბურგი | 2,1 | 3,0 | 3,4 | 1,23 | 1,29 | 1,59 |
| 18.30 | 006 | მიონხენგლადბახი-მიუნხენი | 2,1 | 3,1 | 3,3 | 1,25 | 1,28 | 1,59 |
| 18.30 | 007 | შალკე-ნიურნბერგი | 1,35 | 3,8 | 8,0 | 1 | 1,15 | 2,57 |
| | 008 | შალკე-ნიურნბერგი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| 18.30 | 009 | შტუტგარტი-კოტბუსი | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1,03 | 1,18 | 2,31 |
| | 010 | შტუტგარტი-კოტბუსი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 | | | |
| | | **27 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20.30 | 011 | ვოლფსბურგი-ჰანზა | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 20.30 | 012 | კაიზერსლაუტერნი-ბოხუმი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა. X ტური** | | | | | | |
| | | **25 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22.00 | 013 | ბურგჰაუზენი-მაინცი | 2,35 | 3,1 | 2,8 | 1,33 | 1,27 | 1,47 |
| 22.00 | 014 | ალემანია-ლიუბეკი | 2,25 | 3,2 | 2,9 | 1,32 | 1,26 | 1,52 |
| 22.00 | 015 | კიოლნი-მანჰაიმი | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| | 016 | კიოლნი-მანჰაიმი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 | | | |
| | | **27 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18.00 | 017 | ფიურტი-ობერჰაუზენი | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,21 | 1,27 | 1,64 |
| 18.00 | 018 | ფრაიბურგი-როიტლინგენი | 1,55 | 3,3 | 6,0 | 1,05 | 1,23 | 2,12 |
| 18.00 | 019 | სტ.პაული-ტრიერი | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |
| 18.00 | 020 | აინტრახტი-ალენი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 18.00 | 021 | კარლსრუე-უნიონი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| | | **28 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23.15 | 022 | დუისბურგი-ბრაუნშვაიგი | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1,03 | 1,18 | 2,31 |
| | 023 | დუისბურგი-ბრაუნშვაიგი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 | | | |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XIV ტური** | | | | | | |
| | | **25 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22.00 | 024 | ოსნაბრიუკი-ესენი | 2,05 | 3,1 | 3,4 | 1,23 | 1,27 | 1,62 |
| | | **26 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17.00 | 025 | დორტმუნდი(მ)-კილი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 17.00 | 026 | დრეზდენი-კიოლნი(მ) (ნეიტრ.) | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| 17.00 | 027 | ოუ-ჰამბურგი(მ) | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,07 | 1,22 | 2,03 |
| 17.00 | 028 | ურდინგენი-ვატენშაიდი | 2,25 | 3,0 | 3,1 | 1,28 | 1,3 | 1,52 |
| 17.00 | 029 | პადერბორნი-მიუნსტერი | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| 17.00 | 030 | ლევერკუზენი(მ)-ფერლი | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,07 | 1,22 | 2,03 |
| | | **27 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17.00 | 031 | ბაბელსბერგი-დინამო | 2,5 | 2,9 | 2,7 | 1,34 | 1,29 | 1,39 |
| 17.00 | 032 | ვერდერი(მ)-ქემნიცი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XVI ტური** | | | | | | |
| | | **25 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22.00 | 033 | ზაარბრიუკენი-ჰოფენჰაიმი | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1,03 | 1,18 | 2,31 |
| | 034 | ზაარბრიუკენი-ჰოფენჰაიმი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 | | | |
| 22.30 | 035 | დარმშტადტი-კიკერსი | 1,8 | 3,1 | 4,2 | 1,13 | 1,25 | 1,78 |
| | | **26 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17.00 | 036 | ერფურტი-ვეენი | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1,03 | 1,18 | 2,31 |
| | 037 | ერფურტი-ვეენი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 | | | |
| 17.30 | 038 | შვაინფურტი-ბაიერნი(მ) | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| 17.30 | 039 | აინტრახტი(მ)-ელვერსბერგი | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |
| 17.30 | 040 | აუგსბურგი-რეგენსბურგი | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| 17.30 | 041 | ფულენდორფი-ლაუტერნი(მ) | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| | | **27 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17.30 | 042 | ნოიკირხენი-ოფენბახი | 3,0 | 3,1 | 2,25 | 1,52 | 1,28 | 1,3 |
| 17.30 | 043 | ზიგენი-უნტერჰახინგი | 2,45 | 3,2 | 2,5 | 1,38 | 1,23 | 1,4 |
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა. გადადებული მატჩი** | | | | | | |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23.45 | 044 | ფულემი-ვესტ ჰემი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა. XI ტური** | | | | | | |
| | | **26 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19.00 | 045 | არსენალი-ბლექბერნი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| | 046 | არსენალი-ბლექბერნი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| 19.00 | 047 | ბირმინგემი-სიტი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 19.00 | 048 | ჩელსი-ვესტ ბრომვიჩი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| | 049 | ჩელსი-ვესტ ბრომვიჩი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| 19.00 | 050 | ლივერპული-ტოტენჰემი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 19.00 | 051 | მანჩესტერი-ასტონ ვილა | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,21 |
| | 052 | მანჩესტერი-ასტონ ვილა 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 | | | |
| 19.00 | 053 | მიდლსბრო-ლიდსი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,54 |
| 19.00 | 054 | ნიუკასლი-ჩარლტონი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| | | **27 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18.00 | 055 | საუთჰემპტონი-ფულემი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 20.05 | 056 | ვესტ ჰემი-ევერტონი | 2,05 | 3,2 | 3,3 | 1,24 | 1,26 | 1,62 |
| | | **28 ოქტომბერი** | | | | | | |
| 24.00 | 057 | ბოლტონი-სანდერლენდი | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |
| | | **ინგლისი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **გადადებული მატჩები** | | | | | | |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23.45 | 059 | ქოვენტრი-ნორვიჩი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,54 |
| 23.45 | 060 | შეფილდი-სტოკი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| | | **ინგლისი. I დივიზიონი. XV ტური** | | | | | | |
| | | **26 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19.00 | 061 | ბრედფორდი-ნორვიჩი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 19.00 | 062 | ბარნლი-პორტსმუთი | 2,7 | 3,1 | 2,4 | 1,44 | 1,27 | 1,35 |
| 19.00 | 063 | ქოვენტრი-უოლსოლი | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,07 | 1,22 | 2,03 |
| 19.00 | 064 | კრისტალ პალასი-ბრაიტონი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 19.00 | 065 | იფსვიჩი-ჯილინგემი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 19.00 | 066 | მილუოლი-დერბი | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| 19.00 | 067 | ნოტინგემი-ლესტერი | 2,15 | 3,1 | 3,2 | 1,26 | 1,28 | 1,57 |
| 19.00 | 068 | პრესტონი-რედინგი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 19.00 | 069 | როტერჰემი-სტოკი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 19.00 | 070 | შეფილდი-უიმბლდონი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 19.00 | 071 | უოტფორდი-უოლსი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 19.00 | 072 | ვულვერჰემპტონი-გრიმსბი | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1,03 | 1,18 | 2,31 |
| | 073 | ვულვერჰემპტონი-გრიმსბი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 | | | |
| | | **ინგლისი. II დივიზიონი. XV ტური** | | | | | | |
| | | **26 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19.00 | 074 | ბარნსლი-უიკომბი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 19.00 | 075 | ჩესტერფილდი-ნოტსი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 19.00 | 076 | პიტერბოროი-კოლჩესტერი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 19.00 | 077 | ლუტონი-უიგანი | 2,8 | 3,2 | 2,3 | 1,49 | 1,26 | 1,33 |
| 19.00 | 078 | ნორთჰემპტონი-ჩელტენჰემი | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| 19.00 | 079 | ჰადერსფილდი-ბრისტოლი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 19.00 | 080 | პლიმუთი-ბლეკპული | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |
| 19.00 | 081 | პორტ ვეილი-ქროუ | 2,5 | 3,2 | 2,45 | 1,4 | 1,23 | 1,38 |
| 19.00 | 082 | ქუინზ პარკი-ოლდემი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 19.00 | 083 | სტოკპორტი-ბრენტფორდი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 19.00 | 084 | სუინდონი-მენსფილდი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 21.35 | 085 | კარდიფი-ტრანმერი | 1,5 | 3,4 | 6,5 | 1,04 | 1,21 | 2,23 |
| | | **ინგლისი. III დივიზიონი. XV ტური** | | | | | | |
| | | **25 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23.45 | 086 | საუთენდი-ჰარტლპული | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| | | **26 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19.00 | 087 | ბოსტონი-როჩდეილი | 2,9 | 3,1 | 2,3 | 1,49 | 1,28 | 1,32 |
| 19.00 | 088 | ბორნმუთი-იორკი | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| 19.00 | 089 | რაშდენი-ლეიტონი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 19.00 | 090 | ბური-მაკლსფილდი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 19.00 | 091 | კარლაილი-სუონსი | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |
| 19.00 | 092 | ექსეტერი-დარლინგტონი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,54 |
| 19.00 | 093 | ჰალი-რაშდენი | 2,1 | 3,0 | 3,4 | 1,23 | 1,29 | 1,59 |
| 19.00 | 094 | კიდერმინსტერი-კემბრიჯი | 2,1 | 3,1 | 3,3 | 1,25 | 1,28 | 1,59 |
| 19.00 | 095 | ოქსფორდი-შრუსბერი | 1,75 | 3,1 | 4,4 | 1,11 | 1,25 | 1,81 |
| 19.00 | 096 | სკანთორპი-ტორკი | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| 19.00 | 097 | რექსემი-ლინკოლნი | 1,8 | 3,1 | 4,2 | 1,13 | 1,25 | 1,78 |
| | | **იტალია. სერია "A". VII ტური** | | | | | | |
| | | **26 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21.00 | 098 | კომო-მილანი | 4,4 | 3,1 | 1,75 | 1,81 | 1,25 | 1,11 |
| 23.30 | 099 | იუვენტუსი-უდინეზე | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,21 |
| | 100 | იუვენტუსი-უდინეზე 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 | | | |
| | | **27 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18.00 | 101 | ბრეშა-კიევო | 1,85 | 3,0 | 4,2 | 1,14 | 1,28 | 1,75 |
| 18.00 | 102 | ინტერი-ბოლონია | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| | 103 | ინტერი-ბოლონია 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 | | | |
| 18.00 | 104 | პარმა-ატალანტა | 1,55 | 3,4 | 6,5 | 1,06 | 1,25 | 2,23 |
| 18.00 | 105 | პერუჯა-მოდენა | 1,95 | 3,0 | 3,8 | 1,18 | 1,28 | 1,67 |
| 18.00 | 106 | პიაჩენცა-ემპოლი | 1,95 | 3,0 | 3,8 | 1,18 | 1,28 | 1,67 |
| 18.00 | 107 | რეჯინა-ტორინო | 2,0 | 2,9 | 3,8 | 1,18 | 1,31 | 1,64 |
| 23.30 | 108 | ლაციო-რომა | 2,6. | 2,9 | 2,6 | 1,37 | 1,29 | 1,37 |
| | | **იტალია. სერია "B". IX ტური** | | | | | | |
| | | **26 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23.30 | 109 | ასკოლი-ტერნანა | 2,45 | 2,7 | 3,0 | 1,28 | 1,34 | 1,42 |
| 23.30 | 110 | ბარი-სამპდორია | 2,5 | 2,6 | 3,0 | 1,27 | 1,36 | 1,39 |
| 23.30 | 111 | კოზენცა-სიენა | 1,9 | 2,7 | 4,7 | 1,11 | 1,35 | 1,71 |
| 23.30 | 112 | ვენეცია-ლეჩე | 2,5 | 2,6 | 3,0 | 1,27 | 1,36 | 1,39 |
| 23.30 | 113 | ლივორნო-ვიჩენცა | 1,9 | 2,8 | 4,4 | 1,13 | 1,32 | 1,71 |
| 23.30 | 114 | მესინა-ვერონა | 2,2 | 2,8 | 3,4 | 1,23 | 1,33 | 1,53 |
| 23.30 | 115 | პალერმო-კალიარი | 2,15 | 2,7 | 3,6 | 1,19 | 1,34 | 1,54 |
| 23.30 | 116 | ტრიესტინა-კატანია | 1,95 | 2,8 | 4,2 | 1,14 | 1,33 | 1,67 |
| | | **28 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23.30 | 117 | სალერნიტანა-ანკონა | 2,0 | 2,7 | 4,2 | 1,14 | 1,35 | 1,64 |
| 23.30 | 118 | ვიჩენცა-ნაპოლი | 2,45 | 2,7 | 3,0 | 1,28 | 1,34 | 1,42 |
| | | **იტალია. სერია "C1 A". IX ტური** | | | | | | |
| | | **27 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17.30 | 119 | ალბინოლეფე-არეცო | 1,65 | 2,8 | 6,5 | 1,03 | 1,31 | 1,95 |
| 17.30 | 120 | ალესანდრია-ლუმეცანე | 2,8 | 2,6 | 2,7 | 1,34 | 1,37 | 1,32 |
| 17.30 | 121 | კარარეზე-ჩიტადელა | 2,0 | 2,6 | 4,4 | 1,13 | 1,37 | 1,63 |
| 17.30 | 122 | ლუკეზე-ვარეზე | 1,85 | 2,8 | 4,7 | 1,11 | 1,32 | 1,75 |
| 17.30 | 123 | პრატო-სპეცია | 1,6 | 3,1 | 6,0 | 1,05 | 1,26 | 2,04 |
| 17.30 | 124 | პროპატრია-ტრევიზო | 2,3 | 2,7 | 3,3 | 1,24 | 1,35 | 1,48 |
| 17.30 | 125 | სპალ-პისტოიეზე | 2,5 | 2,6 | 3,0 | 1,27 | 1,36 | 1,39 |
| 18.00 | 126 | პადოვა-პიზა | 1,55 | 3,1 | 7,0 | 1,03 | 1,26 | 2,14 |
| 18.00 | 127 | რეჯანა-ჩეზენა | 2,6 | 2,6 | 2,9 | 1,29 | 1,37 | 1,37 |
| | | **იტალია. სერია "C1 B". IX ტური** | | | | | | |
| | | **27 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17.30 | 128 | კიეტი-პესკარა | 2,7 | 2,7 | 2,7 | 1,35 | 1,35 | 1,35 |
| 17.30 | 129 | ჯულიანოვა-ფერმანა | 1,8 | 2,8 | 5,0 | 1,09 | 1,32 | 1,79 |
| 17.30 | 130 | ავოლა-ბენევენტო | 1,85 | 2,7 | 5,0 | 1,09 | 1,35 | 1,75 |
| 17.30 | 131 | ლანჩანო-პატერნო | 1,35 | 3,8 | 8,0 | 1 | 1,15 | 2,57 |
| | 132 | ლანჩანო-პატერნო 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |
| 17.30 | 133 | მარტინა-ტერამო | 2,0 | 2,6 | 4,4 | 1,13 | 1,37 | 1,63 |
| 17.30 | 134 | ტორესი-სამბენედეტეზე | 2,5 | 2,7 | 2,9 | 1,29 | 1,34 | 1,39 |
| 17.30 | 135 | პეზარო-ვიტერბეზე | 1,65 | 3,0 | 5,6 | 1,06 | 1,27 | 1,95 |
| 18.00 | 136 | კროტონე-ტარანტო | 1,55 | 3,1 | 7,0 | 1,03 | 1,26 | 2,14 |
| | | **28 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23.30 | 137 | სორა-აველინო | 2,6 | 2,7 | 2,8 | 1,32 | 1,34 | 1,37 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი. VII ტური** | | | | | | |
| | | **26 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21.00 | 138 | უელვა-ბეტისი | 3,5 | 3,1 | 2,0 | 1,64 | 1,27 | 1,21 |
| 22.00 | 139 | რაიო-დეპორტივო | 3,3 | 3,1 | 2,1 | 1,59 | 1,28 | 1,25 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 140 | ვალენსია-ბილბაო | 1,45 | 3,5 | 7,0 | 1,02 | 1,2 | 2,33 |
| | 141 | ვალენსია-ბილბაო 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 | | | |
| 24.00 | 142 | ბარსელონა-ალავესი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | 143 | ბარსელონა-ალავესი 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |
| 24.00 | 144 | რეალი-ვილარეალი | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| | 145 | რეალი-ვილარეალი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 | | | |
| 00.30 | 146 | სელტა-ატლეტიკო | 1,65 | 3,2 | 5,0 | 1,08 | 1,24 | 1,95 |
| | | 27 ოქტომბერი | | | | | | |
| 20.00 | 147 | მალიორკა-ოსასუნა | 1,7 | 3,1 | 4,7 | 1,09 | 1,24 | 1,86 |
| 20.00 | 148 | სევილია-ვალიადოლიდი | 2,05 | 3,1 | 3,4 | 1,23 | 1,27 | 1,62 |
| 20.00 | 149 | მალაგა-ესპანიოლი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 23.30 | 150 | სოსიედადი-რასინგი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |

ესპანეთი. II დივიზიონი. VIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 26 ოქტომბერი | | | | | | |
| 21.30 | 151 | ლევანტე-ელჩე | 1,75 | 2,9 | 4,7 | 1,09 | 1,27 | 1,79 |
| 21.30 | 152 | ეხიდო-ლეგანესი | 1,95 | 2,9 | 4,0 | 1,16 | 1,31 | 1,68 |
| | | 27 ოქტომბერი | | | | | | |
| 14.30 | 153 | ხეტაფე-სარაგოსა | 2,3 | 3,0 | 3,0 | 1,3 | 1,3 | 1,5 |
| 15.00 | 154 | კორდობა-ხერესი | 2,5 | 2,8 | 2,8 | 1,32 | 1,32 | 1,39 |
| 20.00 | 155 | ალბასეტე-ლას პალმასი | 2,15 | 2,9 | 3,4 | 1,23 | 1,31 | 1,56 |
| 20.00 | 156 | კომპოსტელა-ეიბარი | 2,3 | 3,0 | 3,0 | 1,3 | 1,3 | 1,5 |
| 20.00 | 157 | ოვიედო-ალმერია | 1,75 | 3,1 | 4,4 | 1,11 | 1,25 | 1,81 |
| 20.00 | 158 | სალამანკა-სპორტინგი | 1,85 | 3,1 | 4,0 | 1,15 | 1,26 | 1,74 |
| 20.00 | 159 | ფეროლი-ტერასა | 2,2 | 2,9 | 3,3 | 1,25 | 1,32 | 1,54 |
| 20.00 | 160 | მურსია-ნუმანსია | 1,7 | 3,0 | 5,0 | 1,08 | 1,26 | 1,87 |
| 22.00 | 161 | ტენერიფე-ბადახოსი | 1,7 | 3,0 | 5,0 | 1,08 | 1,26 | 1,87 |

საფრანგეთი. I დივიზიონი. XII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 25 ოქტომბერი | | | | | | |
| 23.45 | 162 | ბორდო-მონაკო | 2,0 | 3,0 | 3,6 | 1,2 | 1,28 | 1,63 |
| | | 26 ოქტომბერი | | | | | | |
| 20.15 | 163 | პსჟ-მარსელი | 1,9 | 2,9 | 4,2 | 1,14 | 1,3 | 1,71 |
| 23.00 | 164 | აიაჩო-ლიონი | 2,7 | 2,9 | 2,5 | 1,39 | 1,29 | 1,34 |
| 23.00 | 165 | ოსერი-რენი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| | 166 | ოსერი-რენი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 | | | |
| 23.00 | 167 | გენგამი-სედანი | 1,8 | 3,0 | 4,4 | 1,12 | 1,27 | 1,78 |
| 23.00 | 168 | ლე ავრი-ნანტი | 2,4 | 3,0 | 2,8 | 1,33 | 1,29 | 1,44 |
| 23.00 | 169 | ლილი-სოშო | 2,15 | 2,8 | 3,5 | 1,21 | 1,33 | 1,55 |
| 23.00 | 170 | მონპელიე-ტრუა | 1,85 | 3,0 | 4,2 | 1,14 | 1,28 | 1,75 |
| 23.00 | 171 | ნიცა-ლანსი | 2,1 | 2,9 | 3,5 | 1,21 | 1,31 | 1,58 |
| 23.00 | 172 | სტრასბური-ბასტია | 1,8 | 3,0 | 4,4 | 1,12 | 1,27 | 1,78 |

საფრანგეთი

II დივიზიონი. XIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 26 ოქტომბერი | | | | | | |
| 23.00 | 173 | ამიენი-კლერმონი | 1,85 | 3,0 | 4,2 | 1,14 | 1,28 | 1,75 |
| 23.00 | 174 | გეონი-გრენობლი | 2,25 | 2,8 | 3,3 | 1,24 | 1,33 | 1,51 |
| 23.00 | 175 | ისტრი-ლავალი | 2,4 | 2,8 | 3,0 | 1,29 | 1,33 | 1,44 |
| 23.00 | 176 | ლე მანი-ვალანსი | 1,5 | 3,4 | 6,5 | 1,04 | 1,21 | 2,23 |
| 23.00 | 177 | ლორიანი-ვასკეალი | 1,7 | 3,0 | 5,0 | 1,08 | 1,26 | 1,87 |
| 23.00 | 178 | მეცი-კრეტეი | 1,9 | 2,9 | 4,2 | 1,14 | 1,3 | 1,71 |
| 23.00 | 179 | ნიორი-ბოვე | 1,9 | 2,9 | 4,2 | 1,14 | 1,3 | 1,71 |
| 23.00 | 180 | რუანი-ნანსი | 2,0 | 2,8 | 4,0 | 1,16 | 1,33 | 1,64 |
| 23.00 | 181 | სტ.ეტიენი-კანი | 2,1 | 2,8 | 3,6 | 1,19 | 1,32 | 1,57 |
| | | 27 ოქტომბერი | | | | | | |
| 21.15 | 182 | ტულუზი-შატორუ | 1,8 | 3,1 | 4,2 | 1,13 | 1,25 | 1,78 |

პორტუგალია

I ლიგა. VIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 25 ოქტომბერი | | | | | | |
| 00.30 | 183 | ბელენენსეში-მორეირენსე | 1,4 | 3,6 | 7,5 | 1 | 1,17 | 2,43 |
| | 184 | ბელენენსეში-მორეირენსე 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 | | | |
| | | 26 ოქტომბერი | | | | | | |
| 22.00 | 185 | ბენფიკა-აკადემიკა | 1,15 | 6,0 | 12,0 | 1 | 1,04 | 4 |
| | 186 | ბენფიკა-აკადემიკა 0:1 | 1,35 | 3,6 | 4,0 | | | |
| 22.15 | 187 | ლეირია-პორტუ | 4,0 | 3,1 | 1,85 | 1,74 | 1,26 | 1,15 |
| 01.00 | 188 | ბოავიშტა-სპორტინგი | 2,3 | 3,0 | 3,0 | 1,3 | 1,3 | 1,5 |
| | | 27 ოქტომბერი | | | | | | |
| 20.00 | 189 | მარიტიმუ-ფერეირა | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 20.00 | 190 | ბეირა მარი-სანტა კლარა | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| 20.00 | 191 | ნასიონალი-სეტუბალი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 23.00 | 192 | გიმარაეში-ვარზიმი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| | | 28 ოქტომბერი | | | | | | |
| 00.30 | 193 | ჟილ ვისენტე-ბრაგა | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |

პორტუგალია. II ლიგა. VIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 26 ოქტომბერი | | | | | | |
| 19.30 | 194 | ალვერკა-ლამში | 1,45 | 3,5 | 7,0 | 1,02 | 1,2 | 2,33 |
| | 195 | ალვერკა-ლამში 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 | | | |
| 20.00 | 196 | ფარენსე-მალეირა | 1,65 | 3,2 | 5,0 | 1,08 | 1,24 | 1,95 |
| 20.00 | 197 | შავეში-სალგეიროში | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| | | 27 ოქტომბერი | | | | | | |
| 19.00 | 198 | ავეში-მაია | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 19.00 | 199 | კოვილია-ფელგეირაში | 1,75 | 3,1 | 4,4 | 1,11 | 1,25 | 1,81 |
| 19.00 | 200 | ოვარენსე-პორტიმონენსე | 2,3 | 3,0 | 3,0 | 1,3 | 1,3 | 1,5 |
| 20.00 | 201 | ნავალი-ამადორა | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| 20.00 | 202 | რიუ ავე-პენაფიელი | 1,8 | 3,1 | 4,2 | 1,13 | 1,25 | 1,78 |
| 20.00 | 203 | მარკუ-ლეცა | 1,75 | 3,1 | 4,4 | 1,11 | 1,25 | 1,81 |

ჰოლანდია. I დივიზიონი. IX ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 25 ოქტომბერი | | | | | | |
| 23.00 | 205 | ბრედა-ვიტესი | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,21 | 1,27 | 1,64 |
| | | 26 ოქტომბერი | | | | | | |
| 22.30 | 206 | როდა-გრააფსხაპი | 1,35 | 3,8 | 8,0 | 1 | 1,15 | 2,57 |
| | 207 | როდა-გრააფსხაპი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| 22.30 | 208 | ჰერენვენი-ექსელსიორი | 1,9 | 3,4 | 3,4 | 1,21 | 1,21 | 1,7 |
| 22.30 | 209 | ვალვაიკი-აიაქსი | 4,4 | 3,4 | 1,65 | 1,91 | 1,2 | 1,11 |
| 23.00 | 210 | ალკმაარი-ტვენტე | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| 23.00 | 211 | ნაიმეგენი-პსვ | 4,0 | 3,3 | 1,75 | 1,8 | 1,21 | 1,14 |
| 23.00 | 212 | ფეიენოორდი-ტილბურგი | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1,03 | 1,18 | 2,31 |
| | 213 | ფეიენოორდი-ტილბურგი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 | | | |
| | | 27 ოქტომბერი | | | | | | |
| 17.30 | 214 | უტრეხტი-ზვოლე | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 17.30 | 215 | როზენდალი-გრონინგენი | 1,65 | 3,4 | 4,4 | 1,11 | 1,2 | 1,91 |

ჰოლანდია. II დივიზიონი. IX ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 25 ოქტომბერი | | | | | | |
| 23.00 | 216 | ემენი-ეინდჰოვენი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| | 217 | ემენი-ეინდჰოვენი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| 23.00 | 218 | ჰელმონდი-სიტარდი | 1,6 | 3,5 | 4,7 | 1,09 | 1,19 | 2 |
| 23.00 | 219 | ჰერაკლესი-ტელსტარი | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| 23.00 | 220 | ოსი-მაასტრიხტი | 1,55 | 3,5 | 5,3 | 1,07 | 1,19 | 2,1 |
| 23.00 | 221 | ვოლენდამი-დორტრეხტი | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| 23.00 | 222 | კამბური-დენ ჰააგი | 2,5 | 3,2 | 2,45 | 1,4 | 1,23 | 1,38 |
| 23.00 | 223 | ჰაარლემი-სპარტა | 2,7 | 3,3 | 2,3 | 1,48 | 1,24 | 1,35 |
| 23.00 | 224 | ვეენდამი-ვენლო | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| | | 27 ოქტომბერი | | | | | | |
| 17.30 | 225 | იგლსი-დენ ბოსხი | 1,9 | 3,3 | 3,5 | 1,2 | 1,23 | 1,69 |

ბელგია. I დივიზიონი. X ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 26 ოქტომბერი | | | | | | |
| 21.00 | 226 | მონსი-გენკი | 3,4 | 3,3 | 1,95 | 1,67 | 1,23 | 1,22 |
| 23.00 | 227 | ბეერსხოტი-გენტი | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| 23.00 | 228 | ლომელი-სტანდარდი | 2,6 | 3,1 | 2,45 | 1,41 | 1,26 | 1,36 |
| 23.00 | 229 | ლიერსი-შარლერუა | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| | 230 | ლიერსი-შარლერუა 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| 23.00 | 231 | ბევერენი-ვესტერლო | 2,15 | 3,2 | 3,1 | 1,28 | 1,26 | 1,57 |
| | | 27 ოქტომბერი | | | | | | |
| 18.00 | 232 | სტ.ტრუიდენი-მუსკრონი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| | | 28 ოქტომბერი | | | | | | |
| 23.00 | 233 | ლუვიე-მეხელენი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 23.00 | 234 | ლოკერენი-ანდერლეხტი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |

ბელგია. II დივიზიონი. X ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 25 ოქტომბერი | | | | | | |
| 23.30 | 235 | ჰეუსდენი-რუზელარე | 1,55 | 3,2 | 6,5 | 1,04 | 1,25 | 2,14 |
| | | 26 ოქტომბერი | | | | | | |
| 22.30 | 236 | დესელი-ინგელმუნსტერი | 2,2 | 3,0 | 3,2 | 1,26 | 1,3 | 1,54 |
| 23.00 | 237 | ვირტონი-ვიზე | 1,65 | 3,1 | 5,3 | 1,07 | 1,25 | 1,95 |
| 23.00 | 238 | ლიეჟი-სტრომბეკი | 1,7 | 3,1 | 4,7 | 1,09 | 1,24 | 1,86 |
| 23.00 | 239 | გეელი-პატრო | 1,5 | 3,3 | 7,0 | 1,03 | 1,23 | 2,24 |
| 23.00 | 240 | ეუპენი-სერენი | 2,1 | 2,9 | 3,5 | 1,21 | 1,31 | 1,58 |
| 23.30 | 241 | დაინცე-ტინენი | 1,6 | 3,0 | 6,5 | 1,04 | 1,28 | 2,05 |
| | | 27 ოქტომბერი | | | | | | |
| 18.00 | 242 | ვარეგემი-რონსე | 1,55 | 3,3 | 6,0 | 1,05 | 1,23 | 2,12 |
| 18.00 | 243 | დენდერლეუ-ვეზეტი | 2,0 | 2,9 | 3,8 | 1,18 | 1,31 | 1,64 |

საბერძნეთი. V ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 26 ოქტომბერი | | | | | | |
| 19.00 | 244 | პაოკ-ოლიმპიაკოსი | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| 19.00 | 245 | აეკ-კალითეა | 1,15 | 6,0 | 12,0 | 1 | 1,04 | 4 |
| | 246 | აეკ-კალითეა 0:1 | 1,35 | 3,6 | 4,0 | | | |
| | | 27 ოქტომბერი | | | | | | |
| 17.00 | 247 | ეგალეო-პანიონიოსი | 2,25 | 3,1 | 3,0 | 1,3 | 1,28 | 1,52 |
| 17.00 | 248 | იანინა-პანაჰაიკი | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| 17.00 | 249 | პროოდევტიკი-ოფი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| 19.00 | 250 | იონიკოსი-ქსანთი | 2,1 | 3,0 | 3,4 | 1,23 | 1,29 | 1,59 |
| 20.00 | 251 | პანათინაიკოსი-არისი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| | 252 | პანათინაიკოსი-არისი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| 21.00 | 253 | ირაკლისი-აკრატიტოსი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| | 254 | ირაკლისი-აკრატიტოსი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 | | | |

ჩეხეთი. XII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 26 ოქტომბერი | | | | | | |
| 13.15 | 255 | ჟიჟკოვი-ლიბერეცი | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| 17.25 | 256 | იაბლონეცი-სპარტა | 4,0 | 3,2 | 1,8 | 1,77 | 1,24 | 1,15 |
| | | 27 ოქტომბერი | | | | | | |
| 17.30 | 257 | ბლშანი-ბანიკი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 17.30 | 258 | ზლინი-ბუდეიოვიცე | 1,85 | 3,1 | 4,0 | 1,15 | 1,26 | 1,74 |
| 19.30 | 259 | ჰ.კრალოვე-სინოტი | 2,25 | 3,1 | 3,0 | 1,3 | 1,28 | 1,52 |
| 19.30 | 260 | სიგმა-ტეპლიცე | 2,1 | 3,0 | 3,4 | 1,23 | 1,29 | 1,59 |
| 19.30 | 261 | სლავია-ბრნო | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | 262 | სლავია-ბრნო 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |
| | | 28 ოქტომბერი | | | | | | |
| 19.00 | 263 | პრჟიბრამი-ბოჰემიანსი | 1,8 | 3,1 | 4,2 | 1,13 | 1,25 | 1,78 |

პოლონეთი. XI ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 25 ოქტომბერი | | | | | | |
| 23.00 | 264 | ლეგია-ვიძევი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | 265 | ლეგია-ვიძევი 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |
| | | 26 ოქტომბერი | | | | | | |
| 17.30 | 266 | ზაგლებიე-გარბარნია | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 17.30 | 267 | გროცლინი-ლეხი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 21.00 | 268 | რუხი-ამიკა | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 21.00 | 269 | გურნიკი-პოლონია | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,21 | 1,27 | 1,64 |
| 21.00 | 270 | ვისლა-კატოვიცე | 1,45 | 3,5 | 7,0 | 1,02 | 1,2 | 2,33 |
| | 271 | ვისლა-კატოვიცე 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 | | | |
| 21.00 | 272 | ოსტროვეცი-ოდრა | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 22.00 | 273 | პოგონი-პლოცკი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,54 |

თურქეთი. X ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 25 ოქტომბერი | | | | | | |
| 22.00 | 274 | ბეშიქთაში-მალათია | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,21 |
| | 275 | ბეშიქთაში-მალათია 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 | | | |
| | | 26 ოქტომბერი | | | | | | |
| 15.30 | 276 | ისთანბული-ტრაბზონი | 2,25 | 3,1 | 3,0 | 1,3 | 1,28 | 1,52 |
| 21.00 | 277 | ქოჯაელი-ანკარაგუჯუ | 2,8 | 3,2 | 2,3 | 1,49 | 1,26 | 1,33 |
| 21.00 | 278 | სამსუნი-დენიზლი | 1,85 | 3,1 | 4,0 | 1,15 | 1,26 | 1,74 |
| 21.00 | 279 | ალთაი-გალათასარაი | 5,0 | 3,4 | 1,6 | 2,02 | 1,21 | 1,08 |
| | | 27 ოქტომბერი | | | | | | |
| 21.00 | 280 | გენჩლერბირლიგი-ფენერბაჩე | 2,7 | 3,1 | 2,4 | 1,44 | 1,27 | 1,35 |
| 21.00 | 281 | ადანა-ელაზიგი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 21.00 | 282 | დიარბაქირი-გოზთეპე | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,54 |
| 21.00 | 283 | ბურსა-გაზიანთეპი | 2,7 | 3,1 | 2,4 | 1,44 | 1,27 | 1,35 |

შოტლანდია. პრემიერლიგა. XII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 26 ოქტომბერი | | | | | | |
| 19.00 | 284 | დანდი იუნაიტედი-პარტიკი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 19.00 | 285 | ჰარტსი-დანდი | 1,7 | 3,1 | 4,7 | 1,09 | 1,24 | 1,86 |
| 19.00 | 286 | მაზერველი-ლივინგსტონი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| | | 27 ოქტომბერი | | | | | | |
| 19.00 | 287 | დანფერმლაინი-სელტიკი | 6,0 | 3,5 | 1,5 | 2,21 | 1,2 | 1,04 |
| 19.00 | 288 | აბერდინი-ჰიბერნიანი | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,21 | 1,27 | 1,64 |
| 19.00 | 289 | რეინჯერსი-კილმარნოკი | 1,15 | 6,0 | 12,0 | 1 | 1,04 | 4 |
| | 290 | რეინჯერსი-კილმარნოკი 0:1 | 1,35 | 3,6 | 4,0 | | | |

დანია. XIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 26 ოქტომბერი | | | | | | |
| 19.00 | 306 | ვიბორგი-კოპენჰაგენი | 2,8 | 3,2 | 2,3 | 1,49 | 1,26 | 1,33 |
| | | 27 ოქტომბერი | | | | | | |
| 18.00 | 307 | ფარუმი-მიდტიულანდი | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,21 | 1,27 | 1,64 |
| 18.00 | 308 | კოგე-ესბიერგი | 2,45 | 3,3 | 2,45 | 1,4 | 1,22 | 1,4 |
| 18.00 | 309 | ოდენსე-აკადემიკი | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| 18.00 | 310 | სილკებორგი-ორჰუსი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 20.35 | 311 | ბრონდბი-ოლბორგი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ავსტრია. XV ტური** | | | | | | |
| | | **26 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18.30 | 312 | ბრეგენცი-პაშინგი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 18.30 | 313 | რიდი-კერნტენი | 2,05 | 3,1 | 3,4 | 1,23 | 1,27 | 1,62 |
| 18.30 | 314 | ზალცბურგი-გრაცერი | 2,3 | 3,0 | 3,0 | 1,3 | 1,3 | 1,5 |
| 20.20 | 315 | შტურმი-ადმირა | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| | 316 | შტურმი-ადმირა 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| | | **27 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19.30 | 317 | რაპიდი-ავსტრია | 2,9 | 3,1 | 2,3 | 1,49 | 1,28 | 1,32 |
| | | **შვეიცარია** | | | | | | |
| | | **"A" ჯგუფი. XVII ტური** | | | | | | |
| | | **25 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22.30 | 318 | სერვეტი-ბაზელი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| | | **26 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20.30 | 319 | ციურიხი-ვილი | 1,6 | 3,2 | 5,0 | 1,06 | 1,21 | 1,95 |
| | | **27 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17.30 | 320 | დელემონი-ქსამაქსი | 2,1 | 3,1 | 3,3 | 1,25 | 1,28 | 1,59 |
| 19.15 | 321 | ლუცერნი-თუნი | 1,85 | 3,1 | 4,0 | 1,15 | 1,26 | 1,74 |
| 19.15 | 322 | სტ.გალენი-აარაუ | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 19.15 | 323 | იანგ ბოისი-გრასჰოპერი | 2,6 | 3,1 | 2,45 | 1,41 | 1,26 | 1,36 |
| | | **შვეიცარია** | | | | | | |
| | | **"B" ჯგუფი. XVII ტური** | | | | | | |
| | | **26 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20.30 | 324 | კონკორდია-კრიენსი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 20.30 | 325 | ვოლენი-ლუგანო | 3,5 | 3,3 | 1,9 | 1,69 | 1,23 | 1,2 |
| 20.30 | 326 | ივერდონი-ბადენი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| | 327 | ივერდონი-ბადენი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| | | **27 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17.30 | 328 | ბელინცონა-სიონი | 2,35 | 3,2 | 2,7 | 1,35 | 1,25 | 1,46 |
| 17.30 | 329 | შაფჰაუზენი-ლოზანა | 3,0 | 3,0 | 2,3 | 1,5 | 1,3 | 1,3 |
| 17.30 | 330 | ვადუცი-ვინტერთური | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,12 | 1,21 | 1,84 |
| | | **ფინეთი** | | | | | | |
| | | **ფლეი ოფი.** | | | | | | |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20.30 | 358 | ალიანსი-ლაჰტი | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,12 | 1,21 | 1,84 |
| 20.30 | 359 | ინტერი-ტამპერე | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 20.30 | 360 | მიუპა-იარო | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| | 361 | მიუპა-იარო 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 | | | |
| 20.30 | 362 | ჰაკა-ჰკ | 2,2 | 3,3 | 2,9 | 1,32 | 1,25 | 1,54 |
| | | **იტალია. თასი** | | | | | | |
| | | **II ეტაპი. II მატჩები** | | | | | | |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18.00 | 371 | უდინეზე-ბარი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| 18.30 | 372 | ატალანტა-სამპდორია | 1,9 | 3,1 | 3,8 | 1,17 | 1,26 | 1,7 |
| 20.30 | 373 | პარმა-ვიჩენცა | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| 23.00 | 374 | კომო-ტრიესტინა | 1,5 | 3,4 | 6,5 | 1,04 | 1,21 | 2,23 |
| 23.30 | 375 | პიაჩენცა-ტერნანა | 1,5 | 3,3 | 7,0 | 1,03 | 1,23 | 2,24 |
| 23.30 | 376 | ბრეშა-ანკონა | 1,55 | 3,2 | 6,5 | 1,04 | 1,25 | 2,14 |
| | | **24 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18.00 | 377 | მოდენა-რეჯინა | 1,75 | 3,1 | 4,4 | 1,11 | 1,25 | 1,81 |
| 21.00 | 378 | ტორინო-ემპოლი | 2,0 | 3,0 | 3,6 | 1,2 | 1,28 | 1,63 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **პოლონეთი. თასი** | | | | | | |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21.00 | 379 | ვისლა-გროცლინი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| | | **შოტლანდია. თასი** | | | | | | |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23.45 | 384 | აბერდინი-მაზერველი | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,12 | 1,21 | 1,84 |
| 23.45 | 385 | სელტიკი-ინვერნესი | 1,1 | 7,0 | 14,0 | 1 | 1,01 | 4,66 |
| 23.45 | 386 | პარტიკი-როსი | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| | | **24 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23.45 | 387 | ჰიბერნიანი-რეინჯერსი | 6,5 | 3,6 | 1,45 | 2,31 | 1,18 | 1,03 |
| | | **ჩემპიონთა ლიგა** | | | | | | |
| | | **I ჯგუფური ეტაპი. IV მატჩები** | | | | | | |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23.45 | 396 | დინამო(კ)-ფეიენოორდი | 2,05 | 3,1 | 3,4 | 1,23 | 1,27 | 1,62 |
| 23.45 | 397 | ნიუკასლი-იუვენტუსი | 2,6 | 3,1 | 2,45 | 1,41 | 1,26 | 1,36 |
| 23.45 | 398 | ლევერკუზენი-მაკაბი(ჰ) | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| 23.45 | 399 | ოლიმპიაკოსი-მანჩესტერი | 3,2 | 3,2 | 2,1 | 1,6 | 1,26 | 1,26 |
| 23.45 | 400 | ლანსი-დეპორტივო | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| 23.45 | 401 | მილანი-ბაიერნი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 23.45 | 402 | ბარსელონა-ლოკომოტივი(მ) | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| 23.45 | 403 | ბრიუგე-გალათასარაი | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| | | **ჰოკეი. შვეიცარია** | | | | | | |
| | | **26 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21.00 | 639 | დავოსი-ამბრი | 1,5 | 4,4 | 3,6 | 1,11 | 1,05 | 1,98 |
| 22.30 | 640 | კლოტენი-ბერნი | 1,85 | 4,2 | 2,6 | 1,28 | 1,08 | 1,6 |
| 22.30 | 641 | ლოზანა-სერვეტი | 2,0 | 4,2 | 2,4 | 1,35 | 1,09 | 1,52 |
| 22.30 | 642 | ლუგანო-ციურიხი | 2,0 | 4,2 | 2,4 | 1,35 | 1,09 | 1,52 |
| 22.30 | 643 | ლანგნაუ-რაპერსვილი | 2,1 | 4,2 | 2,3 | 1,39 | 1,09 | 1,48 |
| 22.30 | 644 | ცუგი-ფრიბურგი | 2,05 | 4,2 | 2,35 | 1,37 | 1,09 | 1,5 |
| | | **ჰოკეი. გერმანია** | | | | | | |
| | | **24 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22.30 | 651 | აუგსბურგი-კრეფელდი | 1,8 | 4,2 | 2,7 | 1,25 | 1,08 | 1,64 |
| | | **25 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22.30 | 652 | კასელი-ჰანოვერი | 1,8 | 4,2 | 2,7 | 1,25 | 1,08 | 1,64 |
| 22.30 | 653 | ინგოლშტადი-იზერლონი | 2,1 | 4,2 | 2,3 | 1,39 | 1,09 | 1,48 |
| 22.30 | 654 | კიოლნი-აისბარენი | 1,9 | 4,2 | 2,5 | 1,3 | 1,07 | 1,56 |
| 22.30 | 655 | მანჰაიმი-ჰამბურგი | 1,25 | 5,3 | 6,0 | 1,01 | 1,03 | 2,81 |
| 22.30 | 656 | ნიურნბერგი-შვენინგი | 1,45 | 4,4 | 4,0 | 1,09 | 1,06 | 2,09 |
| 22.30 | 657 | ფრანკფურტი-დიუსელდორფი | 2,05 | 4,2 | 2,35 | 1,37 | 1,09 | 1,5 |
| | | **ჰოკეი. გერმანია. თასი. 1/4 ფინალი** | | | | | | |
| 22.30 | 664 | მანჰაიმი-აუგსბურგი | 1,45 | 4,2 | 4,2 | 1,07 | 1,07 | 2,09 |
| 22.30 | 665 | ნიურნბერგი-დიუსელდორფი | 2,0 | 4,2 | 2,4 | 1,35 | 1,09 | 1,52 |
| 23.00 | 666 | შვენინგი-კიოლნი | 2,8 | 4,2 | 1,75 | 1,67 | 1,07 | 1,23 |
| | | **ჰოკეი. შვედეთი** | | | | | | |
| | | **24 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22.00 | 669 | ტიმრუ-ფერიესტადი | 2,3 | 4,2 | 2,1 | 1,48 | 1,09 | 1,39 |
| 22.00 | 670 | ჰვ 71-მოდო | 1,4 | 4,4 | 4,4 | 1,06 | 1,06 | 2,2 |
| 22.00 | 671 | მალმიო-ლულეო | 1,9 | 4,2 | 2,5 | 1,3 | 1,07 | 1,56 |
| 22.00 | 672 | ლეკსანდი-ფროლუნდა | 2,5 | 4,2 | 1,9 | 1,56 | 1,07 | 1,3 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 673 | ლინჩიოპინგი-ბრინესი | 1,65 | 4,2 | 3,1 | 1,18 | 1,07 | 1,78 |
| 22.00 | 674 | სიოდერტელიე-იურგორდენი | 2,0 | 4,2 | 2,4 | 1,35 | 1,09 | 1,52 |
| | | **ჰოკეი. NHL** | | | | | | |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 04.00 | 703 | ოტავა-კაროლინა | 1,7 | 4,0 | 3,1 | 1,19 | 1,09 | 1,74 |
| 04.00 | 704 | რეინჯერსი-ვაშინგტონი | 1,9 | 4,0 | 2,6 | 1,28 | 1,09 | 1,57 |
| 04.00 | 705 | კოლუმბუსი-ტამპა ბეი | 2,3 | 4,0 | 2,15 | 1,46 | 1,11 | 1,39 |
| 04.30 | 706 | ტორონტო-ფლორიდა | 1,5 | 4,0 | 4,0 | 1,09 | 1,09 | 2 |
| 04.30 | 707 | ატლანტა-ნიუ ჯერსი | 2,8 | 4,0 | 1,8 | 1,64 | 1,09 | 1,24 |
| 04.30 | 708 | დეტროიტი-ლოს ანჯელესი | 1,65 | 4,0 | 3,2 | 1,16 | 1,08 | 1,77 |
| | | **კალათბურთი. ევროლიგა. III ტური** | | | | | | |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21.00 | 769 | ცსკა-ოლიმპიაკოსი | 1,6 | 12,0 | 2,0 | | | |
| 21.30 | 770 | ულკერი-ვილერბანი | 1,5 | 12,0 | 2,2 | | | |
| 23.30 | 771 | სკიპერი-აეკ | 1,3 | 12,0 | 2,8 | | | |
| 23.30 | 772 | ტაუ-სიენა | 1,25 | 12,0 | 3,1 | | | |
| 23.30 | 773 | უნიკახა-ჟალგირისი | 1,15 | 12,0 | 4,0 | | | |
| | | **24 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23.00 | 774 | პანათინაიკოსი-მაკაბი | 1,4 | 12,0 | 2,4 | | | |
| 23.30 | 775 | ალბა-ბენეტონი | 2,3 | 12,0 | 1,45 | | | |
| 23.30 | 776 | ციბონა-ეფესი | 1,8 | 12,0 | 1,8 | | | |
| 23.30 | 777 | ბარსელონა-პო ორტეზი | 1,15 | 12,0 | 4,0 | | | |
| 23.30 | 778 | ოლიმპია-ბუდუჩნოსტი | 1,15 | 12,0 | 4,0 | | | |
| 23.30 | 779 | პარტიზანი-კინდერი | 2,0 | 12,0 | 1,6 | | | |
| 23.30 | 780 | რეალი-შლიონსკი | 1,05 | 12,0 | 6,0 | | | |
| | | **I ტაიმის შედეგი** | | | | | | |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23.45 | 2009 | დინამო(კ)-ფეიენოორდი | 2,5 | 2,1 | 3,6 | 1,14 | 1,47 | 1,32 |
| 23.45 | 2010 | ნიუკასლი-იუვენტუსი | 3,2 | 2,1 | 2,9 | 1,26 | 1,52 | 1,27 |
| 23.45 | 2011 | ლევერკუზენი-მაკაბი(ჰ) | 1,5 | 3,0 | 8,0 | 1 | 1,26 | 2,18 |
| 23.45 | 2012 | ოლიმპიაკოსი-მანჩესტერი | 3,6 | 2,1 | 2,5 | 1,32 | 1,47 | 1,14 |
| 23.45 | 2013 | ლანსი-დეპორტივო | 3,2 | 2,1 | 2,9 | 1,26 | 1,52 | 1,21 |
| 23.45 | 2014 | მილანი-ბაიერნი | 2,35 | 2,15 | 4,0 | 1,12 | 1,48 | 1,39 |
| 23.45 | 2015 | ბარსელონა-ლოკომოტივი(მ) | 1,3 | 3,5 | 9,0 | 1 | 1,13 | 2,52 |
| 23.45 | 2016 | ბრიუგე-გალათასარაი | 2,9 | 2,1 | 3,2 | 1,21 | 1,52 | 1,26 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

23 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 23.45 | 2209 | დინამო(კ)-ფეიენოორდი | 1,75 | 1,85 |
| 23.45 | 2210 | ნიუკასლი-იუვენტუსი | 1,8 | 1,8 |
| 23.45 | 2211 | ლევერკუზენი-მაკაბი(ჰ) | 2,0 | 1,6 |
| 23.45 | 2212 | ოლიმპიაკოსი-მანჩესტერი | 1,85 | 1,75 |
| 23.45 | 2213 | ლანსი-დეპორტივო | 1,85 | 1,75 |
| 23.45 | 2214 | მილანი-ბაიერნი | 1,85 | 1,75 |
| 23.45 | 2215 | ბარსელონა-ლოკომოტივი(მ) | 2,0 | 1,6 |
| 23.45 | 2216 | ბრიუგე-გალათასარაი | 1,8 | 1,8 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | **23 ოქტომბერი** | | | |
| 23.45 | 2509 | დინამო(კ)-ფეიენოორდი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2510 | ნიუკასლი-იუვენტუსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2511 | ლევერკუზენი-მაკაბი(ჰ) | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2512 | ოლიმპიაკოსი-მანჩესტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2513 | ლანსი-დეპორტივო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2514 | მილანი-ბაიერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2515 | ბარსელონა-ლოკომოტივი(მ) | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2516 | ბრიუგე-გალათასარაი | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

23 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 23.45 | 2409 | დინამო(კ)-ფეიენოორდი | 1,8 | 2,0 |
| 23.45 | 2410 | ნიუკასლი-იუვენტუსი | 1,95 | 1,85 |
| 23.45 | 2411 | ლევერკუზენი-მაკაბი(ჰ) | 1,2 | 4,0 |
| 23.45 | 2412 | ოლიმპიაკოსი-მანჩესტერი | 2,0 | 1,8 |
| 23.45 | 2413 | ლანსი-დეპორტივო | 1,95 | 1,85 |
| 23.45 | 2414 | მილანი-ბაიერნი | 1,7 | 2,2 |
| 23.45 | 2415 | ბარსელონა-ლოკომოტივი(მ) | 1,1 | 5,6 |
| 23.45 | 2416 | ბრიუგე-გალათასარაი | 1,85 | 1,95 |

| | | 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | | | | |
| 23.45 | 2109 | დინამო(კ)-ფეიენოორდი | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 23.45 | 2110 | ნიუკასლი-იუვენტუსი | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 23.45 | 2111 | ლევერკუზენი-მაკაბი(ჰ) | 1,6 | 15,0 | 30,0 | 3,2 | 5,0 | 14,0 | 30,0 | 15,0 | 14,0 |
| 23.45 | 2112 | ოლიმპიაკოსი-მანჩესტ. | 5,0 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,4 | 4,2 | 20,0 | 10,0 | 3,2 |
| 23.45 | 2113 | ლანსი-დეპორტივო | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 23.45 | 2114 | მილანი-ბაიერნი | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 23.45 | 2115 | ბარსელონა-ლოკომოტ. | 1,4 | 20,0 | 40,0 | 3,3 | 5,6 | 20,0 | 40,0 | 20,0 | 20,0 |
| 23.45 | 2116 | ბრიუგე-გალათასარაი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 4,2 |


# გაიხსნა კროკოს ახალი ბიუროები

ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48, მელიქიშვილის ქ. №15

# კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ




ეროვნული ბიბლიოთეკა


მანუჩარ მარკოიშვილი

# მარკოიშვილი მეექვსე სერიაში 13 წუთი ითამაშეს
## მანუჩარს ამერიკელის როლი მისცეს

*კარგი ამბავი იტალიიდან: სერია A ნიკა ცქიტიშვილის შემდეგ მეორე ქართველმაც დააგემოვნა, კვირას მანუჩარ მარკოიშვილმა იტალიის ჩემპიონატის მე-6 ტურში ნეაპოლის „პომპეას“ წინააღმდეგ ითამაშა და „ბენეტონს“ 6 ქულა შესძინა. ქართველის თამაშს ამერიკელი ტრაიან ლანგდონის ტრავმამ შეუწყო ხელი, თუმც ტრევიზოელთა მწვრთნელი ეტორე მესინა ევროლიგასთან ერთად მანუჩარის სერია A-ში გამოცდასაც რომ ეშურებოდა, ამერიკელის ტრავმამდეც ყოფილა ცნობილი. გუშინ მარკოიშვილს ტრევიზოში დავუკავშირდით...*

**— ელოდი, მწვრთნელი იტალიის ჩემპიონატში რომ გათამაშებდა? სეზონის წინ თითქოს შეთანხმდით კიდეც, მხოლოდ ევროლიგის განაცხადში შეგიყვანდნენ...**

— ნამდვილად არ ველოდი, სერია A-ში თუ ვითამაშებდი. ეს ამბავი თამაშის წინა დღეს გავიგე. ამერიკელ ტრაიან ლანგდონს ფეხის თითი ასტკივდა და განაცხადში არაევროკავშირელისთვის განთავისუფლებულ ადგილზე მესინამ მე ჩამსვა.

**— ესე იგი, რომ არა ამერიკელის ტრავმა, ვერ ითამაშებდი...**

— ალბათ ვერა, მაგრამ მესინა ლანგდონის ტრავმამდეც დამპკითხა, იტალიის ჩემპიონატში თამაშისთვის თუ ხარ მზადო. ევროლიგის მატჩში სტამბოლში „ეფესს“ რომ ვხვდებოდით, მწვრთნელმა მითხრა, მზად იყავი, შესაძლოა სერია A-შიც გათამაშოო. არ ვიცი, ლანგდონი რომ დაშავდებოდა, წინასწარ იცოდა თუ რას ფიქრობდა, მაგრამ უახლოეს ტურშივე ვითამაშე.

**— არცთუ ურიგოდ გარჯილხარ, 13 წუთში 6 ქულა...**

— მოედანზე მეორე მეოთხედის დასაწყისიდან შევედი და შვიდი წუთი ვითამაშე, მესინამ მეორედ მესამე ათწუთეულის ბოლოსაც მომცა შანსი. სამი ორქულიანი სამწამიანი ზონიდან ჩავაგდე, ერთიც ვესროლე და ავაცილე.

**— საბოლოოდ 3 ქულით გაიმარჯვეთ. როგორც ჩანს, მატჩი დაძაბული ყოფილა, მესინა კი მაინც გენდო...**

— მართლაც დაძაბული თამაში იყო, „პომპეა“ სერია A-ს დებიუტანტია, თუმც სუსტი გუნდი არ ეთქმის. თამაშში რომ შევედი, სამ ქულას ვიგებდით, მესინა მენდო, თანაბარ ბრძოლაში შემიშვა.

**— მერე, რას ფიქრობ, გაუმართლე? მატჩის შემდეგ რამე ხომ არ უთქვამს მესინას?**

— ვერ ვიტყვი, მაგრად ვითამაშემეთქი, მაგრამ თავი არ შემირცხვენია. მე მგონი, დებიუტისთვის საკმარისია. მესინამ კი შემაქო, შეტევაში კარგად ითამაშეო. არც შენიშვნა დამაკლო, დაცვას მიხედე, ფიზიკურად უნდა მომძლავრდეო.

**— როგორ გგონია, მომავალ ტურშიც ითამაშებ?**

— არ ვიცი, ლანგდონი გამოჯანმრთელდა და აუცილებლად ითამაშებს. იგი „ბენეტონის“ ლიდერია.

**— „ბენეტონის“ სხვა არაევროკავშირელებთან თუ გაქვს შანსი?**

— არ ვიცი, ეგ უკვე მწვრთნელის გადასაწყვეტია. მე ჩემი გავაკეთე, დავანახვე, რომ სერია A-ში შემიძლია ნორმალურ დონეზე თამაში.

**— არადა, როგორც ოქმიდან ჩანს, „პომპეასთან“ მატჩში შენს არაევროკავშირელ კონკურენტებს, ლონჩარსა და ნემეტს აჯობე...**

— შეიძლება ევრეც ითქვას, მაგრამ ისინი უფრო გამოცდილი მოთამაშეები არიან და მესინაც იმიტომ ენდობა. ყველაფერი ვარჯიშებზე გამოჩნდება, ვინც უკეთეს ფორმაში იქნება, ძირითადშიც ის ჩათვლება. [illegible] თუ სერია A-ში არ ვითამაშებ, დიდად არ დავღონდები. არც ამ მატჩში ველოდი მოედანზე გასვლას. ყველაფერი წინაა, ადრე თუ გვიან ჩემი დროც მოვა.

**— ევროლიგის ბოლო ტურში არ გითამაშია, სტამბოლში „ეფესთან“ დიდი ბრძოლა გქონდათ...**

— სტამბოლში ომი გამოვიარეთ. თავიდანვე ვიცოდი, არ მათამაშებდნენ. „ბენეტონს“ სათადარიგო სკამიდან ვუქომაგე. დასანანი მატჩი წავაგეთ, თავიდან 20 ქულით ჩამოვრჩით, თუმც მერე გარღატეხა მოვახდინეთ და მოგებამდე აღარაფერი გვაკლდა, თუმც...

**— „ეფესის“ ახალგაზრდა ენდერ არსლანმა ჩაგიგდოთ ბოლო წამებზე...**

— ეგ არსლანი ძალიან გამოუცდელი კალათბურთელია, მანამდე 25 წუთი მოედანზე იყო და ქულა ვერ გააზერხა. ისე, არც იმ გამარჯვების ბურთის სროლა უნდოდა. ბურთი რომ მიიღო, 5 წამი რჩებოდა თამაშის დასრულებამდე და „ეფესის“ ცენტრს ეძებდა პასის მისაცემად. ბენეტონელები საიმედოდ კეტავდნენ სტამბოლელთა ცენტრს და დაბნეული არსლანი იძულებული იყო, ესროლა. უფრო სწორად კი, ფარისკენ მოესროლა ბურთი, რომელიც ჩავარდა და „ეფესს“ გამარჯვება მოუტანა. ამ მატჩის შედეგზე მსაჯმაც იქონია გავლენა. თამაშის დასრულებამდე 5 წუთით ადრე წინ ვიყავით, როცა ჩვენიანმა დენის მარკონატომ ბურთი ჩატენა და ეფესელთა ფარი ჩამოამტვრია. არც ორი ქულა ჩაგვითვალეს და მარკონატოსაც ტექნიკური ჯარიმა მისცეს. ამის შემდეგ წამოგვეწივნენ თურქები.

**ირაკლი ბერტაია**

# ჩინეთის მთავრობამ და ჰიუსტონმა ჟირაფი გაინაწილეს



**უკან დარჩა** მსოფლიოს ჩემპიონატიც, აზიური თამაშებიც და ჩინეთის მთავრობაც — ჰიუსტონს ჩავიდა „როკიტსისა“ და დრაფტის რჩეული იაო მინგი, რომელსაც ჩინეთის ხელისუფალნი არ თმობდნენ, აქაოდა, ნბა-ს წეს-კანონები ფეხებზე გვკიდია და მინგიც სამშობლოს სადარაჯოზე უნდა იდგეს, როცა ამას საჭიროება მოითხოვსო.

მინგი პირნათელია სამშობლოს წინაშე. 226-სანტიმეტრიანმა გოლიათმა ჩინეთის ნაკრებს მუნდიალზეც უერთგულა და აზიურ თამაშებზეც, ახლა კი, სანაკრებო მატჩებმა რომ ჩაიარა, ჩინელებმა მინგს საამერიკოდ მწვანე აუნთეს. ოღონდ ჩინეთის კალათბურთის ფედერაციამ ეს მანამ არ გააკეთა, სანამ „ჰიუსტონისგან“ მისთვის ხელსაყრელი პირობები არ მიიღო: ამერიკელები მინგს ვერ შეაფერხებენ, როცა ჩინეთის ნაკრებს საერთაშორისო ტურნირებში მოუწევს თამაში.

ჰიუსტონის აეროპორტში იაოს უთვალავი ხალხი დახვდა. ამერიკაში კარგადრეკლამირებულ „ჟირაფს“ ავტოგრაფის მთხოვნელთა არმია მიეჭრა: „ეს რა ამბავია, უამრავ ადამიანს სურს ჩემთან სურათის გადაღება, მე კი არ შემიძლია ყველას გავწვდე, შუაზე ვერ გავიჭრები“ — ჩიოდა ქომაგთაგან დატყვევებული „ჟირაფი“.

აქამდე დრაფტში პირველ ნომრად სტუდენტურ ლიგაში უთამაშებელი კალათბურთელი არასდროს აერჩიათ, მინგს კი მშობლიური „შანხაი შარქსის“ გარდა არსად უთამაშია. მინგი ასევე პირველობს კონტრაქტის ღირებულებითაც, ჩინელი 4 წელიწადში „ჰიუსტონის“ სალაროდან 17,8 მილიონ დოლარს მიიღებს.

ახლა ჰიუსტონში უშიშრად ელიან ჩემპიონატის პირველ მატჩს, რომელშიც იაო მინგი ნიკა ცქიტიშვილის „დენვერის“ ჯობნას ეცდება.

**ირაკლი ბერტაია**




REUTERS

ბერნი ეკლსტოუნმა საფორმულო ეტაპი გუშინწინ ჩინელებს გაუფორმა

# თურმე რა ყოფილა: ეკლსტოუნმა და ლუჟკოვმა წილებზე ვერ მოილაპარაკეს

FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

**რუსების** თავმოუბმელობამ მათ დედაქალაქს საფორმულო ეტაპი დააკარგვინა. „სამეფო რბოლების“ მიღების ჭია მათ ოც წელზე მეტია, აწვალებთ. განსაკუთრებით ბოლო დროს, მოსკოვში იური ლუჟკოვის მერობისას დაფაცურდნენ, რაკი ნახეს, რომ ავტოსპორტის ყველაზე პრესტიჟული სახეობის შეჯიბრს მასპინძელი ქვეყნისთვის უზარმაზარი შემოსავალი მოაქვს.

ჰოდა, შესაბამისი თხოვნა-განაცხადით მიმართეს საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციას (FIA) და ფორმულა I-ის მეპატრონე ბერნი ეკლსტოუნისგან თანხმობაც მაშინვე მიიღეს, ამხელა ქვეყანას უარს როგორ ვეტყვი, როგორც კი ტრასა მზად გექნებათ, რუსეთის დიდი პრიზის გათამაშებას მსოფლიოს ჩემპიონატის კალენდარში ურიგოდ ჩავრთავო.

ვადაც დაითქვა — 2003 წელი, თუმც საპროექტო ხარვეზების გამო ერთი წლით გადაიწია. წლეულს გაზაფხულზე პროექტი უკვე მზად იყო და მოსკვა-რეკას მარცხენა ნაპირზე, ნაგატინოს რაიონში მშენებლობის დაწყებასაც თითქოს ხელს აღარაფერი უშლიდა. მაგრამ მოსკოვში ჩასული ეკლსტოუნი და ლუჟკოვი ფინანსების განაწილებაზე ვერ შეთანხმდნენ და კონტრაქტის ხელმოწერაც ჯერ ერთი თვით, მერე კი გაურკვეველი დროით გადაიდო. ამ დღეებში კი იტალიაში, „მონცას“ ლეგენდარულ ავტოდრომზე სტუმრობისას, იური მიხაილოვიჩმა საქვეყნოდ და საბოლოოდ გამოაცხადა, რომ მოსკოვის საფორმულო ცდა კრახით დასრულდა. მისი თქმით, პროექტის ჩაშლის მიზეზი ეკლსტოუნია, რომელმაც იმხელა წილი მოითხოვა ბილეთების, რეკლამისა და ტელერეპორტაჟის შემოსავლიდან, რომ ორგანიზატორებს მხოლოდ ბოლიდების გამონაბოლქვსლა უტოვებდა. თუმცა ლუჟკოვმა ისიც დასძინა, ჩემს ქალაქში საფორმულო ავტოდრომის აგების იმედს მაინც არ ვკარგავო.

ვიდრე რუსები სავარაუდო წაგებამოგების თვლაში იყვნენ, მათზე გვიან გაქანებულმა ჯუჯა ბაჰრეინმა და უზარმაზარმა ჩინეთმა ეკლსტოუნთან მშვენივრად გამონახეს საერთო ენა, ხელშეკრულებებიც გააფორმეს და უკვე მშენებლობასაც შეუდგნენ.

ორივე ტრასა პრაქტიკულად ერთნაირი სიგრძისაა — 5,5 კილომეტრს შეადგენს. ეგაა, შანხაის ავტოდრომის აგება 250 მილიონი დოლარი დაჯდება, ბაჰრეინის დედაქალაქ მანამისა კი თითქმის ასი მილიონით ნაკლები. სხვაობა ძირითადად იმან გამოიწვია, რომ მთელ დუნიაზე ყველაზე ხალხმრავალ ქვეყანაში ტრიბუნები, ცხადია, ბევრად ტევადი (200 000) იქნება.

ორივე პრეტენდენტმა შვიდწლიანი ლიცენზია მიიღო, პირველად კი მიხაელ შუმახერსა და მის კოლეგებს 2004 წელს უმასპინძლებენ. ამ ორი ეტაპის საფორმულო კალენდარში ჩასმა ავტომატურად გამოიწვევს შესაბამისად ორი ძველი რბოლის გაუქმებას. ჯერ ნაადრევია გადაჭრით რამის თქმა, მაგრამ შავ სიაში ალბათ სან მარინოსა („იმოლა“) და ევროპის („ნიურბურგრინგი“) ეტაპები მოხვდება.

**გია ახალაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ქართველები ოლიმპიადაზე მარტო ღვთის იმედით არ მიდიან

## ნინო გურიელის საჭადრაკო პოლიტიკა და შევარდნაძის პოლიტიკური ჭადრაკი



პრეზიდენტი და თანაპრეზიდენტი: ნინო გურიელი და ზურაბ აზმაიფარაშვილი

**ხვალ** საქართველოს მოჭადრაკეთა ნაკრები საოლიმპიადოდ სლოვენიას მიემგზავრება, გუშინ კი ამასთან დაკავშირებით პრესკონფერენციაზე გვიხმეს.

საჭადრაკო ოლიმპიადას უმასპინძლებს ბლედი, სადაც 140-მდე გუნდს ელიან. 25 ოქტომბერს შეჯიბრება საზეიმოდ გაიხსნება, 10 ნოემბერს დაიხურება. ჩვენი დელეგაციის წევრები გამგზავრების წინ დალოცა საქართველოს კათალიკოს პატრიარქმა ილია II. პრესკონფერენცია სწორედ ამ ინფორმაციით დაიწყო ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა ნინო გურიელმა. ისიც გვითხრა, ამ დიდ ბრძოლებთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტს შევხვდით და დახძინა, გაისად თბილისი უმასპინძლებს ვაჟთა სუპერტურნირს, რომელიც ედუარდ შევარდნაძის თასზე ჩატარდება და მის საორგანიზაციო კომიტეტს თავად ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი უთავმჯდომარებსო.

ამის მერე ნინო გურიელმა თბილთბილი სიტყვებით მოიხსენია საქართველოს პრეზიდენტი, სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელობა და სხვები, რომელთაგანაც მას დიდი მხარდაჭერა უგრძვნია ამ ხუთი თვის განმავლობაში, რაც იგი ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტია.

რაც შეეხება მთავარ საპრესკონფერენციო თემას, ითქვა, რომ საქართველოს ქალთა ნაკრები ბლედში სამგზის გამარჯვებულისა და ბოლო ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონის რანგში იასპარეზებს, მის ღირსებას კი დაიცავენ მაია ჩიბურდანიძე, ნანა იოსელიანი, ნინო ხურციძე და ქეთევან არახამია. ისინი გოგი მაჭარაშვილის კაპიტნობით ახლაც სამეულში მოსახვედრად იბრძოლებენ, რაშიც მათი მთავარი მეტოქეები რუსეთისა და ჩინეთის წარმომადგენლები იქნებიან.

ვაჟთა ნაკრებში, რომლის კაპიტანი გახლავთ აკაკი იაშვილი, გამოცდილ ზურაბ აზმაიფარაშვილთან და ზურაბ სტურუასთან ერთად გამოვლენ ახალგაზრდები: მიხეილ მჭედლიშვილი, მერაბ გაგუნაშვილი, ზვიად იზორია და ბაადურ ჯობავა. მათი ლიდერისა და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის თანაპრეზიდენტის ზურაბ აზმაიფარაშვილი თქმით, ჩვენი ნაკრების ახალგაზრდობა ენერგიით აღსავსეა და საბრძოლოდ განწყობილიც. ამ ოთხეულიდან ოთხივეს აქვს დიდი შანსი, რომ გუნდის ლიდერი გახდეს.

პრესკონფერენციაზე შეგვახსენეს, რომ ჩვენმა ვაჟთა ნაკრებმა ბოლო სამ ოლიმპიადაზე შესაბამისად VIII, VII და VI ადგილები დაიკავა. ამის გათვალისწინებით, ახლა, ალბათ, V ადგილზე გავალთ, მაგრამ, აზმაიფარაშვილის თქმით, გუნდი მიაღწევს იმას, რაც ღმერთს უნდა, ისე კი, ითქვა, რომ VI ადგილი ჩვენთვის გმირობის ტოლფასი იქნებაო.

თუმცა, პრესკონფერენციაზე ვიგრძენით, რომ ჩვენი საჭადრაკო დესანტი ბლედში მხოლოდ ღმერთის იმედით არ მიდის, რადგან იციან, ხელის (ამ შემთხვევაში — თავის) გაუნძრევლად მათ მამაზეციერიც ვერ უშველით.

ახლა, ისღა დაგვრჩენია, თოთხმეტტურიან მარათონში წარმატება ვუსურვოთ ჩვენს თხუთმეტკაციან დელეგაციას, რომლის წევრები, წარმატების შემთხვევაში, შესაბამის პრემიებს მიიღებენ, ამგვარი წახალისება კი ისეთივე ოდენობისა იქნება, როგორიც ჩვენი სპორტსმენებისთვის მსოფლიოს ჩემპიონატებზე საპრიზო ადგილებისთვისაა დაწესებული. თუმცა, ვაჟთა ნაკრებისთვის VI ადგილიც საპრემიო წარმატებად ჩაითვლება.

**ავთანდილ ბუკიშელი**



საქართველოს ჩემპიონატი

# უფულო უნივერსიტეტმა დათვები ბურგუნდიას შეუსიეს

**თბილისი. ვარკეთილის მეურნეობა**

**ლოკომოტივი 18:22 უნივერსიტეტი**

**ლოკომოტივი:** ასათიანი, ო. ელოშვილი, ბუგიანიშვილი, გუგავა, აბაშიძე (რ. გიგაური), ხაჩიშვილი, სამხარაძე; ქაფიანი, ცხადაია, გასვიანი, ბერძენიშვილი, ონიანი (აფაქიძე), გ. სვანიძე, მაისურაძე, ვალიშვილი (გ.გიორგაძე)
2ლ: ვალიშვილი, ხაჩიშვილი; 1გ: გუგავა; 1ს: გუგავა; 1ა: გუგავა;

**უნივერსიტეტი:** ა. გიგაური, ქისაშვილი, ბარამიძე, კობერიძე, დგებუაძე (ლევინჯილია), ქუმბურიძე, დანელია; მელიქიძე, ქარაბაკი, ალავერდაშვილი, სუთიაშვილი, მთიულიშვილი, კვიცარიძე, კორკოტაძე, გუნდიშვილი (დავლიანიძე)
1ლ: ქისაშვილი; 1გ: ბარამიძე; 5ს: ბარამიძე;

**მსაჯი: მია ჯავახიშვილი**

**ბათუმი. ანგისა**

**დათვები 2 11:18 დათვები**

**დათვები 2:** დავითაძე, სვინტრაძე, ივანიძე, დავლაძე, შავაძე, ჩუბინიძე, გ. გიორგაძე; კუპულაძე, მოლაშხია, პაპავა, კურცულია, ალიქაძე, ბუზუშვილი, კიკვიძე, ხაჟომია
1ლ: სვინტრაძე; 2ს: დავლაძე;

**დათვები:** კიკნაძე, გ. ელოშვილი, პინჩუკოვი, კაპანაძე, ტორაძე, მაჩიტაძე, ხულაძე; მარგველაშვილი, ბალანჩივაძე, დადუნაშვილი, ჩირგაძე, პავლოვი, საყვარელიძე, ი. სვანიძე, უჩავა
2ლ: ტიქნიკური, დადუნაშვილი; 1გ: კიკნაძე; 1ს: კიკნაძე; 1ა: მაჩიტაძე;

**მსაჯი: ნოდარ როგიტაშვილი**

13 ოქტომბრის საქართველო-რუსეთის შეხვედრის გამო ეროვნულ ჩემპიონატში გამოცხადებული სამკვირიანი შესვენება ამ უქმეებზე დასრულდა.

ჩემპიონატი სენსაციით განახლდა. თანაც როგორით! ჩემპიონმა „ლოკომოტივმა" სისხლისგან დაცლილ და უფულო უნივერსიტეტთან წააგო. მართალია, საპლეიოფო ოთხეულის გარკვევამდე კიდევ ოთხი ტური დარჩა, მაგრამ აქედანვე ცხადია, რომ მედლებისთვის მებრძოლთა შორის მოხვედრა რკინიგზელებს ძალიან გაუჭირდებათ. თანაც ზურგსუკან მოუსვენარი „აიას" და კერკეტი უნივერსიტეტის სუნთქვას გრძნობენ.

ერთიცაა, „ლოკომოტივს" ჯერ არ აუმუშავებია რეზერვი. უნივერსიტეტთან რკინიგზელებს ბორჯღალოსანი ვასილ აბაშიძე კი დაუბრუნდათ, მაგრამ არ ჰყავდათ უმთავრესი ძალა, გუნდის სული და გული კახა ალანია. იგი რუსეთთან გადატანილი ომის შემდეგ საზარდულს იტკივებს. ტრავმირებულია მელელოვე ნონო ანდღულიძე და მორკინალი კაკო მაჭუტაძე. თუ ესენი გუნდს დროულად შეუერთდნენ, მაშინ „ლოკომოტივიც" აჩქარდება და მერე მისი შეჩერება ოთხ შლაგბაუმს გაუჭირდება. მანამდე კი ჩემპიონს ლიდერთა საპლეიოფო ოთხეულში ადგილის შენარჩუნება მოუწევს.

ტურის მეორე მატჩი ბათუმში გაიმართა. უფროსი „დათვები" უმცროს „დათვები 2"-ს დაეჯახნენ და დაძაბული ბრძოლა მოუგეს. ლევან მგელაძის „დათვები" ორ ფრონტზე იბრძვიან. შინაურ პირველობაზე ისინი დაუმარცხებლები არიან. გარეთ კი ევროტურნირების რანგით მესამე შეჯიბრში, რეგიონთა თასზე წარმატებულად თამაშობენ.

„დათვები" ამ ტურნირზე აჭარის რეგიონის სახელით გამოდიან. დანიის ალმოსავლეთ რეგიონის განადგურების შემდეგ შეჯიბრის მესამე წრეში მათი მეტოქე უელსის სამხრეთი რეგიონი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ბრიტანელებმა შემოთვალეს, უფულობის გამო ბათუმში ვერ ჩამოვდივართო და ტექნიკური მარცხი გაიფორმეს. ასე რომ, აჭარის ნაკრები უბრძოლველად გავიდა მეოთხედფინალში, სადაც მისი მეტოქე ბურგუნდიის ნაკრები იქნება. ბათუმელები სტუმრად 3 ნოემბერს გამართავენ მეოთხედფინალურ შეხვედრას.

ზღვისპირული დერბი სწორედ საამმატჩო სამზადისის ერთ-ერთი ეტაპი იყო. „დათვების" მწვრთნელმა ლევან მგელაძემ, რომელიც ბურგუნდიის და პოლონეთის რეგიონის მატჩს დაესწრო, „დათვები 2"-ში შეათვალიერა რამდენიმე მორაგბე და მათ ალბათ საფრანგეთშიც წაიყვანს.

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 დათვები | 6 | 6 | 0 | 0 | +140 | 12 |
| 2 ყოჩები | 6 | 3 | 1 | 2 | +12 | 7 |
| 3 დათვები 2 | 6 | 3 | 0 | 3 | +6 | 6 |
| 4 ლოკომოტივი | 6 | 2 | 0 | 4 | -14 | 4 |
| 5 აია | 6 | 1 | 1 | 4 | -80 | 3 |
| 6 უნივერსიტეტი | 6 | 1 | 0 | 5 | -72 | 2 |





ტონი ბლერი და ჟაკ შირაკი რაგბის დიდი ქომაგები არიან

# 2007: ინგლისი თუ საფრანგეთი?

## ვინ გაიტანს ლელოს: შირაკი თუ ბლერი? ალბათ ზიზუ

**რაგბის** საერთაშორისო საბჭოს (IRB) 14 ნოემბერს 2007 წლის მსოფლიოს თასის მასპინძელი ქვეყანა უნდა დაესახელებინა, მაგრამ ამას სავარაუდოდ აპრილში გააკეთებს.

2007 წლის უმთავრესი ტურნირის მასპინძლობის კანდიდატები საფრანგეთი და ინგლისი არიან. მათ უკვე წარადგინეს თავ-თავიანთი პროგრამები და საბოლოო პასუხს ელიან.

მეტი შანსი საფრანგეთს აქვს, რაკი მსოფლიოს თასისთვის დამოუკიდებლად არასდროს უმასპინძლია. 1991 და 1999 წლებში საფრანგეთი ხუთთაგან (ინგლისი, უელსი, შოტლანდია, ირლანდია, საფრანგეთი) ერთ-ერთი მასპინძელი კი იყო, მაგრამ პირველად ამათში უფროსი ინგლისი იყო, ხოლო ოთხი წლის წინ — უელსი.

ფრანგებმა ორგანიზაცია „მსოფლიოს თასსა" და IRB-ს ვრცელი პროგრამა წარუდგინეს და ტურნირის გრანდიოზულად გამართვას დაჰპირდნენ. საქმეშია ჩარეული საფრანგეთის პრეზიდენტი და რაგბის დიდი ქომაგი ჟაკ შირაკი, ვისი თხოვნითაც პრეზენტაციას ზინედინ ზიდანიც დაესწრება და გამორიცხული არ არის, მსოფლიოს თასის მასპინძლობისთვის ბრძოლაში ფრანგთა მთავარი ფიგურა იგი გახდეს. ისე, მადრიდის „რეალის" სუპერვარსკვლავი რაგბისთან ახლოა. იტალიის მორაგბეთა ნაკრებისა და „სტად ფრანსეს" ვარსკვლავი, წარმოშობით არგენტინელი დიეგო დომინგესი „ზიზუს" უახლოესი მეგობარია. არგენტინაში ისინი რესტორნების ქსელსაც ფლობენ.

უმოქმედოდ არც ინგლისელები არიან. ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა, რომელიც სარაგბო მატჩების ხშირი სტუმარია, პრესკონფერენცია მოაწყო. ბლერმა საამისოდ ბრიტანული რაგბის მექა, სტადიონი „თვიქნემი" არჩია. „მსოფლიოს თასის ინგლისში გამართვა გაერთიანებულ სამეფოში რაგბის კიდევ უფრო განვითარებას შეუწყობს ხელს. 2007 წლისთვის ინგლისი ასი პროცენტით მზად იქნება ასეთი მასშტაბის ტურნირის სამასპინძლოდ. ჩვენ გვაქვს ტრადიციები და გამოცდილება. ასე რომ, ინგლისზე უკეთესი კანდიდატურა ძნელად მოსაძებნია" — განაცხადა ბლერმა.

**ბაჩო სვანიძე**

2003 წლის მსოფლიოს თასი. შესარჩევი ტურნირი

# პაპუებს თუ კუკელებს ტონგა შეჭამს

2003 წლის მსოფლიოს თასის 20 მონაწილიდან 18 უკვე ცნობილია. ორი ვაკანტური ადგილისთვის კი რვა ნაკრები იბრძვის.

ოკეანეთის ზონაში რეპეშაჟ-1-ის პირველი წრის პირველ მატჩში პაპუა ახალმა გვინეამ მეზობელი კუკის კუნძულები ისტუმრა და 29:14 მოუგო. საპასუხო მატჩი 26 ოქტომბერს კუკეთში გაიმართება, ორი მატჩის ჯამში უკეთესი შემდეგ ეტაპზე გავა და იქ ჩვენთვის კარგად ნაცნობ ტონგას შეხვდება, ამათში უმჯობესი კი რეპეშაჟ 1-ის დასკვნით ეტაპზე სამხრეთ კორეას შეებრძოლება მსოფლიოს თასის საგზურისთვის.

რეპეშაჟი-2 26 ოქტომბერს დაიწყება. ჩვენგან ძლეული რუსეთი პირველად ესპანეთთან ორმატჩა ბარიერის დაძლევას შეეცდება, ამათში გამარჯვებულს ტუნისი ელის, მთლად ბოლოს გასული კი აშშ-ს შეხვდება.

**ბაჩო სვანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცოტა მარტინი კარგად მიდის

**სანქტ პეტერბურგის ღია პირველობა**
ხალიჩა. საპრიზო 1 მლნ $

**პირველი წრე**

**მიხაილ იუჟნი (რუსეთი)** — იუნეს ელ აინაუი (6, მაროკო) 3:6, 6:4, 6:3; **ნიკოლას კიფერი (გერმანია)** — ჰარელ ლევი (ისრაელი) 6:0, 6:1; **დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი)** — ბოგდან ულირახი (ჩეხეთი) 3:6, 6:4, 6:3; **მარიანო საბალეტა (არგენტინა)** — შტეფან კუბეკი (ავსტრია) 3:6, 6:2, 6:4; **გილერმო კორია (არგენტინა)** — ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) 6:2, 6:3; **ვლადიმირ ვოლჩკოვი (ბელარუსი)** — მიხაილ ელგინი (რუსეთი) 6:4, 6:0

რაკილა დღის პირველი ნახევარი უქმეებზე მოუმთავრებელ საკვალიფიკაციო შეხვედრებს დაეთმო, ნაშუადღევს მხოლოდ ექვსიოდე მატჩი შედგა. ამათგან ყველაზე საინტერესო მასპინძელ სკვითთა ჭაბუკი ჯილის, მიხაილ იუჟნისა და წლეულს სამი ტიტულის მომგები მაროკოელის, მეექვსე ნომრად განთესილ იუნეს ელ აინაუის სამსეტიანი შეხლა გამოდგა.

ხუჭუჭა მაღრიბელი კარიერის საუკეთესო სეზონს კი თამაშობს, მაგრამ მის სათულფე საფრებად თიხნარი და ჰარდი თქმულა. სწრაფ ჭერქვეშა ხალიჩაზე კი იგი ისე ჩაუჭი ვერ გახლავთ — ასეთი საფარი სწორედ იუჟნის გლაჯუნა დარტყმებისთვისაა ზედგამოჭრილი. ამიტომაც იყო, პირველი, მოგებული სეტის შემდეგ ორი ისევ დამხვდურს რომ მიათვლევინა.

სხვათა შორის, იუჟნი ახლა რიგიან ფორმაშია და წინა ოთხშაბათს, მადრიდული მასტერსტურნირის მეორე წრეში ამერიკელ თავისბილა ენდი როდიკსაც აჯობა.

ადგილობრივი ლიანგის გამორჩეულ ინტერესს იწვევდა მათქალაქელი მიხაილ ელგინისა და ბელარუს ვლადიმირ ვოლჩკოვის დაპირისპირება. ელგინს, როგორც საუკეთესო პეტერბურგელ მჩოგნეს, ორგანიზატორებმა საგანგებო საშვი მიუბოძეს, მაგრამ ამ საშვმა მხოლოდ ორი სეტი გაძლო — მის გასაუქმებლად უიმბლდონის შარშანწინდელ ნახევარფინალისტ ბელარუსს მეტი არ დასჭირვებია.

სხვაფრივ — ტურნირზე პირველ ჩოგანს ანდრე აგასი გააჩნევს. მის გარდა იქ შარშანდელი ჩემპიონი მარატ საფინი (2), ევგენი კაფელნიკოვი (5), ფრანგი სებასტიან გროჟანი (3) და არგენტინელი გასტონ გაუდიოც (7) ითამაშებენ. გამარჯვებულს ჩემპიონთა რბოლაში 50 ქულა დაერიცხება.

**სტოკჰოლმის ღია პირველობა**
ჰარდი. საპრიზო 650 ათასი $

**პირველი წრე**

**გილერმო კანასი (3, არგენტინა)** — ანდრე სა (ბრაზილია) 6:1, 6:7 (6:8), 6:3; **ტოდ მარტინი (აშშ)** — იარკო ნიემინენი (ფინეთი) 6:3, 7:5; **რაიმონ სლოიტერი (ჰოლანდია)** — ვინსენტ სპადია (აშშ) 6:4, 7:6 (7:5)

ჭარმაგი ამერიკელი ტოდ მარტინი ამ ტურნირის 1998 წლის გამარჯვებულია, ამიტომ მის მიერ შარშანდელი ფინალისტის, ახალგაზრდა ფინელ იარკო ნიემინენის ძლევა მაინცდამაინც საკვირველ ამბად არ აღქმულა. ტოდმა იმ დღეს „მოაწოდე-მიეძალე" სტილის კლასიკური ჩოგბურთი აჩვენა და მეტოქეს არ მისცა საშუალება, მისთვის უკანახაზიდან ხანგრძლივი ხათქა-ხუთქი ეიძულებინა.

უიმბლდონის შემდეგ ნათამაშებ შვიდ შეხვედრაში ოთხჯერ ძლეული და სამჯერ მძლეველი ამერიკელი სტოკჰოლმში კარიერის მე-9, ხოლო 1999 წელს სიდნეიში გალაღების შემდეგ პირველ ტიტულს დაეძებს.



ტოდ მარტინი ჭარმაგობაშიც ვარგობს

რაც შეეხება გილერმო კანასს, ეგებ გახსოვდეთ, აგვისტოში, ცინცინატური მასტერსტურნირის შემდეგ მან ხელზე ისე-რა ოპერაცია გადაიტანა და იმ დღეს თავისი მხოლოდ მეორე ნაამოპერაციევი მატჩი გამართა. სულ ამ სეზონში მან 65-ჯერ ითამაშა და აქედან 44 შეხვედრა თავის სასარგებლოდ გაასრულა.

მის გარდა იქ განთესილ ჩოგნებს კიდევ ლეიტონ ჰიუტი (1), შარშანდელი ჩემპიონი სხენგ შალკენი (2), წლევანდელი მეავსტრალიე ტომას იოჰანსონი (4), არგენტინელივე ხუან იგნასიო ჩელა (5), მარსელო რიოსი (6), აზიის ვეფხი პარადორნ შრიჩაფანი (7) და რაინერ შიუტლერი (8) გაიჩნევენ. ტურნირის მომგები საჩემპიონთარბოლო მონაგარს 40 ქულით გაიმდიდრებს.

**ლევან ძელაურაძე**

# სამასტერსთასო მიმატება-გამოკლება

**კაცთა** საჩოგნო სეზონის ჩამთავრებამდე სულ რამდენიმე ტურნირიღა დარჩა, მაგრამ წლის დამაგვირგვინებელ შანხაურ რვაკაცა მასტერსთასზე მონაწილე რვავე მჩოგნის ვინაობა ვერ იქნა და ვერ გაირკვა. შანხაიში სათამაშო ადგილები ჯერ მხოლოდ ჩემპიონთა რბოლის ლიდერებმა — ლეიტონ ჰიუტმა (697 ქულა) და ანდრე აგასიმ (654) დაიბევს.

თუმცა საბუღრაო და გასარკვევი მათაც დარჩათ. მადრიდულ მასტერსტურნირზე წარმატებამ 32 წლის არმენოამერიკელს სარბოლო მარაგი 100 ქულით გაუმდიდრა და პირველადგილოსან ოზზიჯს ახლა მხოლოდ 43 პუნქტიღა აშორებს. შესაძლებლობა იმისა, რომ ამ ლეგენდარულმა კაცმა სეზონი მრბოლთა სათავეში გაასრულოს, ძალზედ დიდია. ამიტომ მასტერსთასზე უკვეთავდაგულებული ჰიუტი და აგასი დარჩენილ ტურნირებზე სხვათა მსგავსად ანუ შმაგად და მიძალებით იომებენ.

ამ სხვათა შორის წინა კვირაში ყველაზე მძლავრი ნაბიჯი მადრიდის ფინალისტმა, ჩეხმა ირჟი ნოვაკმა (446) გადადგა. წინა ორშაბათს ის მხოლოდ მე-11 გახლდათ, ახლა კი უკვე მეხუთეა და მესამეადგილოსან მარატ საფინს (469) მხოლოდ 23 ქულით ჩამორჩება. თავის მხრივ, თუკი საფინი ამ კვირაში სანქტპეტერბურგულ ფინალამდე გააღწევს, მის წილ სამასტერსთასო ადგილს ვეღარავინ წაართმევს.

ასევე თავი ქუდში ეჩნება ხუან კარლოს ფერეროს (450), თუკი ის ამ კვირაშივე მილიონდოლარიან და 50-ქულიან ტურნირზე იმარჯვებს.

ნოვაკზე უკვე გითხარით — ის მეხუთე საფეხურზეა, მაგრამ მადრიდში დაშავებული საზარდულის გამო სანქტ პეტერბურგში თამაშს ვერ შეძლებს.

ბოლო ორ კვირაში ოთხი ადგილით ამაღლდა შვეიცარიელი როჯერ ფედერერი (423). ოღონდ — ის მხოლოდ 2-2 ქულით ჯობნის ტიმ ჰენმანსა და კარლოს მოიას (421-421) და საიმისოდ, რათა საქმე არ გაირთულოს, ბაზელსა და (მომავალ კვირაში) პარიზში კარგად უნდა გამოვიდეს.

ჰენმანს ეს-ესაა, პირშიო, როუზ ელიზაბეთი შეეძინა. ბაზელში ის მთავარ ჩოგანს გააჩნევს და სავარაუდოა, რომ ის და ფედერერი ერთმანეთს იქ ნახევარფინალში შეხვდებიან. რაც შეეხება მის თანაბარმეტოქე მოიას, მან წლეულს ოთხი ტურნირი კი მოიგო, მაგრამ სლემ და მასტერსტურნირებზე ჰენმანზე ნაკლები ქულა მოაქუჩა, რის გამოც — წესების თანახმად — მასზე უარეს, ანუ მე-8 ადგილს იკავებს.

წლევანდელი მეროლანგაროსე ალ კოსტა (393) წლევანდელ მეავსტრალიე ტომას იოჰანსონს (330) 63 ქულით უსწრებს — მოგეხსენებათ, სამასტერსთასო რვა საგზურიდან მერვე (თუკი ამის საჭიროება არსებობს) ზეოცეულში ყველაზე მაღალ საფეხურზე მდგომ რომელსამე იმწლევანდელ მესლემტიტულეს ეძლევა.

თუკი ის ბაზელში იჩემპიონებს, ხოლო იოჰანსონი სტოკჰოლმის პირველსავე წრეში ჩაფლავდება, მაშინ შანხაიში დასტურ კოსტა წავა.

გაჭირვებაშია მე-10 საფეხურზე მყოფი ტომი ჰაასი (389), რომელსაც ახლახან ნატკენმა ხელმა მადრიდული ტურნირიც ჩაუშხამა და არც ბაზელში ჩასვლის უფლება მისცა.

მე-11-ზე კადნიერი ამერიკელი ჭაბუკი ენდი როდიკაა (384), რომელსაც მე-7, გამსვლელი ადგილისგან მხოლოდ 37 ქულა კი აშორებს, მაგრამ ბაზელის მომგები რომ არ არის, ყველაზე კარგად თავად უნდა იცოდეს.

მე-12 საფეხური პიტ სამპრასს უკავია. ერთი თვის წინ მან განაცხადა, რომ წლის ბოლომდე თამაშს აღარსად აპირებს, ამიტომაც სამასტერსთასო სათვალავში ჩასაგდები — მის მიმართ ამ სიტყვის ხმარება გვეპატიოს — არ გახლავთ.

ტომას იოჰანსონზე კი ზემოთ ვთქვით და მასზე მეტს აღარას ვიტყვით. რაც შეეხება მისმომდევნო მჩოგნებს, მათი თეორიული შანსებიც კი ისე მცირეა, რომ ამაზე დაფიქრებაც არ ღირს.



სერიოზული არაფერი: ლეიტონ ჰიუტი სტოკჰოლმში ვარჯიშისას წაკოტრიალდა



**რეგულარული ჩემპიონატი**

# ჟურნალისტები მინდა ახლა?!

21 ოქტომბერი

**რეინჯერსი 2:4 ტამპა 0:1 2:2 0:1**

0:1 კლაიმერი (12), 1:1 რ. მოურეი (22), 2:1 მესიე (24), 2:2 სენტ ლუისი (28), 2:3 პროსპალი (35), 2:4 სენტ ლუისი (44)

კიდევ ერთი ულიმღამო თამაშის შემდეგ რეინჯერსელებმა ჟურნალისტებს კარი მოუკეტეს და ამჯობინეს, სერიოზულად ესაუბრათ. მრავალნაცადმა კაპიტანმა მარკ მესიემ, რომელმაც თავადაც მიიღო ერთი არასაჭირო ჯარიმა, მიზანშეწონილად ჩათვალა, ინტერვიუები ცოტა ხნით გადაედო და პარტნიორებთან ერთად ყველაფერი გაერკვია.

ამას წინათ რეინჯერსმა თამაში კი მოიგო, მაგრამ გუნდის უდისციპლინობასა და არასაიმედო თამაშს მაინც მიექცა ყურადღება, ჰოკეისტებმა კი, ეტყობა, სისუსტეები და შენიშვნები აინუნშიც არ ჩააგდეს და ძველებურად გაუტიეს. გაუტიეს და მეორე პერიოდის დასაწყისში რის ვაი-ვაგლახით დაწინაურებულებმა ჯარიმების ალლუმი მოაწყვეს, თან ყველაზე მეტად გუნდის ლიდერები — ერიკ ლინდროსი, ბობი ჰოლიკი და სხვებიც სცოდავდნენ. სტუმრებმაც, რატომაც არა და, შესარგები შეირგეს.

**დეტროიტი 4:0 კალგარი 0:0 2:0 2:0**

1:0 ჩელიოსი (23), 2:0 მოლტბი (25), 3:0 ჰოლმსტრომი (43), 4:0 მაკარტი (54)

კალგარისთან თამაშში დეტროიტი საკმაოდ ხშირად არღვევდა ამ სეზონში შემოღებულ წესებს, მაგრამ ამისგანაც ისარგებლა — კრის ჩელიოსმა და კირკ მოლტბიმ უმცირესობაში გაიტანეს. თანაც წლეულს მოლტბიმ ამგვარ სიტუაციაში მესამედ გაიტანა.

**ტორონტო 1:4 ბოსტონი 1:1 0:3 0:0**

0:1 შტუმპელი (2), 1:1 სუნდინი (8), 1:2 გ. მიურეი (34), 1:3 გილი (36), 1:4 ბუმლი (40)

ბოსტონი შინ ჩინებულ გუნებაზე დაბრუნდა. „დათვებმა" სეზონის სასტარტო-სასტუმრო ექვსი მატჩი 9 ქულით დაასრულეს. თუ წინა შეხვედრებში ჯო ტორნტონის სამეულმა ისახელა თავი, ამჯერად ივან ჰუმლისა და იოზეფ შტუმპელის ჩეხო-სლოვაკურმა დუეტმა ივარგა.

**ფლორიდა 3:2 ატლანტა 0:1 1:1 2:0**

0:1 კოვალჩუკი (16), 1:1 იოკინენი (24), 1:2 ბუცაევი (39), 2:2 ბუჩელიუსი (46), 3:2 ბუჩელიუსი (59)

ერთი-ორი მარცხიც და ატლანტის თავკაც კურტ ფრეზერს კარისკენ მიუთითებენ. მიუხედავად საკმაოდ შედეგიანი შეტევებისა (20 გოლი 6 მატჩში), „თრეშერების" ანგარიშზე ჯერჯერობით ერთი ქულაა, რაც უდავოდ დაცვის ბრალია.

**სან ხოსე 2:5 ვანკუვერი 1:0 0:5 1:0**

1:0 სელიანე (4), 1:1 ნესლუნდი (21), 1:2 მორისონი (22), 1:3 ნესლუნდი (25), 1:4 კლიტი (26), 1:5 ნესლუნდი (28), 2:5 რიჩი (52)

სანამ სან ხოსეს მეკარე ევგენი ნაბოკოვი გადაცულია, ეტყობა, კალიფორნიელებს არაფერი ეშველებათ. რუსის, ორი ფინელი ღუბლიორი, მიკა კიპრუსოფი და ვესა ტოსკალა აშკარად ვერ ცვლიან მეამბოხე ამჯერადაც სუომელებმა მეორე პერიოდის რვაწუთიან მონაკვეთში 5(!) გოლი გაუშვეს. თან ისინი ყველაზე მეტად სკანდინავიელმა მეზობელმა, შვედმა მარკუს ნესლუნდმა გაანაწყენა. ვანკუვერელთა კაპიტანმა კარიერაში მე-8 ჰეთ თრიქი შეასრულა.

**სამველ ლარიბიანი**



პატარა შვეიცარიამ ლიგაში კიდევ ერთი კაცი მიავლინა: ანაჰაიმის მეკარე მარტინ გერბერი

## კვირის მოთამაშე

**მარიო ლემიე (პიტსბურგი)**



ბებერი ხარის რქებიც ხნავენო... გასულ კვირას მარიო ლემიემ კიდევ ერთხელ დაგვანახვა თავისი ძალა. ახალი წესების შემოღების შემდეგ „სუპერმარიომ" თავისუფლად გაშალა ფრთები, კვირის სამ თამაშში 8 ქულას მოუყარა თავი და 11 ქულით ბომბარდირთა სიას სათავეში მოექცა. ვეტერანმა განსაკუთრებით ტორონტოსთან მოგებულ თამაშში (5:4) გაილაღა, ორჯერ თავად გაიტანა და ორჯერაც ალექსეი მოროზოვი ახეირა. სწორედ ამ დუეტის დამაჯერებელმა თამაშმა განაპირობა პიტსბურგის იღბლიანი სტარტი. საინტერესოა, რომ ეს მარიოს 24-ე ტიტულია. იგი მხოლოდ „დიად" გრეცკის ჩამორჩება, რომელიც კარიერაში 44-ჯერ ყოფილა კვირის საუკეთესო მოთამაშე.

**კვირის ექვსეული (14-20 ოქტომბერი)**

*მენი ფერნანდესი (მინესოტა); ტომაშ კაბერლე (ტორონტო, 1) — ედ ჟოვანოვსკი (ვანკუვერი, 1); ჯონ ლეკლერი (ფილადელფია, 1) — მარიო ლემიე (პიტსბურგი, 1) — ჯო ტორნტონი (ბოსტონი, 1)*






# შევრონ-რალი

სამ დღეს დაჰქროდნენ მცხეთა-წყნეთი-ტაბახმელა-შინდისი-კოჯრის გზაზე მანქანები. თბილისის გარშემო გამართულ რბოლას „შევრონი რალი საქართველო 2002“ ერქვა და შეჯიბრად მეტად მოხდენილი გამოვიდა. რა არის, რომ ქართველთა ფავორიტს, ჩვენი საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტს ვიქტორ თოდაძეს თავისმა „მიცუბიშიმ“ შუა რბოლისას უმტყუნა და მისი დამწუხრებაც გასაგებია. ტრადიციული შამპანური ბლომად დაიფრქვა. მეორეადგილოსანი რუსები, მძღოლი დმიტრი ზორინი და მისი ულვაშა შტურმანი ილია გლადიშევი დაუნანებლად წუწავდნენ ერთმანეთს. გამარჯვებულმა „მიცუბიშიმ“ კი ლამაზად იფრინა მცხეთის გზაზე. მის საჭესთან მჯდომმა ვიაჩესლავ პროხოროვმა, ისევე როგორც შარშან, წელსაც არავის დაუთმო პირველობა.



# ალიანს არენა



REUTERS მიუნხენიდან

მიუნხენს ახალი სტადიონი ექნება — „ალიანს არენა“. ორივე ამქალაქური კლუბი, „ბაიერნიცა“ და „ტსვ 1860“-იც მასპინძლად იქნება ახალ არენაზე, რომელიც ფროტმანინგის უბანში აშენდება და 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელიც იქნება. ამ ლუდისმსმელ ძიას კი, რომლის ვინაობაც ვერც ვერ დავადგინეთ, სტადიონის პროექტი აშკარად მოსწონს.

# ჩემპიონი ეკლესიაში

ქალაქ ბერგამოს ეკლესიაში, 2002 წლის ჩემპიონის მაისურით ხელში დგას იტალიელი ველომრბოლი მარიო ჩიპოლინი. ახლა 96-ე ლომბარდიის ტური მიმდინარეობს, თუმცა, მარიოს მასში მონაწილეობა არ მიუღია.



REUTERS ბერგამოდან

# ალი და ლენოქსი

ქალაქ ტორონტოში, ამერიკული ფეხბურთის კანადური ლიგის მატჩის შესვენებაზე წაჰყრიან ერთმანეთს დიადი მუჰამედ ალი და დღევანდელობის მუჰამედ ალი, ლენოქს ლუისი. ორივენი საქველმოქმედოდ ყოფილან მიწვეულნი და შეხვედრაც ლამაზი გამოვიდა.



REUTERS ტორონტოდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია აზალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო ხვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოღენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა ლევაძე, ფატი ლვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge